PRIME Time

N15 (316) ორშაბათი, 20 აპრილი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL TBILISI 2015

Coca-Cola PROUD PARTNER

თბილისში ბაღის მასწავლებელი ამოუცნობი ვირუსით გარდაიცვალა

SCANDAL

„მისი მდგომარეობა ელვისებურად დამძიმდა: პირღებინება, მაღალი ტემპერატურა და ცხელება, გამონაყარი სხეულზე და სისხლდენა თვალებიდან“

SCANDAL

„ჯგუფური გაუპატიურებისთვის ნასამართლევი პირი მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის პოსტზე მუშაობს“

თბილისში ვერ არკვევენ, ვინ უნდა დაიცვას გუდიაშვილისა და ფიროსმანის საავტორო უფლებები

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია

EXCLUSIVE

exclusive

როგორ ცვდებოდნენ და აცილებდნენ ქურდული სამყაროს „გენერლებს“ სააკაშვილის ხელისუფლებაში

2006-2012 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული და გასული „კანონიერი ქურდების“ სია 12 კაცისგან შედგება და მასში საკმაოდ ხმაურიანი გვარები ფიგურირებს

exclusive

მამუკა არეშიძე:

„საქართველოს რეგიონებსა და მათ წინაშე არსებულ საფრთხეებს რომ გადახედოთ, გაირკვევა, რომ ყველაზე ნაკლები საფრთხე იმერეთის რეგიონისთვის არსებობს“

exclusive

მასწავლებელი მოსწავლეებს ფულს სძალავდა და სექსუალური სურათების დათვალიერებას აიძულებდა

მშობლები:

„ცუდ სურათებს ათვალიერებინებდა გაკვეთილზე ბავშვებს... 18+ ვგულისხმობ“

„დირექტორსაც ეშინია ამ ქალის“

„ლანძღვას უწყებდა მასწავლებელი, ღორები უფრო სუფთად ცხოვრობენ, ვიდრე თქვენო“

SCANDAL

როდესაც პაციენტმა დეტალური ინფორმაციის განმარტება მოითხოვა, უფრო სწორად კი „არაპირდაპირი ხარჯების“ გაშიფვრა, პასუხად რჩევა მიიღო, მაინც სახელმწიფო იხდის და რაში გაინტერესებთო...

„ღუდუშაურის კლინიკაში გვქონდა შემთხვევა, როდესაც კონკრეტული ადამიანი ირწმუნებოდა, რომ მისი ოჯახის წევრი გარდაცვლილი იყო და მაინც ჰყავდათ შეერთებული სასუნთქ აპარატზე“

კორუფციული მექანიზმი exclusive დადგენილია

საყოველთაო ჯანდაცვის ხარჯზე სამედიცინო კლინიკების გამდიდრების სქემა გაშიფრულია

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მედიატორი“: „ჯგუფური გაუპატიურებისთვის ნასამართლევი პირი მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის პოსტზე მუშაობს“

ვასილ ბექაური ინტერვიუზე არ დაგვთანხმდა, თუმცა გამოთქმულ ბრალდებებს აბსურდულს უწოდებს

ცოლისძმის მსგავსად, კომენტარის გაკეთება არც ნუგზარ მალაღურაძემ ისურვა

ხათუნა მგალობლიშვილი

დედაქალაქის მერიის საკადრო პოლიტიკას კრიტიკა ისედაც არ აკლდა, თუმცა ამ საქმემ შესაძლოა, ნარმანიას უწყება სერიოზულ შარში გახვიოს. საზოგადოებას, ალბათ, ახსოვს, სხვადასხვა გამგეობებში ნაცნობ-მეგობრობის ნიშნით თანამდებობებზე დანიშვნის ფაქტები, მათ შორის გახლდათ ნასამართლობის მქონე რამდენიმე პირიც. დასახელებულ გვარებს შორის გაიჟღერა ნაძალადევის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის გვარმაც. ითქვა, რომ ვასილ ბექაური, რომელიც საკრებულოს სარევიზიო კომისიის ხელმძღვანელის, ნუგზარ მალაღურაძის ცოლისძმაა, წარსულში საბურავების ქურდობის ბრალდებით იყო დაპატიმრებული, თუმცა საქალაქო სასამართლოს განაჩენში, რომელიც ორგანიზაცია „მედიატორმა“ მოგვაწოდა, გაცილებით მძიმე დანაშაულზეა საუბარი.

საქმე ეხება ჯგუფურ გაუპატიურებას, სადაც „მედიატორის“ ხელმძღვანელის, ლევან ხაბეიშვილის თქმით, სწორედ ბექაურის გვარი ფიგურირებს. სასამართლოდან გამოთხოვილ მონაცემებში, პიროვნების იდენტიფიცირება არ ხდება, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ „მედიატორმა“ ეს განაჩენი ბექაურის შესახებ ინფომრაციის გამოთხოვის საპასუხოდ მიიღო, ორგანიზაცია ასკვნის, რომ ჯგუფურ გაუპატიურებაში ნახსენებ პირებს შორის, სწორედ ნაძალადევის მუნიციპალიტეტის ამჟამინდელი თავმჯდომარე მოიაზრება.

ლევან ხაბეიშვილი

ლევან ხაბეიშვილი, „მედიატორი“:

– ვასილ ბექაური გახლავთ საკრებულოს სარევიზიო კომისიის ხელმძღვანელის, ნუგზარ მალაღურაძის ცოლისძმა, რომელიც არის ნასამართლევი. ეს პიროვნება მუნიციპალიტეტში თავმჯდომარის პოსტს იკავებს. მიუხედავად იმისა, რომ კონკურსი ვერ გაიარა, ის მაინც დაინიშნა თანამდებობაზე. თუ კომპეტენტური და პროფესიონალია ადამიანი, პრობლემა არ არის, ვისი ნათესავიც არ უნდა იყოს, მაგრამ, როდესაც კონკურსში ჩაჭრის მიუხედავად, მას ნიშნავ მაღალ თანამდებობაზე, რჩება ერთადერთი ვერსია, რომ ადგილი აქვს ნეპოტიზმსა და მეგობრულ-ნათესაური ნიშით თანამდებობაზე დანიშვნას. გარდა ამისა, მიუღებელია საკმაოდ მძიმე დანაშაულში მხილებული ადამიანის ასეთ თანამდებობაზე დანიშვნა.

– კონკრეტულად რა საქმეზეა ნასამართლევი ბექაური?

– ამ ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, საქალაქო სასამართლოს მივწერეთ. დღეს მას ნასამართლობა გაქარწყლებული აქვს. შემიძლია, გადმოგიგზავნოთ განაჩენიც, რომელიც სასამართლოდან მივიღეთ, თუმცა მაიდენტიფიცირებელი მონაცემები დამტრიხულია, გასაგები მიზეზების გამო. განაჩენში წერია, რომ ეს ადამიანი ნასამართლევია ჯგუფური გაუპატიურებისთვის.

– ანუ გინდათ თქვათ, რომ ადამიანი, რომელიც ჯგუფური გაუპატიურებისთვის არის ნასამართლევი, სწორედ ნაძალადევის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეა?

– ჩვენ ვასილ ბექაურის სახელზე გამოვითხოვეთ განაჩენი, სადაც წერია, რომ, დიახ, ეს ადამიანი ჯგუფური გაუპატიურებისთვის არის ნასამართლევი. ის წარსულში ნასამართლევია, გამოცდა არ აქვს ჩაბარებული და გახლავთ მალაღურაძის ცოლისძმა.

ინფორმაციის გადამოწმების მიზნით ვასილ ბექაურს დავუკავშირდით, რომელიც გამოთქმულ ბრალდებას „აბსურდულს“ უწოდებს. მან ინტერვიუს მოცემა არ ისურვა და, ასევე, უპასუხოდ დატოვა კითხვა – როგორ გახდა კონკურსში ჩაჭრილი პირი ნაძალადევის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე? „პრაიმტაიმი“ შეეცადა საკრებულოს წევრ ნუგზარ მალაღურაძესთან დაკავშირებასაც, თუმცა, ცოლისძმის მსგავსად, კომენტარის გაკეთება არც მან ისურვა.

მალაღურაძე-ბექაურის ახლო ნათესაური კავშირის გარდა, „მედიატორმა“ ნეპოტიზმის სხვა ფაქტებიც გაასაჯაროვა.

ლევან ხაბეიშვილი, „მედიატორის“ ხელმძღვანელი:

– შემიძლია, დაგისახელოთ ნეპოტიზმის რამდენიმე ფაქტი. ასე მაგალითად, ნარმანიას ბიძაშვილის, ნათია ნარმანიას ქმარი მუშაობს მერიის დაცვის უფროსის თანამდებობაზე. ის დაინიშნა ნათესაური კავშირის გამო, ამ ფაქტს ადასტურებს ისიც, რომ კონკურსში მან მხოლოდ 36 ქულა მიიღო.

გარდა ამისა, საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატის სოსო ჯაჭვლიანის ბიცოლა, ციური ჭანტურია, მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში დაინიშნა. ქალაქ თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის, ჯაბა სამუშიას ცოლმა კი თბილისის ბავშვთა ბაღების მართვის სააგენტოში დაიწყო მუშაობა. ისნის გამგებლის, ვახტანგ ქიზიყურაშვილის ვაჟი, ირაკლი ქიზიყურაშვილი, დიდუბის რაიონში ინფრასტრუქტურის განყოფილებაშია. ზაზა გაბუნიას ცოლისძმა ჯერ ნაძალადევში აიყვანეს ხელშეკრულებით და ახლა ჩუღურეთის გამგეობაში მუშაობს. პარლამენტარ თამარ კორძაიას მეუღლე ზაზა მენაბდე სინათლის ქალაქში ერთ-ერთი განყოფილების უფროსად დაინიშნა. საკრებულოს „ქართული ოცნების“ დეპუტატის თარაშ შურღაიას ბიძა ალექსანდრე ავთანდილაშვილი დიდუბეში განყოფილების უფროსად დანიშნეს. გამოცდა ვერ ჩაბარა, მაგრამ დღემდე მუშაობს. დედა-შვილი, მარინა დავითულიანი და მეგი კალატოზი, მუშაობენ ისნის გამგეობაში. დედა იყო „ქართული ოცნების“ შემომწირველი, მან პარტიას 2014 წლის იანვარში 10 000 ლარი შესწირა, მაშინ, როცა 2013 წლის დეკლარაციაში შემოსავლის სახით მხოლოდ 75 ლარი ჰქონდა მითითებული. გარდა ამისა, ნაძალადევის რაიონში სამხედრო განყოფილების უფროსად დაინიშნა ნაძალადევის რაიონის გამგებლის მეგობარი, 22 წლის ირაკლი ლაჩინოვი. აღსანიშნავია, რომ ამ ბავშვს თავადაც გადავადებული აქვს სამხედრო სავალდებულო გაწვევა.

საკრებულოს დეპუტატის დავით ჭელიძის ძმისშვილი ჯაბა ჭელიძე დანიშნეს ნაძალადევის გამგეობაში კომისარიატში. ასევე, საინტერესოა ნაციონალებიდან „ოცნებაში“ პორტირებული მერაბ რაფავა, რომელიც გახლავთ შიხიაშვილის მეგობარი, მისი ვაჟი სამგორის გამგეობაში დაინიშნა აპარატის უფროსად“, – აცხადებს **ლევან ხაბეიშვილი.**

თბილისში ბაღის

ირაკლი მამალაძე

თბილისის გადამდებ დაავადებათა კონტროლის ცენტრი საშიშ ინფექციურ დაავადებაზე ლაბორატორიულ კვლევას ატარებს. რამდენიმე დღის წინ შუახნის ქალბატონი სწორედ (ამ ეტაპზე) დაუდგენელი საშიში ინფექციური დაავადებით გარდაიცვალა. ეთიკური სტანდარტებიდან გამომდინარე, არ ვასახელებთ გარდაცვლილის ვინაობას, ის თბილისის მცხოვრებია და საბავშვო ბაღში მუშაობდა. ინფექციური დაავადებით გარდაცვალების ფაქტი კლინიკა „ლანცეტში“ დაფიქსირდა. „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, პაციენტი კლინიკაში „112“-მა გადაიყვანა და ის მიყვანიდან 4 საათში გარდაიცვალა. წინასწარი ინფორმაციით, ექიმების პირველადი დიაგნოზი მენინგოკოქცემია იყო, რაც მოგვიანებით არ დადასტურდა, თუმცა მკურნალობა ამ მიმართულებით წარიმართა. გარდაცვალების შემდეგ კი მენინგოკოქცემიის ვირუსი გამოირიცხა და ამ დრომდე მიმდინარეობს ლაბორატორიული კვლები იმის დასადგენად, რომელ ვირუსულ ინფექციას ემსხვერპლა პაციენტი. ექიმები და გარდაცვლილის ახლობლები საუბრობენ იმ სიპტომებზე, რომელიც შუახნის ქალბატონს რამდენიმე საათში განუვითარდა და მისი მდგომარეობა ელვისებურად დამძიმდა: პირღებინება, მაღალი ტემპერატურა და ცხელება, გამონაყარი სხეულზე და სისხლდენა თვალებიდან. კლინიკა „ლანცეტში“ აცხადებენ, რომ პაციენტის მდგომარეობა ყოველ წუთში მძიმდებოდა და მათ მიერ გაწეული გადაუდებელი დახმარება უშედეგო აღმოჩნდა. პაციენტის ოჯახი კი კლინიკაში გაწეული სამედიცინო დახმარებით უკმაყოფილოა და მათ საჩივარი უკვე შეიტანეს ჯანდაცვის სამინისტროში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პაციენტს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება არ გასწევია ინფექციონისტის ზედამხედველობის ქვეშ.

„პრაიმტაიმი“ სამედიცინო ცენტრ „ლანცეტის“ კლინიკურ დირექტორს ნინო ნადირაძეს ესაუბრა:

– ქალბატონო ნინო, რა ჩივილებით შემოვიდა პაციენტი და რა გახდა მისი გარდაცვალების მიზეზი?

– პაციენტს გაეწია გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, მაგრამ მისი მდგომარეობა ძალიან სწრაფად მძიმდებოდა. სასწრაფოს მანქანაშივე დაეწყო გამონაყარი, აღენიშნებოდა მაღალი ტემპერატურა და ცხელება, ტრომბოციტები, ფაქტობრივად, ნულზე ჰქონდა. ნუ, საოცარი ცვლილებები იყო... „კრიტიკული ტერმინალური სიტუაცია“. ექიმებმა ყველაფერი გააკეთეს, რაც ასახულია პაციენტის სამედიცინო ისტორიაში. ნათესავებმა გამოთქვეს უკმაყოფილება, შეიტანეს საჩივარიც, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ თვითონ მოვითხოვეთ ცხედრის სამხარაულში ექსპერტიზაზე გადაყვანა, რომ დადგინდეს გარდაცვალების მიზეზი.

– რატომ გაუჩნდათ შეკითხვები პაციენტის ოჯახის წევრებს?

– ვერ გეტყვით, ჩვენ ყველაფერი გადავეცით, სამედიცინო ისტორია და საქმეს მიეცა მსვლელობა. მომხრე ვარ, რომ ექსპერტიზის შედეგებს დაველოდოთ.

– როგორც ვიცით, თავდაპირველად მენინგოკოქცემიაზე ეჭვობდით, რაც შემდგომ არ დადასტურდა, მაშინ რა გახდა გარდაცვალების მიზეზი?

– კი, თავიდან მენინგოკოქცემიის ყველა სიმპტომი იყო სახეზე, გამოვაცხადეთ პირველი დონის განგაში, გავასტერილეთ ყველაფერი, მაგრამ შემდეგ არ დადასტურდა. ეს იყო უცნობი ვირუსული ინფექცია. სავარაუდოდ, ეტიოლოგიური ცხელება, მაგრამ ეს პოსტფაქტუმ დაიდება და გავიგებთ.

– თუ ეს ინფექციური დაავადება იყო, სასწრაფომ რატომ გადმოიყვანა თქვენს კლინიკაში და რატომ დროულად არ ჩაერთვნენ მკურნალობის პროცესში ინფექციონისტები?

– ნუ, გადმოიყვანეს ტერიტორიული პრინციპით...

– და ინფექციონისტი გყავთ კლინიკაში?

– კი, თეონა ბუაჩიძე.

– იყო ის ადგილზე, როცა პაციენტი შემოიყვანეს?

– შემდგომში მოვიდა, ჩვენ არ ვიღებთ, ჩვენ არ ვართ ინფექც-

ნინო ნადირაძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მასნავლებელი ამოუცნობი ვირუსით გარდაიცვალა

პირლებინეგა, მალალი EXCLUSIVE ტემპერატურა და ცხელება, გამონაყარი სხეულზე და სისხლდენა თვალებიდან



ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტიზის პასუხებს ელოდება

იური პროფილის კლინიკა.

– დიახ, სწორედ ამას გეკითხებით, მაშინ რატომ მიიღეთ პაციენტი?

– ნუ, თავიდან საუბარი იყო დიარეასა და მუცლის ტკივილზე, სხვა სიმპტომები, როგორც გითხარით, შემდგომ გამოვლინდა.

– ჯანდაცვის სამინისტრო თუ ჩაერთო საქმეში?

– კი, ჩართულია. ყველა დოკუმენტი მივაწოდეთ და საქმეს მიეცა მსვლელობა, ასევე ჩართულია დაავადებათა კონტროლის სააგენტო. მათაც მივაწოდეთ ყველა საჭირო ინფორმაცია პაციენტის კლინიკურ სურათზე.

საშიშ გადამდებ დაავადებათა კონტროლისა და ეპიდზედამხედველობის მუნიციპალურ ცენტრში აცხადებენ, რომ გარდაცვლილის ექსპერტიზა დასრულებულია და მიმდინარეობს ლაბორატორიული კვლევები ინფექციის დასადგენად. ზემოაღნიშნული სამსახურის ხელმძღვანელი ვერ საუბრობს, რა ინფექციურ დაავადებას ემსხვერპლა შუახნის ქალბატონი.

ციცო დილებაშვილი, თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელი:

– ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩავატარეთ ყველა გადაუდებელი ღონისძიება, კონტაქტში მყოფი პირები გამოვიკვლიეთ. ამ ეტაპზე არ ვიცით, რა ინფექციურ დაავადებასთან გვაქვს საქმე, თავდაპირველი დიაგნოზი – მენინგოკოქცემია გამოირიცხა, მაგრამ მიმდინარეობს კვლევა სხვა საშიშ ინფექციურ დაავადებებზე. ფაქტია, რომ ელვისებური სისწრაფით დამძიმდა პაციენტის მდგომარეობა, რაც უამრავ კითხვის ნიშანს აჩენს და ეს დასადგენია.

– ქალბატონო ციცო, რა დრო სჭირდება ამ კვლევებს და როდის იქნება პასუხები? სავარაუდოდ, რა ვირუსთან შეიძლება გვქონდეს საქმე?

– ამ ეტაპზე არაფერი კონკრეტულის თქმა არ შემიძლია. ეს შემთხვევა კონტროლზე ავიყვანეთ და ექსპერტიზის შედეგებს შეგატყობინებთ. ეს კვლევები, რაც ახლა ტარდება, მოგვცემს კონკრეტულ სურათს, ვიპოვოთ ინფექციის წყარო და დაინფიცირებულები, თუ ლაბორატორიული კვლევებით რაიმე საშიში გადამდები ინფექციური დაავადება გამოვლინდება.

სამედიცინო და ლაბორატორიული ექსპერტიზის შედეგები, სავარაუდოდ, მომავალ კვირას გახდება ცნობილი. რაც შეეხება გარდაცვლილის ოჯახის საჩივარს, რომელიც მათ კლინიკა „ლანცეტის“ წინააღმდეგ შეიტანეს, მოკვლევა უკვე დაწყებულია და მას რეგულირების სააგენტო ატარებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დაცული იყო თუ არა საავტორო უფლებები რუსეთში, ფიროსმანისა და გუდიაშვილის ნამუშევრების კერძო კოლექციაში გამოყენებისას?

თამარ ივანიაძე

მთელ ამ ისტორიაში დასანანი მხოლოდ ის არის, რომ საქართველოში არც ერთ დიზაინერს თავში აზრადაც არ მოუვიდა, ფიროსმანის ან გუდიაშვილის ნახატებით საკუთარი ნამუშევრები გაეფორმებინა.

და მთელ ამ ისტორიაში კიდევ უფრო დიდი სევდის მომგვრელია ის ფაქტი, რომ უწყებიდან უწყებაში გადამისამართებაში კონკრეტულ და ნათელ პასუხს ვერ იღებ. გაუგებარი და ბუნდოვანი რჩება, ვინ უნდა დაიცვას საავტორო უფლებები.

რუსეთში მოღვაწე დიზაინერმა ალექსანდრე ართუნოვმა 2015-2016 ნლის შემოდგომა-ზამთრის ჩვენებაზე, ფიროსმანისა და გუდიაშვილის ნამუშევრებით გაფორმებული კოლექცია ნარმოადგინა. ამის შესახებ ინფორმაციას რუსული პრესა ავრცელებს. სტატიაში მითითებულია, რომ ავტორის შთაგონების წყარო ისეთი მეტრები გახდნენ, როგორიც ნიკო ფიროსმანი და ლადო გუდიაშვილია.

აღნიშნულ საკითხზე „პრაიმტაიმი" კულტურის სამინისტროს დაუკავშირდა, სადაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში გადაგვამისამართეს. სააგენტოში აცხადებენ, რომ ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოყენება ნებისმიერ მსურველს თავისუფლად შეუძლია. როგორც სააგენტოს პრესსამსახურში ნათია მუჩიაურმა განგვიმარტა, ეს საკმაოდ აპრობირებულია მთელ მსოფლიოში და დღეს ამ საკითხზე განმარტებებიც უკვე ზედმეტია.

განსხვავებულად ფიქრობენ საავტორო უფლებების დაცვის ასოციაციაში. ასოციაციის პრეზიდენტი გიგა კობალაძე „პრაიმტაიმთან" საუბრისას ცალსახად აცხადებს, რომ გუდიაშვილის ნამუშევრების გამოყენებისას საავტორო უფლებები დარღვეულია.

გიგა კობალაძე: „ქონებრივი საავტორო უფლებები ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალებიდან 70 ნლის განმავლობაში მოქმედებს. ეს გულისხმობს იმას, რომ მისი ნამუშევრების გამოყენებისას ნებართვის აღებაა საჭირო ავტორისგან ან მისი მემკვიდრისგან. გუდიაშვილთან მიმართებაში საავტორო უფლება ერთმნიშვნელოვნად დარღვეულია, რადგან მისი გარდაცვალებიდან 70 ნელი გასული არ არის. ავტორს გამოყენებისთვის სჭირდებოდა ნებართვა, რომელიც აუცილებლად უნდა აეღო გუდიაშვილის მემკვიდრეებისგან. გუდიაშვილის მემკვიდრეები თბილისში ცხოვრობენ, მათი სახელები და გვარები ახლა არ მახსოვს, მაგრამ თბილისში რომ ცხოვრობენ, ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია მაქვს, შეხვედრილი ვარ ამ ხალხს სწორედ საავტორო უფლებების თემაზე", – ამბობს კობალაძე.

საქპატენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ გოგილიძე კი „პრაიმტაიმთან" განმარტავს, რომ რომელიმე ავტორის ნამუშევრის გამოყენებისას არაქონებრივი საავტორო უფლებების დაცვის ვალდებულების აღება აუცილებელია. ეს კი ავტორის მითითებასა და ნამუშევრის სწორი ფორმით გავრცელებას გულისხმობს.

სტატიაში, რომელიც რუსი დიზაინერის ჩვენების შესახებ მოგვითხრობს, ნახატების ავტორები მითითებულია, თუმცა სადავოა, რამდენად არის ფიროსმანის ნახატები დაუმახინჯებელი (სიზუსტით გადატანილი სამოსზე). დაკვირვებული თვალი შენიშნავს, რომ ნახატს „ქართველი ქალი დაირით ხელში" დაირა არ უჭირავს, ისე როგორც ეს ორიგინალშია. რიგ შემთხვევებში შეცვლილია ნახატის პერსონაჟის უკან მდებარე ფონიც, ფიროსმანის მეეზოვე კი აქსესუარზე მხოლოდ წელამდეა ასახული, როცა ფიროსმანს ორიგინალში თავიდან ფეხებამდე ჰყავს ის დახატული.

ნიკოლოზ გოგილიძე: „არაქონებრივი უფლებების ნანილი რჩება უვადოდ და არ უნდა დაირღვეს. ამაში იგულისხმება არაქონებრივი საავტორო უფლებები და ნაწარმოების დამახინჯების აკრძალვა. თუ ვინმე ამბობს ფიროსმანის ნახატზე, რომ მისია, ეს არაქონებრივი უფლებების დარღვევაა და მას შესაძლებელია, რეაგირება მოჰყვეს. თუმცა ყველა ფორმით გამოყენებისას ვერ იქნება მოთხოვნა, რომ ნაწარმოების ავტორი იყოს მითითებული. ეს არის საქმიდან საქმეზე შესამოწმებელი, ტანსაცმელზე ფიროსმანის დაწერას ვერავის მოვთხოვთ. თუ არ უარყოფენ, რომ ის ფიროსმანისაა და იყენებს ისეთი ფორმით, როგორითაც ფიროსმანმა დახატა და არ არის დამახინჯებული, ასეთ შემთხვევაში, სამწუხაროდ, საავტორო უფლებების კუთხით კანონმდებლობა არ ითვალისწინებს არანაირ შეზღუდვას".

დავის საფუძველი შესაძლოა, გახდეს ნახატის შეცვლა, დამახინჯება. დამახინჯება არ არის მარტო ულვაშის მიხატვა და მსგავსი ქმედება, დამახინჯებად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი ფორმით გადამუშავება ნაწარმოების, რომელიც ნაწარმოებს უკარგავს იმ ფასეულობას, რაც მას ჰქონდა, როცა მხატვარმა შეასრულა. თუ ფიროსმანის ნახატი დამახინჯებულია, უფლებები საქართველოს სახელმწიფომ უნდა დაიცვას. დავის დაწყება ასევე საქპატენტსაც შეუძლია, თუმცა საქართველოს ფარგლებში. იმისთვის, რომ სარჩელი შევიტანოთ, ვინმემ უნდა მოგვმართოს, თუმცა მომართვაში დასაბუთებული უნდა იყოს ის, რომ არაქონებრივი საავტორო უფლება დარღვეულია.

შეზღუდვა ასევე შესაძლებელია დაწესდეს, თუ ფიროსმანის ნახატი აღიარებულია სახელმწიფოს კულტურულ მემკვიდრეობად. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს შეუძლია, კულტურულ მემკვიდრეობა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

იყო თუ არა დამახინჯებული ფიროსმანის ნამუშევრები, რომლითაც ართუნოვმა კოლექცია გააფორმა?

„არაქონებრივი უფლებების ნაწილი არ უნდა დაირღვეს. ამაში იგულისხმება არაქონებრივი საავტორო უფლებები და ნაწარმოების დამახინჯების აკრძალვა“

„გუდიაშვილის შემთხვევაში საავტორო უფლება ერთმნიშვნელოვანად დარღვეულია“

ზე დააწესოს გარკვეული შეზღუდვა, თუმცა ეს შეზღუდვები გავრცელდება საქართველოში, ხოლო სხვა ქვეყნებში შეზღუდვების დაწესებასთან დაკავშირებით, ჯერ გასარკვევია, რომელი ქვეყანა რომელი კონვენციის წევრია და რომელთან გვაქვს ხელშეკრულება კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებაზე. თუ ეს ქვეყანა რომელიმე საერთაშორისო კონვენციის წევრი არ არის, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებას იცავს, რთულია ამის დარეგულირება“, – აცხადებს გოგილიძე.

საავტორო უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი გიგა კობალაძე კი განმარტავს, რომ თუ ფიროსმანის შემთხვევაში ნამუშევრის დამახინჯება-გადაკეთება მართლაც ფიქსირდება, ეს დარღვევაა და რეაგირება კულტურის სამინისტრომ უნდა მოახდინოს.

გიგა კობალაძე: „ავტორის პირადი უფლებაა სწორედ ის, რომ დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი გადაკეთებისა და დამახინჯებისგან, თუ მისი გადაკეთება აქვს ვინმეს დაგეგმილი, ეს ყველა შემთხვევაში საჭიროებს ნებართვის აღებას. თუ დამახინჯებულია ნამუშევრები, რომლებიც კულტურულ მემკვიდრეობას განეკუთვნება, ამ შემთხვევაში კულტურის სამინისტრომ უნდა იდავოს, საქართველოს სახელმწიფოს სახელით, ამ თემაზე დავა საზღვარგარეთაც შესაძლებელია“.

„პრაიმტაიმი“ აღნიშნულ საკითხზე რუსეთში დიზაინერ ალექსანდრე ართუნოვსაც დაუკავშირდა. როგორც აღმოჩნდა, ალექსანდრე ართუნოვი თბილისში დაბადებული და გაზრდილია. როგორც თავად ამბობს, მოსკოვში საცხოვრებლად 15 წლის წინათ წავიდა. ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, რომ ნებართვა ნახატების გამოყენებისთვის არავისთან აუღია. ხოლო ნამუშევრებში რომ ზოგიერთი დეტალი შეცვლილია, არც თავად უარყოფს.

„ისე როგორც მე აღნიშნული ნახატები გამოვიყენე, ნებართვას არ საჭიროებდა. ბევრი რამ შევცვალეთ ამ ნამუშევრებში. სხვათა შორის, მე არ ვარ პირველი, ვინც ეს ნახატები გამოიყენა. უკვე მრავალი წელია, არაერთხელ არის გამოყენებული. მე ეს ნახატები ერთიერთში არ გამომიყენებია და არც ჩემს ნამუშევრებად გამისაღებია.

ჩანთა, რომელზე გამოსახული ნახატიც გუდიაშვილის ნამუშევარს ჰგავს, სულ ორი ეგზემპლარია და გასაყიდად არ გამაქვს, ამას ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციისთვის ვაკეთებ. თუ ჩემს სამშობლოში ვერ გამიგეს, ძალიან ვწუხვარ. რუსეთში ეს აპლოდისმენტებით მიიღეს. თვალები ავუხილე იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც სტალინზეც კი არაფერი გაეგოთ.

ხელოვნება ხალხს ეკუთვნის! ჩვენ ამ ჩანთებს მაღაზიებში არ ვყიდით. ყველა ჩემი ჩვენება ჩვენს ქვეყანას ეძღვნება“, – ამბობს ართუნოვი.

მას შემდეგ, რაც საავტორო უფლებების ასოციაციის პრეზიდენტის გიგა კობალაძის განცხადება გავაცანით, სადაც ის ამბობს, რომ გუდიაშვილთან მიმართებაში საავტორო უფლებები ცალსახად დარღვეულია, ართუნოვმა განაცხადა, რომ საავტორო უფლებების დაცვისა და ნებართვის აღების ვალდებულების შესახებ არაფერი იცოდა.

„არ ვიცოდი, რომ მცოდნოდა, რომ ასე მოხდებოდა, ხომ არ გამოვიყენებდი. მეგონა, მაგარ რამეს ვაკეთებდი. დაე, იჩივლონ სასამართლოში! არ შემიძლია და არ მინდა თავის მართლება. სრულიად განსხვავებულ რეაქციებს ველოდი. ალბათ, ყველა ფიქრობს, რომ ამით მილიონები ვიშოვე, სასაცილოა და ჩემთვის ძალიან სამწუხარო. არ გაყიდულა არც ერთი ჩანთა“, – აცხადებს ართუნოვი.

„პრაიმტაიმი“ იმითაც დაინტერესდა, როგორ აფასებენ ქართველი დიზაინერები იდეას, გამოიყენონ საკუთარ კოლექციებში მხატვრების ნამუშევრები და აღნიშნულ საკითხზე ავთანდილ ცქვიტინიძეს ესაუბრა.

ავთანდილ ცქვიტინიძე: „მეც ძალიან მომწონს ფიროსმანი, გიჟი უნდა იყო, რომ ის არ მოგწონდეს და შეიძლება, გამეკეთებინა კიდეც მისი ნახატების გაფორმებით კოლექცია, თუმცა არ ვიცი, ეს კანონით როგორ რეგულირდება, ასეთი რამ არ გამიკეთებია. დიდი სიამოვნებით გავაკეთებდი კიდევ პიკასოს ნამუშევრებისგან, ოღონდ არ ვიცი ეს როგორ ხდება სამართლებრივად, წინასწარ, რა თქმა უნდა, გავიგებდი ამას და ისე გავაკეთებდი“, – განაცხადა ცქვიტინიძემ.

ქართველი მხატვრების ნამუშევრებით კოლექციის გაფორმების იდეა ქართველ დიზაინერებს თავში არ მოსვლიათ, ყოველ შემთხვევაში ეს არავის განუხორციელებია, თუმცა ქართველი მხატვრის ნამუშევრებით საზღვრებსგარეთ მოღვაწე დიზაინერები დაინტერესდნენ. მალე შესაძლოა, ჰერმესის ჩარფები რუსუდან ფეტვიაშვილის ნამუშევრებით გაფორმდეს. ფეტვიაშვილმა ჰერმესს საკუთარი კონცეფცია უკვე შესთავაზა და საკუთარი ჩარფის მაკეტი მათ პარიზში დაუტოვა.

რუსუდან ფეტვიაშვილი: „როცა ავტორი ცოცხალია მისი ნამუშევრების გამოყენება უნებართვოდ არ ხდება. ახლა მოლაპარაკებები მიმდინარეობს ჰერმესთან, შესაძლოა, მათ შეისყიდონ ჩემი ჩარფის კონცეფცია, ჩემი თანხმობის გარეშე ჰერმესი ამას ვერ გამოიყენებდა, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა ავტორი ცოცხალია, გარდაცვლილის შემთხვევაში ეს როგორ რეგულირდება, არ ვიცი.

რამდენიმე ჩარფის მაკეტი, ნახატი გავაკეთე ჰერმესისთვის და ერთ-ერთი ახლა პარიზში მაქვს დატოვებული. მინდოდა, კონცეფცია ისეთი ყოფილიყო, რომ საქართველო და ევროპა დამეკავშირებინა და საქართველო ევროპისთვის საინტერესო ყოფილიყო. ამიტომ ავიღე ასეთი კონცეფცია საქართველო – ევროპისა და აზიის გზაჯვარედინი და სილქროუდ ქვეყანა. ზუსტად არ ვიცი, შეისყიდიან თუ არა, იმიტომ რომ დღეს მათ მინიმალისტურ სტილზე აქვთ აქცენტი, ჩემი უფრო მაქსიმალისტური სტილია.

ბოლოს პარიზში მათთან ჰედოფისში ვიყავი, მათ მთავარ დიზაინერს შევხვდი და დავტოვე ეს ნიმუში, თუმცა შესყიდვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე რამდენიმე კონსილიუმი უნდა მოეწყოს, დაახლოებით ორი თვის მანძილზე, ალბათ, გახდება ცნობილი, შეისყიდიან თუ არა.

შეთავაზება მე გავუკეთე მათ, შარფი თავისი კონცეფციით, ორნამენტით, ნახატით თავიდან ბოლომდე ჩემია, თუ არ შეისყიდიან, მევე დამიბრუნდება, შესყიდვის შემთხვევაში მათ საკუთრებაში გადავა და პროდუქტი იქნება „ჰერმესის“, ასეთ დროს მხატვარი მეორე პლანზე გადადის ყოველთვის, „ჰერმესის“ შარფი იქნება, უბრალოდ, იქნება ჩემი ნამუშევარი, ამას ერთობლივი ნამუშევარი არ დაერქმევა, მე გამფორმებელი ვიქნები ამ შემთხვევაში. თუ შეისყიდიან ამ შარფებს, ნარმოებას თავად უზრუნველყოფენ.

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ პარიზში ყოფნის დროს ჩემმა ძალიან ახლო მეგობარმა პარიზელმა მეცნიერმა ედუარდ სტარკმა, ჩემთვის და ჩემი მეუღლისთვის მიღება გააკეთა, ჩვენს გასაცნობად დაპატიჟებული ჰყავდა თავისი პარიზელი ნაცნობების წრე. ქართული სუფრითა და ქართული ღვინით გაგვიმასპინძლდა, ქართული დროშაც კი ასწიეს გემზე, როცა ჩვენ და სტუმრები ავედით. ამ დროს გავიცანი „ჰერმესის“ წარმომადგენელი, რომელიც, ასე რომ ვთქვა, „ჰერმესის“ „ვერხუშკაა“, ეკონომიკური დირექტორია. მათ ნახახი ჰქონდათ კატალოგი და ჩემი ნამუშევრების გასაცნობად იყვნენ მოსული. ამ შეხვედრაზე ვკითხე, შესაძლებელი იყო თუ არა, რომ ჩემი ნამუშევრებით დაინტერესებულიყვნენ. მითხრეს, რომ ყველაფერია შესაძლებელი, ამის შემდეგ რამდენიმე დღეში კიდევ შემხვდნენ პარიზში, სათავო ოფისში, სადაც მითხრეს, რომ, თუ რაღაც განსაკუთრებულს გავაკეთებდი, ამ შეთავაზებას მიიღებდნენ ჩემგან.

მათთან ურთიერთობაში ახლა ნაკლებად ვაქტიურობ. დაახლოებით ორი თვის შემდეგ ვაპირებ პარიზში ჩასვლას და, ალბათ, გაირკვევა, გაფორმდება თუ არა ხელშეკრულება,

რაც შეეხება თანხას, ამაზე ნარმოდგენაც არ მაქვს, ჯერ ხელშეკრულებაც კი არ არსებობს. მათ პასუხს ველოდები ამ ეტაპზე“, – ამბობს **ფეტვიაშვილი.**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მასწავლებელი მოსწავლეებს ფულს სძალავდა და სექსუა

ხათუნა მგალობლიშვილი

სკოლის მოსწავლეებმა მოძალადე მასწავლებლისგან დაცვა არასამთავრობო ორგანიზაციას სთხოვეს. ფაქტი მარნეულის სოფელ აზიზქენდში დაფიქსირდა. ოცამდე მოსწავლემ განცხადება საკუთარი ინიციატივით დაწერა და დასახმარებლად „საქართველოს აზერბაიჯანელ სტუდენტთა ასოციაციას“ მიმართა. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა, სამირა ისმაილოვამ ფაქტის შესწავლა განცხადების შემოსვლის დღიდანვე დაიწყო და როგორც თავად აცხადებს, დეტალებში ჩაღრმავებით კიდევ უფრო მძიმე დანაშაულამდე მიდის კვალი.



სკოლის მოსწავლის მშობელი: „როდესაც ამ ბავშვის მამა ჩამოვიდა რუსეთიდან, მეორე დღეს ირმა მასწავლებელმა მთელი კლასის თანდასწრებით ჰკითხა მოსწავლეს, გუშინ საღამოს მამაშენი და დედაშენი რით იყვნენ დაკავებულები“

მშობელი: „ჩემს შვილს ჯერ თავში და შემდეგ ხელში ჩაარტყა ჯოხი, მიზეზი ის იყო, რომ ქართულად ნელა კითხულობდა და სწრაფად კითხვა არ შეეძლო“

სოფელ აზიზქენდში ჩასული მასწავლებელი, ირმა შველიძე, რომელსაც მოსწავლეებისთვის ქართული ენის შესწავლა ევალება, როგორც ადგილობრივები აცხადებენ, მოსწავლეებზე ძალადობს და მათზე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებს. სამირა ისმაილოვას განცხადებით, მოსწავლეების მთავარი მოთხოვნა ირმა შველიძის სასწავლო პროცესიდან ჩამოშორებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში სკოლის მოსწავლეები უარს აცხადებენ სკოლაში სიარულზე.

ფაქტზე ინფორმაციას უკვე ფლობს განათლების სამინისტრო და უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის განცხადებით, მოკვლევის პროცესიც უკვე დაწყებულია. „პრაიმტაიმის“ ადგილზე ჩასვლის დროს დაემთხვა განათლების სამინისტროს წარმომადგენლების ვიზიტი. სკოლაში უწყების თანამშრომლები მოსწავლეებისა და მასწავლებლების გამოკითხვას ანარმოებდნენ. სკოლის დარაჯის განცხადებით, უკვე ორი დღეა, მათ სოფელში სხვადასხვა უწყებიდან უამრავი ადამიანი მოდის და დეტალურად ცდილობს დაპირისპირების შესწავლას.

თავად ირმა შველიძე უკვე ერთი კვირაა, სკოლაში არ დადის და როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, მას მასწავლებლის უფლებამოსილება დროებით აქვს შეჩერებული, თუმცა, როგორც სკოლის მასწავლებლები აცხადებენ, შველიძეს აზიზქენდის სკოლამდე სხვა სკოლაშიც ჰქონდა ანალოგიური პრობლემები, რის გამოც მას სამსახური დაატოვებინეს. სწორედ ამიტომ მაღალი კლასის მოსწავლეები მშობლებთან ერთად ითხოვენ, რომ შველიძეს საერთოდ ჩამოერთვას მასწავლებლობის უფლება.

სოფელ აზიზქენდის სკოლის ერთ-ერთი მასწავლებელი, რომელმაც „პრაიმტაიმთან“ სახელისა და გვარის გამხელისგან თავი შეიკავა, გვითხრა, რომ ირმა შველიძე არა მარტო ბავშვებს აყენებს შეურაცხყოფას, არამედ თავად მასწავლებლებსაც არ იდნობს. იხსენებს შემთხვევას, როდესაც სამასწავლებლოში მამაკაცი მასწავლებლები ისხდნენ, ირმა შველიძემ კი მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა: ხუთი-ექვსი მამაკაცი ვისხედით სამასწავლებლოში, შემოვიდა ირმა შველიძე და გვითხრა, თქვენში მამაკაცი არც ერთი არ არისო. რა შუაში იყო, ან რას გულისხმობდა, ვერ გავიგეთ, ერთ-ერთი მასწავლებელი ასაკოვანი კაცია, 65 წლის, მისი ძალიან მომერიდა და ხმამაღლა ვუთხარი, ამ ასაკოვანი კაცის მაინც არ გრცხვენია, რეებს ლაპარაკობ-მეთქი. კიდევ იყო დამცირების სხვა ფაქტები, მაგრამ ამაზე ხმამაღლა მე რატომ ვილაპარაკო? ყველამ იცის ყველაფერი ძალიან კარგად, მაგრამ არავინ ხმას არ იღებს“.

სიჩუმის მიზეზად ირმა შველიძის ძმა დასახელდა. როგორც მოსწავლეები და მათი მშობლები აცხადებენ, შველიძის ძმა ძალოვან უწყებაში მსახურობს და მასწავლებლებიც სწორედ ამიტომ ცდილობენ მასთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას.

დაზარალებული მოსწავლის მშობელი:

– დირექტორსაც ეშინია ამ ქალის. შეპასუხებასაც კი ვერავინ უბედავს. თვითონ დირექტორიც კი მასწავლებელივით იქცევა მაშინ, როდესაც შველიძე ოთახშია. დირექტორს შველიძე უფრო ჰგავს საქციელით... როგორც ირმა შველიძე იქცეოდა სკოლაში, ის არ იყო სწორი. ჩემი შვილი მეთორმეტე კლასშია, ფურცელიც რომ დაენახა ძირს დავარდნილი, მაშინვე ლანძღვას უწყებდა მასწავლებელი, ღორები უფრო სუფთად ცხოვრობენ, ვიდრე თქვენო. ჯარიმებს ჩემი შვილიც იხდიდა, ყოველ გაცდენილ გაკვეთილზე და ყოველ დაგვიანებაზე.

– სხვა მასწავლებლებთან თქვენს შვილს პრობლემა თუ ჰქონია?

– არა, სხვასთან არასოდეს, მარტო ირმა შველიძესთან იყო ყოველთვის პრობლემები. მაგალითად, ერთხელ ჩემმა შვილმა მოყვა თავის კლასელზე, რომლის მამაც რუსეთში მუშაობს და დიდ ნაწილს სწორედ იქ ატარებს. როდესაც ამ ბავშვის მამა ჩამოვიდა რუსეთიდან, მეორე დღეს ირმა მასწავლებელმა მთელი კლასის თანდასწრებით ჰკითხა მოსწავლეს, გუშინ საღამოს მამაშენი და დედაშენი რით იყვნენ დაკავებულებიო...

არაკორექტული ფაქტების მოყოლა „პრაიმტაიმთან“ საუბრისას მეორე მშობელმაც გააგრძელა. ასკაროვი 15 წლის გოგოს მამაა და ირწმუნება, რომ მის შვილს გაკვეთილზე ქართულის მასწავლებელმა სექსუალური შინაარსის სურათების დათვალიერება აიძულა...

ასკაროვი ზუფლუგოვი, მეხუთე კლასელის მშობელი:

– ჩემს შვილს ჯერ თავში და შემდეგ ხელში ჩაარტყა ჯოხი, მიზეზი ის იყო, რომ ქართულად ნელა კითხულობდა და სწრაფად კითხვა არ შეეძლო. ეს რომ გავიგე, სკოლაში მივედი მაშინვე, მასაც და დირექტორსაც ველაპარაკე და ვუთხარი, იმის მაგივრად, რომ ჩემს შვილს ასწავლოთ, რატომ სცემთ-მეთქი. იქვე მოვთხოვე, არც მე ვიცი ქართული გამართულად და მაშინ მოდით და მეც ჩამარტყით ახლა ჯოხი-მეთქი. მას შემდეგ აღარც გამიმვია ჩემი შვილი სკოლაში, არც გავუშვებ, სანამ ირმა შველიძე ამ სკოლაში იქნება მასწავლებლად. ესეც რომ არა, სხვა ცუდი ფაქტებიც მოხდა ჩემი შვილის კლასში ირმას გამო.

– რა მოხდა?

– ცუდ სურათებს ათვალიერებინებდა გაკვეთილზე ბავშვებს...

– რას გულისხმობთ?

– 18+ ვგულისხმობ. ეს რომ მითხრა ჩემმა შვილმა, პირდაპირ დირექტორთან მივედი. დირექტორის თანდასწრებით შველიძემ უარყო, არაფერი არ მიჩვენებიაო. 14-15 წლის გოგოები და ბიჭები არიან, როგორ შეიძლება მათთვის ასეთი სურათების ჩვენება. როგორ ფიქრობთ, რას გამოინვევს ეს? კარგს არაფერს, რა თქმა უნდა... ამიტომ ჩემი შვილი ახლა სკოლაში არ დადის შველიძის გამო.

– შველიძე რომ გაუშვან, თქვენს შვილს დააბრუნებთ?

– რა თქმა უნდა. ოღონდ ირმა შველიძე გაუშვან და მის მაგივრად ათი ქართველი მასწავლებელი ჩამოიყვანონ. მე ვუთხარი კიდეც დირექტორს, მსგავსი შემთხვევა თუ კიდევ დაფიქსირდება, სადაც საჭიროა, იქ მივალ და ყველაფერს მოვყვები-მეთქი, მას შემდეგ დირექტორი მეუბნება ხოლმე, როცა მხვდება, მოვიდეს თქვენი შვილი სკოლაში, არანაირი პრობლემა აღარ შეექმნებაო.

მასწავლებლ-

ხალილ ხალილოვი: „მინდოდა სკოლაში აღდგენა, მაგრამ უარით გამომისტუმრეს. დირექტორმა მითხრა, თუ ირმა შველიძემ გაგაგდო სკოლიდან, ე.ი. ასე იყო საჭიროო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ლური შინაარსის სურათების დათვალიერებას აიძულებდა

სკოლის მოსწავლის მშობელი: „ცუდ სურათებს ათვალიერებინებდა გაკვეთილზე ბავშვებს... 18+ ვგულისხმობ“

ებისგან განსხვავებით, ღიად საუბრობენ სკოლის მოსწავლეები. თუმცა პირდაპირ გვეუბნებიან, ჩვენს აღიარებას ლოგიკური შედეგი რომ არ მოჰყვეს, ირმა შველიძე კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაგდებსო. მოსწავლეების განცხადებით, თითოეულ ბავშვს თითო გაცდენილ გაკვეთილზე ლარი უნდა გადაეხადა, დაგვიანებაზე – 50 თეთრი, ხოლო ქართული სიტყვის არასწორად წარმოთქმაზე – 20 ან 30 თეთრი, შეცდომის სიმძიმიდან გამომდინარე. „სტავკა“ მუდმივი იყო და როგორც ისინი აცხადებენ, ფულის გადაუხდელობის შემთხვევაში მოსწავლე სკოლიდან ირიცხებოდა. ამის დამადასტურებელი ფაქტიც არსებობს.

თელმან გურბანოვი, სკოლის მოსწავლე:

– იყო შემთხვევები, როდესაც გაკვეთილზე ვაგვიანებდი და თითო დაგვიანებაზე 50 თეთრს გვართმევდა ყველას. თვითონ ირმას გაკვეთილზე, ანუ როდესაც ქართული ენისა და ლიტერატურის საგანი გვქონდა, გვიჭირდა ქართულად გამართულად საუბარი, სიტყვების წარმოთქმა და ამ დროსაც თითო არასწორად წარმოთქმულ სიტყვაში 20-30 თეთრი უნდა გადაგვეხადა. ეს ჯარიმა იყო, თან გვემუქრებოდა, ატესტატს არ მოგცემთ, თქვენი ბედი ჩემს ხელშიაო.

– ფიზიკურ ძალადობას თუ ჰქონდა ადგილი თქვენს კლასში, ან თქვენ მიმართ?

– მე თვითონ ჯოხი მომიქნია, მაგრამ ხელით ავიცილე. ეს არ ყოფილა ერთი და ორი შემთხვევა. როდესაც დაბალკლასელ ბავშვს ჯოხი ჩაარტყა, ამაზე მთელი სკოლა ლაპარაკობდა. ბუნებრივია, ჩვენც გავიგეთ ამის შესახებ, მაგრამ უშუალოდ შემსწრეები არ ვყოფილვართ. ისე ვიცით, რომ იმ ბავშვის მშობლები, ბებია, დედ-მამა მოვიდნენ დირექტორთან და ჩხუბი მოხდა.

– ეს როდის მოხდა?

– დაახლოებით ორი თვის წინ.

– მაშინ არ შეუჩერეს უფლებამოსილება, ან საყვედური მაინც არ გამოუცხადეს?

– არა, მაშინ დირექტორიც ჩაერია, რომ სიტუაცია დაემშვიდებინა. ჩვენს კლასში ხელით შეხება არა, მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც პირდაპირ გაკვეთილზე ეწეოდა სიგარეტს.

– ბოლო დაპირისპირების მიზეზი რა გახდა, რის შემდეგაც ირმა შველიძეს უფლებამოსილება შეუჩერეს?

– ბოლოს ჩვენ, მოსწავლეები, აღარ შევდიოდით ირმა შველიძის გაკვეთილზე პროტესტის ნიშნად.

– მხოლოდ თქვენი კლასი აღარ შედიოდა, თუ დანარჩენი კლასებიც უარს აცხადებდნენ?

– სკოლის მოსწავლეების უმრავლესობა უარს აცხადებდა მის გაკვეთილზე დასწრებაზე.

– დირექტორის ან დამრიგებლის რეაქცია ამ დროს როგორი იყო?

– დირექტორი არაფერს გვეუბნებოდა. ვერც გვეტყოდა ვერაფერს იმიტომ, რომ სიცივეების დროს საკლასო ოთახს შეშის „ფეჩით“ ვათბობდით, ირმა შველიძე „ფეჩს“ სახურავს ხდიდა და მთელი ბოლი საკლასო ოთახში გროვდებოდა, ფანჯრის გაღებას გვიკრძალავდა და ბოლის გამო ხველა გვიტყდებოდა, თავად გადიოდა გაკვეთილიდან ასეთ დროს და ჩვენ გარეთ გასვლას გვიკრძალავდა. ამიტომ როცა აღარ შევდიოდით, დირექტორი ვერ გვაძალებდა გაკვეთილზე დასწრებას, იცოდა, რა მდგომარეობაც იყო. საერთოდ, ირმა შველიძე ისე იქცეოდა, დირექტორი ის უფრო იყო, ვიდრე ძურფაევი. ყველაფერს შველიძე განაგებდა. ბოლოს გვითხრა, თვითონ აირჩიეთ, ჩემს გაკვეთილებზე ან ივლით ან საერთოდ სახლში ნახვალთო, ჩვენც მივდიოდით სახლში.

– „ჯარიმების“ შესახებ დირექტორმა იცოდა?

– პირდაპირ გვეუბნებოდა, თუ გინდათ, გაიგოს დირექტორმა, ეს არაფერს შეცვლისო.

– რამდენი ხანია, რაც შველიძე სკოლაში არ გინახავთ?

– დაახლოებით ერთი კვირაა, არ გამოჩენილა სკოლაში. რომც მოვიდეს, მის გაკვეთილებს მაინც არ დავესწრებით. საერთოდ, სხვა მასწავლებლებსაც არ მოსწონთ შველიძე, ისინიც კარგად ხედავენ, რომ არასწორად იქცევა, მაგრამ ხმამაღლა ამის შესახებ არ საუბრობენ.

– მასწავლებლებთანაც აქვს დაპირისპირება?

- მასწავლებლებთან პირდაპირი დაპირისპირება არ აქვს, ყველა უფრთხის, რადგან ფიქრობენ, რომ მათ სამსახური ექნებათ თუ არა, ეს ირმა შველიძეზეა დამოკიდებული. ამბობენ, რომ, თუ მოინდომებს, შველიძე ნებისმიერ მასწავლებელს გაუშვებს სკოლიდან.

ხალილ ხალილოვი სწორედ ის გარიცხული მოსწავლეა, რომელმაც ჯარიმების ფულის გადახდა ვერ შეძლო. მიუხედავად იმისა, რომ კანონით მისი სკოლიდან გარიცხვის უფლება არავის ჰქონდა, ხალილოვი უკვე თვეზე მეტია, სკოლაში სიარულის ნაცვლად მთელ დღეებს სკოლის ეზოში ატარებს...

ხალილ ხალილოვი, სკოლის მოსწავლე:

– მე სკოლიდან გამომაგდეს იმ მიზეზით რომ ფული ვერ მივიტანე სკოლაში.

– ფული რატომ უნდა მიგეტანა?

– ირმა შველიძის გაკვეთილი გავაცდინე, დაგვიანებაზე 50 თეთრს გვთხოვდა, ხოლო თუ სკოლას გააცდენდი და შესაბამისად, მის გაკვეთილსაც, მაშინ ლარი უნდა გადაგეხადა. როგორც კი შევედი მეორე დღეს მის გაკვეთილზე, მაშინვე ფული მომთხოვა, ვუთხარი, არ მაქვს-მეთქი. მითხრა, მშობელი მოიყვანეო და იმ დღეს გამომიშვა სკოლიდან, როდესაც შემდეგ მშობელთან ერთად მივედი სკოლაში, აღარ შემიშვეს, მითხრეს, რომ ამ სკოლაში აღარ ვირიცხებოდი. პირდაპირ ასე მითხრა ირმა შველიძემ, საერთოდ აღარ მოხვიდე სკოლაშიო.

– დირექტორთან არ საცადეს თქვენმა მშობლებმა საკითხის გარკვევა?

– დირექტორთან მშობლებთან ერთად მივედი, მას გაუჭირდა პასუხის გაცემა, უბრალოდ, გვითხრა, ჩვენს სკოლაში აღარ ფიქსირდებიო.

– რამდენი ხანია, რაც სკოლაში აღარ დადიხარ?

– უკვე ერთი თვეა, რაც გამომაგდეს.

– აღდგენა არ მოითხოვეთ?

– მინდოდა სკოლაში აღდგენა, მაგრამ უარით გამომისტუმრეს, დირექტორმა მითხრა, თუ ირმა შველიძემ გაგაგდო სკოლიდან, ე.ი. ასე იყო საჭიროო. სხვა სკოლაში არ მინდა გადასვლა, ეს სკოლა არის ჩემთან ახლოს.

სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად მუშაობს აზიზქენდის სკოლაში არსებულ პრობლემაზე. პაატა ბელთაძის განცხადებით, მათმა წარმომადგენლებმა მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან შეხვედრები უკვე გამართეს და შედეგად ფულის გამოძალვის ფაქტები დადასტურდა...

პაატა ბელთაძე, სახალხო დამცველის პირველი მოადგილე:

– ფაქტის შესწავლა დაწყებულია, ჩვენი წარმომადგენლები ადგილზე იმყოფებოდნენ, გამოკითხეს მასწავლებლები, მოსწავლეები, მარნეულის რესურსცენტრის წარმომადგენლები, მიმდინარეობს ფაქტის მრავალმხრივი მოკვლევა. როდესაც საუბარი მიდის ფიზიკურ ძალადობაზე, სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ გამოკითხულ პირებს არ დაუდასტურებიათ ფიზიკური ძალადობის ფაქტები. მათ შორის საუბარი იყო ე.წ. „ჯარიმების“ გამოყენებაზე, გაცდენებისა და გაკვეთილის არცოდნის გამო, ეს ფაქტი დადასტურდა. აღნიშნულ ფაქტზე მარნეულის რესურსცენტრის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ ფაქტზე რეაგირება აუცილებლად მოხდება. ფულადობრივ მოთხოვნასთან დაკავშირებით ჩვენ ინფორმაცია გადავაგზავნეთ აუდიტის სამსახურში და განათლების სამინისტროში და მოვითხოვეთ, რომ აღნიშნული გარემოებები გამოიკვლიონ.

– თუ ეს დანაშაულები დამტკიცდება, ირმა შველიძე მხოლოდ სასწავლო პროცესს ჩამოშორდება, თუ შეიძლება მისი პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს?

– რა თქმა უნდა, დამოკიდებული იქნება, ძალადობის რა მასშტაბებზე იქნება საუბარი. ამ ეტაპზე გამიჭირდება შეფასების გაკეთება, მაგრამ, როგორც კი ბოლომდე შევისწავლით საკითხს და კონკრეტული ფაქტები გვექნება, შესაბამისი იქნება ჩვენი რეკომენდაციაც.

– როგორც ცნობილია, აღნიშნულ მასწავლებელს სხვა სკოლაშიც ჰქონდა იგივე სახის პრობლემები და სწორედ ამიტომ მოხდა მისი განთავისუფლება ადრეც, ამ შემთხვევაში რამდენად შეიძლება ვიხილოთ ირმა შველიძე გარკვეული პერიოდის შემდეგ უკვე სხვა სკოლაში?

– თუ ეს მასწავლებელი განმეორებით ახორციელებდა დასჯის მსგავს ფორმებს, და თუ ეს დადასტურდება, ბუნებრივია, დაისმება საკითხი, რამდენად მიზანშეწონილი იქნება მისი სხვა სკოლაში შემვება. თუმცა მანამდე კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ სანამ საკითხი ბოლომდე არ იქნება შესწავლილი, ასეთ დეტალებზე საუბარი ძნელია.

საკითხის დეტალურად შესწავლის შემდეგ, არ არის გამორიცხული, ირმა შველიძის პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს. თავად შველიძე კომენტარისგან თავს იკავებს და ის კონტაქტზე საერთოდ არ გამოდის. როგორც აზიზქენდის ადგილობრივები აცხადებენ, ქართული ენის მასწავლებელი არათუ სკოლაში, სოფელშიც აღარ გამოჩენილა უკვე ერთი კვირაა...

თელმან გურბანოვი: „მე თვითონ ჯოხი მომიქნია, მაგრამ ხელით ავიცილე. ეს არ ყოფილა ერთი და ორი შემთხვევა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

აჭრიან თუ არა თავებს ISIS-ს წევრები ქრისტიან ბავშვებს?

ხათუნა მგალობლიშვილი

ბოლო რამდენიმე კვირაა, ინტერნეტით, სოციალურ ქსელში, საინფორმაციო სააგენტოების მეშვეობით, ვრცელდება მძიმე კადრები წარნერებით: „ერაყში ISIS-ის წევრები ქრისტიან ბავშვებს თავებს აჭრიან“... სურათებიც და ინფორმაციაც ძალიან შემაძრწუნებელია. სურათებს ახლავს გაფრთხილება, მოარიდეთ ბავშვებს... რეალურია თუ არა აღნიშნული ინფორმაციები და აქვს თუ არა კავშირი მას ISIS-თან...

„Dailymail“ აღნიშნულ სურათების ისტორიას საკმაოდ ვრცელ სტატიას უძღვნის და დეტალურად განიხილავს ფოტოების გავრცელების გზასა და გამავრცელებელ პირველწყაროს. „თავების მოჭრაზე“ CNN-თან მარკ არაბომ ისაუბრა ინტერვიუს დროს, რომელმაც განაცხადა, „ISIS სისტემატურად აჭრის თავებს ბავშვებს, შემდეგ კი ქალაქ მოსულში (Mosul), პარკში მარხავს მათ სხეულებსო“. მარკ არაბო სანდიეგოელი ბიზნესმენია. ფაქტია, რომ ISIS ქრისტიანებს დევნის ქალაქ მოსულიდან და ერაყის სხვა ტერიტორიებიდან, მაგრამ მოსახლეობის უმეტესობამ მათთვის საშიში ტერიტორია უკვე დატოვა. გარდა ამისა, ადგილზე მუშაობენ ჟურნალისტები და მათთან ერთად იქ იმყოფება ადგილობრივი მოსახლეობა, რომლებიც არ ადასტურებენ ადამიანების და მათ შორის ბავშვების მასობრივ დახოცვასა და თავების მოჭრას. შესაბამისად, ისინი არც პირადად შესწრებიან ასეთ ფაქტებს და არც ამის დამადასტურებელი ფაქტები აქვთ ფოტოებისა თუ ვიდეოჩანაწერების სახით. „Dailymail“ კითხვას სვამს, ეს ყველაფერი თუ რეალობაა, რატომ არაფერს ყვებიან ამის შესახებ დევნილი ქრისტიანები, რომლებიც უკვე საშშვიდობოს არიან გამოსულები...

მედიის იმ ნაწილსა და ფოტოების გამავრცელებელ კონკრეტულ ადამიანებს ექსპერტების დიდი ნაწილი ცეცხლზე ნავთის დამსხმელებად მოიხსენიებს. განსაკუთრებით უსამართლო სპეკულაციად ფასდება ის ქმედება, როდესაც კონკრეტული ადამიანები ირწმუნებიან, პირადად შევესწარით და პირადად ვნახეთ, როგორ აჭრიან ბავშვებს თავებს ISIS-ის წევრებიო...

კადრი, სადაც მიწაზე მჯდომ პატარა ბიჭუნას თავი აქვს აწეული და მის სახეზე სამი დამიზნებული ლულაა მიდებული – ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ბიჭუნა ერაყში იმყოფებოდა და მასზე სწორედ ISIS-ის მებრძოლები ძალადობდნენ. „Dailymail“ ირწმუნება, რომ რეალობა სულ სხვაა... პირველად ეს სურათი 2014 წლის 11 აპრილს გავრცელდა და ის „Catholic Online“-მა facebook-ის გვერდზე – „Person From Yemen“ გამოჩნდა. საიტზე არაფერი იყო ნათქვამი ფოტოს გადაღების ადგილსა და ისტორიაზე. ცნობილია, რომ „Catholic Online“-ს არაფერი საერთო არ აქვს კათოლიკურ ეკლესიასთან. შესაბამისად, უცნობია, საიდან ჰქონდათ მათ ეს კადრი მოპოვებული. როგორც გაირკვა, ფოტო სწორედ იემენშია გადაღებული და ბიჭუნაც იემენის მაცხოვრებელია. მოგვიანებით, იგივე სურათი სირიის არმიის ვებგვერდზე აიტვირთა და კონკრეტული ადამიანები ირწმუნებოდნენ, რომ ეს იყო ამერიკელი ბიჭუნა და ის სირიელმა მეამბოხეებმა აიყვანეს მძევლად. ბუნებრივია, ძნელია რეალობის გარკვევა, თუმცა „Dailymail“-ი დარწმუნებით წერს, რომ კადრი არ არის აღბეჭდილი არც ქალაქ მოსულში და მით უფრო, არც ჩრდილოეთ ერაყში.

„Catholic Online“-მა კიდევ ერთი შემაძრწუნებელი კადრი გაავრცელა, რომელზეც აღბეჭდილია თავმოჭრილი გოგონას სხეული წარწერით, რომ ეს ჩაიდინა ISIS-მა. გამავრცელებლები ირწმუნებოდნენ, რომ გოგონა სირიელი მუსლიმანი, ფატიმა მეგჰლაჯი იყო და მას მეამბოხეებმა მოჰკვეთეს თავი. რეალურად კი ირკვევა, რომ ფოტო 2013 წლის დროინდელია და ის მაშინ დაილუპა, როდესაც მისი სახლი დაიბომბა... ბუნებრივია, გოგონას დაღუპვა თავისთავად ტრაგედიაა და ომიც მსოფლიო პრობლემაა, თუმცა ამ შემთხვევაში საქმე გვქონდა ომის რეალურ შედეგებთან და დანით თავის მოკვეთასთან...

ერთ-ერთი ყველაზე მძიმე „შუაზე გაჭრილი“ ბავშვის ისტორია იყო. ინტერნეტსივრცეში ირწმუნებოდნენ, რომ ISIS-მა, ბაპტისტური რიტუალის შესრულებისას, პატარა შუაზე გაჭრა. „Dailymail“-მა შეძლო და იპოვა ადამიანი, რომელიც უშუალოდ ყვებოდა და ავრცელებდა აღნიშნულ ინფორმაციას. მამაკაცს თავადაც სჯეროდა საკუთარი სიტყვების სიმართლისა, თუმცა, როდესაც დეტალური აღწერა სთხოვეს, განაცხადა, რომ დასახიჩრებული სხეული დაბომბვის შედეგი იყო და ადგილი არ ჰქონია მახვილით სხეულის შუაზე გაჭრას...

სოზარ სუბარი: „ამ ყველაფერს ნამდვილად არ აქვს რელიგიური ნიშანი, ეს არ არის რელიგიური დაპირისპირება, ეს არის ანტიცივილიზაციის ამბოხი ცივილიზაციის წინააღმდეგ“

არჩილ გამზარდია: „მაქვს შიში, ეს საინფორმაციო ნაკადი მიზნად ხომ არ ისახავს გარკვეული ისტერიის აფეთქებას“

მიუხედავად რეალური და არარეალური ისტორიებისა, ფაქტია, რომ საქართველოში წლების წინათ დაწყებულ ომს სწორედ ამდენი ხნის შემდეგ მოჰყვა რეაქცია და სოციალური ქსელი პირდაპირი გაგებით „აფეთქდა“ საკმაოდ მძიმე, სისხლიანი სურათებით... საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები ემოციებს აჰყვნენ და მზადყოფნას გამოთქვამენ საკუთარი სახლი, ენერგია და ფინანსები დაუთმონ ძალადობას გადარჩენილ მსხვერპლებს... ყოფილი სახალხო დამცველის განცხადებით, დღე არ გადის, საქართველოს საზღვარს მინიმუმ ერთი უცხოელი მაინც არ მოადგეს დევნილის სტატუსის მიღების თხოვნით და ასეთი ადამიანების დასახმარებლად მთავრობა ყოველთვის ცდილობდა მაქსიმუმის გაკეთებას...

სოზარ სუბარი: „დღე არ გავა, საქართველოს ერთი ადამიანი მაინც რომ არ მოადგეს სხვა ქვეყნიდან – ავღანეთიდან, პაკისტანიდან, აფრიკიდან. საქართველო აკეთებს და გააკეთებს მაქსიმუმს ამ ადამიანების დასახმარებლად. მჯერა საზოგადოების გულწრფელობის, როდესაც დახმარების მზაობას გამოხატავს, მაგრამ მთავარია, როდემდე გასტანს ეს გულწრფელობა, რადგან ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს, რა მდგომარეობა და როგორი დამოკიდებულება იყო აფხაზეთიდან დევნილების მიმართ თავის დროზე, თუმცა დღეს ბევრი მოქალაქე ღიად სვამს კითხვას, როდემდე შეიძლება მათზე მთავრობამ იზრუნოს“...

სოზარ სუბარი: „ბოლო ორი წელია, რაც მასობრივი სისასტიკე დაიწყო, ჯერ ჩრდილოეთ ერაყში და შემდეგ სირიაში. მართალია, არის შემთხვევები, როდესაც მეტი სისასტიკე გამოიყენება ზოგჯერ ქრისტიანების, ზოგჯერ იეზიდების მიმართ, მაგრამ ამ ყველაფერს ნამდვილად არ აქვს რელიგიური ნიშანი, ეს არ არის რელიგიური დაპირისპირება, ეს არის ანტიცივილიზაციის ამბოხი ცივილიზაციის წინააღმდეგ. ეს არის არაადამიანურობის ბრძოლა ადამიანურობის წინააღმდეგ და მართალია, რომ ჩვენ, ადამიანები, ვაგვიანებთ რეაგირებას ამ სისასტიკეზე. 2014 წლის ივლისში არალეგალურად, ყოველგვარი ვიზის გარეშე საზღვარს არასრულწლოვანი მუსლიმანი გოგონა მოადგა ერაყიდან, რომელსაც მთელი ოჯახი ამოუწყვიტეს იმ მიზეზით რომ, ISIS წევრების აზრით, მისი ოჯახი არ იყო შარიათის მიმდევარი, ოჯახი ტრადიციული შარიათის მიმდევარი იყო. ბავშვი ყოველგვარი პრობლემის გარეშე შემოვიდა საქართველოში, მას დაენიშნა მეურვე, მოხდა სტატუსის მინიჭება, გავუწიეთ ფინანსური დახმარება... იყო სხვა შემთხვევაც, ასევე ერაყიდან, ეთნიკურად არაბი, ოღონდ ქრისტიანი, რომელსაც ასევე მთელი ოჯახი ამოუწყვიტეს, საქართველოში იმყოფება და ყველანაირი დახმარებას ვუწევთ... ასეთი ფაქტები არსებობს და ეს არ არის გამონაკლისი ისტორიები. ასეთი ადამიანების მიმართ არავითარი სავიზო რეჟიმი არ არსებობს. ბუნებრივია, ჩვენ ყველას ვეხმარებით, როდესაც ასეთ შემთხვევებზეა საუბარი“ - განაცხადა სუბარმა საზოგადოებრივ მაუწყებელთან საუბარში.

ექსპერტ კახა გოგოლაშვილს კი მიაჩნია, რომ ხელისუფლებამ კონკრეტული ციფრი უნდა დაასახელოს, რამდენი დევნილის მიღების საშუალება აქვს, დიდი ნაკადის შემოსვლა რომ არ მოხდეს ქვეყანაში...

კახა გოგოლაშვილი: „ჩვენმა ქვეყანამ ახლა ყველას რომ მოუწოდოს, წამოდით, ვისაც გინდათ საქართველოშიო, იმხელა ნაკადი შეიძლება წამოვიდეს ჩვენკენ, რომ ქვეყანამ ვერ გაუძლოს, მით უფრო, თუ რაიმეს დავპირდებით. თუმცა ვფიქრობ, ყველაფერი კარგად უნდა დავითვალოთ და ოფიციალურად გავაცხადოთ, რომ ქვეყანა თანახმაა, მიიღოს, მაგალითად, სამი ათასი კაცი ერთი წლის განმავლობაში... ვფიქრობ, ეს გზა უფრო მისაღები და შესაძლებელი იქნება“.

არჩილ გამზარდია კი ეჭვობს, რომ ემოციური ფონი მიზანმიმართულად იქნა გამოწვეული კონკრეტული მიზნის მისაღწევად...

არჩილ გამზარდია: „ბუნებრივია, ყველას აქვს სურვილი, დაეხმაროს ამ ადამიანებს. უბრალოდ, ჩემთვის უცნაური იყო თავად თემის ასე წამოწევა. ყველამ კარგად ვიცით, რომ ინფორმაციები და ასეთი თემები შემთხვევით არ ექცევა ყურადღების ცენტრში. ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთი ის ქვეყანაა, რომელსაც, მიუხედავად საკუთარი გაჭირვებისა, ყოველთვის აქვს მზაობა, დაეხმაროს დევნილებს. ჩვენ ახლაც ღია გვაქვს ჩვენი ქვეყნის კარი ამ ადამიანებისთვის, სახელმწიფო ახლაც მაქსიმალურ ძალისხმევას გამოხატავს. მაქვს შიში, ეს საინფორმაციო ნაკადი მიზნად ხომ არ ისახავს გარკვეული ისტერიის აფეთქებას... მე პოზიცია არ გამომითქვამს, მე უბრალოდ დავსვი კითხვა: მაინცდამაინც ორი დღის წინ, კონკრეტული ტელეკომპანიის ამბის შექმნაში ხომ არ იყო ჩადებული რაიმე სხვა იდეა?“

კახა გოგოლაშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თბილისის ამბულატორიული ცენტრი

სამედიცინო კორპორაცია ევექსი

ჩვენი სერვისები

- სრული გეგმიური ამბულატორიული მომსახურება
- მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური კვლევები

ჩვენი უპირატესობები

- პაციენტსა და მის უსაფრთხოებაზე ორიენტაცია
- პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები
- ISO 9001:2008 საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე ლაბორატორია
- მომსახურების თანამედროვე სტანდარტები

„თბილისის ამბულატორიული ცენტრი" არის ყველაზე ფართო ჰოსპიტალური ქსელის „სამედიცინო კორპორაცია ევექსის" ამბულატორიული ცენტრი. კორპორაცია დღეისათვის მართავს 39 კლინიკას ქვეყნის 6 რეგიონში.

ვაჟა-ფშაველას გამზირი 40 | +995 32 2 55 05 05 | info-evex@evex.ge | www.evex.ge

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საფრთხის შემცველი რეგიონები საქართველოში

მამუკა არეშიძე: „საქართველოს რეგიონებსა და მათ წინაშე არსებულ საფრთხეებს რომ გადახედოთ, გაირკვევა, რომ ყველაზე ნაკლები საფრთხე იმერეთის რეგიონისთვის არსებობს“

რომელ რეგიონში რა საფრთხემ შეიძლება „იფეთქოს“

EXCLUSIVE

„მე ხელისუფლებას ვამტყუნებ და ვაკრიტიკებ იმის გამო, რომ ისლამური ფუნდამენტალიზმის საფუძველი თვითონ უნდა მოსპოს ხეობაში“



ხათუნა მგალობლიშვილი

პანკისიდან სირიაში გადასული ორი ახალგაზრდის შემდეგ პოლიტიკოსების დიდმა ნაწილმა პროცესის ორგანიზატორის ვინაობის გარკვევა დაიწყო. ოპოზიციის ნაწილმა ნაციონალების კვალს „მიაგნო“, ნაწილმა ხელისუფლების სისუსტეს მიაწერა. პრემიერ-მინისტრმა ოპოზიციის საპასუხოდ განმარტება გააკეთა, აღნიშნულ პრობლემას მსოფლიო ებრძვის და გამონაკლისი საქართველო ვერ გახდებაო: „პანკისიდან სირიაში გადასული 2-3 ადამიანის გამო სკანდალს ნუ შექმნით. „ისლამური სახელმწიფო“ არის მთელი მსოფლიოს თავის ტკივილი – მსოფლიო ლიდერები ვერ პოულობენ გამოსავალს, როგორ უნდა აღკვეთონ მოხალისეების წასვლა სირიაში. ეს არის პრობლემა, რომელიც მთელ მსოფლიოს აწუხებს, და საქართველო არ არის გამონაკლისი. ჩვენ ვართ გამონაკლისი იმ კუთხით, რომ მხოლოდ რამდენიმე ადამიანია წასული. შეგახსენებთ, რომ პანკისის 100-ზე მეტი მკვიდრი ხელისუფლებაში ჩვენს მოსვლამდე გავიდა სირიაში, ჩვენი მთავრობის პირობებში კი სულ რამდენიმე ახალგაზრდა გადაადგილდა თურქეთის მიმართულებით, საიდანაც, ალბათ, გადავიდნენ სირიაში – 2, 3 ან 4, 5 ადამიანი შეიძლება იყოს“.

ექსპერტი მამუკა არეშიძე მიიჩნევს, რომ ერთადერთი შენიშვნა რომელსაც ხელისუფლება პანკისის ხეობასთან დაკავშირებით იმსახურებს, ეს ხეობაში ისლამური ფუნდამენტალიზმის საფუძვლების მოსპობის არასაკმარისი მცდელობაა...

არეშიძის განცხადებით, საფრთხეებს, პანკისის ხეობის გარდა, სხვა რეგიონებიც შეიცავენ. ერთადერთ „ნათელ წერტილად“ კი ექსპერტი იმერეთს ასახელებს, სადაც საფრთხის დონე მინიმალურია...

მამუკა არეშიძე, ექსპერტი:

– ფუნდამენტალიზმის კუთხით საქართველოში სამი მთავარი პრობლემური რეგიონია: კახეთის რაიონი, პანკისის ხეობა; ქვემო ქართლი, ძირითადად გარდაბნისა და მარნეულის რეგიონები და რაჭა. ეს არის რეგიონები, სადაც ყველაზე ძლიერია რელიგიური ფუნდამენტალიზმის განწყობები. ამას მოწმობს ისიც, რომ სწორედ ამ სამი რეგიონიდან არიან ძირითადად წარმოდგენილი ერაყსა და სირიაში ისლამური ფრონტის რიგებში. შესაბამისად, დაღუპულთა რაოდენობაც სწორედ ამ რეგიონებიდან გროვდება.

– ვინ შეიძლება გააღვივოს ეს საფრთხეები ან რა გზებით?

– ვინ შეიძლება გამოიყენოს ეს თემები – თავად კითხვა შეეხება ყველა იმ საფრთხესა და გამოწვევას, რომელიც საქართველოს წინაშე არსებობს. შეიძლება ოდნავ კომიკურად ჟღერდეს, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ საქართველოს რეგიონებს და მათ წინაშე არსებულ საფრთხეებს რომ გადახედოთ, გაირკვევა, რომ ყველაზე ნაკლები საფრთხე იმერეთის რეგიონისთვის არსებობს. ერთადერთი გამონაკლისია იმერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც სამხრეთ ოსეთს ესაზღვრება. დანარჩენ რეგიონებში საფრთხეები ბევრად უფრო მაღალია, რაც, საბოლოო ჯამში, სახელმწიფოსთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. არსებობს ისეთი ფუნდამენტური საფრთხეები, რომლებსაც საფუძველი ჯერ კიდევ წინა ხელისუფლებების დროს ჩაეყარა, მაგალითად, საქართველოს მთიანეთის დეპოპულაცია. ეს არის სერიოზული საფრთხე, რომელიც ყოველდღიურად გვახსენებს თავს, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელისუფლებების რეაგირება ბოლო დრომდე არ იყო ადეკვატური.

– ახლა რა შეიცვალა?

– ახლა იქმნება სოციალურ-ეკონომიკური აღორძინების კანონი და შესაბამისი კონცეფცია. იმიტომ რომ მთიანეთის დეპოპულაცია ხდება, ძალიან ხშირი შემთხვევებია, როდესაც იქ ვკარგავთ ტერიტორიებს სხვადასხვა რაოდენობით. ხშირ შემთხვევაში ეს ხდება რუსეთის მიერ საზღვრის ხელოვნურად გადმოწევით, სწორედ იმიტომ რომ ადგილობრივი ტერიტორია თავისუფალია და საზოგადოებისთვის ამ ფაქტების შესახებ უცნობი რჩება, ზოგ შემთხვევაში კი ჩვენი მოსაზღვრეები გადმოდიან, მაგალითად, მეცხვარეებისთვის სახლებს აშენებენ საქართველოს ტერიტორიაზე, თავდაპირველად დროებით რჩებიან ამ სახლებში, გარკვეული პერიოდის შემდეგ კი აცხადებენ, რომ ეს მათი ტერიტორიაა. ასეთი შემთხვევა იყო, მაგალითად, დუშეთის რაიონში. ეს რაც შეეხება მთიან რეგიონებს. არსებობს, ასევე, საზღვრის პრობლემა, რომელიც სერიოზული საფრთხეა. საქართველოს საზღვარი სამ მეზობელ ხელისუფლებასთან არ არის დემარკირებული. ცალკე საფრთხეს წარმოადგენს სეპარატიზმი, რომელიც თავისთავად ეხება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, მათ გარდა, იგივე პრობლემაა ჯავახეთშიც. მიუხედავად იმისა, რომ ჯავახეთში სეპარატისტული განწყობები მინიმუმამდეა დაყვანილი, ხშირ შემთხვევაში მესამე ქვეყნის მიერ, რუსეთს ვგულისხმობ, ხელოვნურად ხდება სეპარატიზმის გაღვივება. არანაკლებ საშიში და პრობლემურია მიგრაციის საკითხიც, რომელიც ბოლო პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა. საქართველოს ბევრი ადამიანი ტოვებს და შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანა უპატრონოდ რჩება. შესაბამისად, ყველა ეს ფაქტორი გასათვალისწინებელია. ბუნებრივია, ყველა ეს საფრთხე დღეს არ გაჩენილა, აქამდეც იყო მუდმივად. მეტიც, ზოგიერთ საფრთხეს საუკუნოვანი „ტრადიციაც“ კი აქვს, მაგრამ საფრთხეების ხარისხს გააჩნია. სახელმწიფოს მოვალეობაა, შეამციროს მსგავსი ტიპის საფრთხეები, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ. ზოგიერთ შემთხვევაში ეს არის სუბიექტური საფრთხე, ზოგიერთ შემთხვევაში – ობიექტური.

– მიგაჩნიათ, რომ ხელისუფლება მუშაობს ამ საფრთხეების ხარისხის შემცირებაზე?

– სხვადასხვა დროს ხელისუფლებები ახერხებდნენ ამ საფრთხეების შემცირებას, მაგრამ პრობლემა ადრეც და ახლაც არის ის, რომ საფრთხეებით დაინტერესებული ქვეყნები ყოველთვის ახერხებდნენ სათავისოდ ამ საფრთხეების კატასტროფაში გადაზრდას, როგორც, მაგალითად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში მოხდა. ხელისუფლებებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი მიდგომა, რომ საფრთხეები მინიმალურ დონეზე დაიყვანონ.

– რამდენად კატასტროფულია პანკისიდან სირიაში გადასული მოსწავლეების ფაქტი? პრემიერ-მინისტრის განცხადებით, პანკისიდან სირიაში გადასული 2-3 ადამიანის გამო სკანდალი არ უნდა შეიქმნას...

– რა თქმა უნდა, არ უნდა შეფასდეს ეს, როგორც კატასტროფა. მაგალითად, მე ხელთ მაქვს ფაქტები, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ, მაგალითად, გერმანიიდან 80-მდე ახალგაზრდა გოგონაა ნასული სირიასა და ერაყში. ამ შემთხვევაში საუბარია 15 წლიდან 20 წლამდე გოგოებზე, მოჯახედების ცოლებზე. ამ ოთხმოცი გოგონადან დაახლოებით 10-15%-ია მუსლიმანური წარმოშობის, დანარჩენი ყველა ეთნიკური გერმანელია. ასეთივე მდგომარეობაა საფრანგეთშიც და ბრიტანეთშიც. ძალიან რთულია ამ პროცესის საზღვარზე მუდმივი კონტროლი. ამიტომ ვერ გავამტყუნებ ვერც მესაზღვრეებს და ვერც ძალოვნებს. მე ხელისუფლებას ვამტყუნებ და ვაკრიტიკებ იმის გამო, რომ ისლამური ფუნდამენტალიზმის საფუძველი თვითონ უნდა მოსპოს ხეობაში. ბუნებრივია, საზღვარზე ყველას დაჭერა ძალიან რთული და, პრინციპში, წარმოუდგენელიცაა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საქართველო C ჰეპატიტის გარეშე!

რას მოიცავს C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის პირველი ეტაპის ღონისძიებები?

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

ა) C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკას: 1) მკურნალობაში ჩართვამდე; 2) მკურნალობის პროცესის მონიტორინგისთვის აუცილებელი კვლევების ჩატარებას.

ბ) C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა მკურნალობას C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებით.

ვის შეუძლია ისარგებლოს დიაგნოსტიკის კომპონენტით?

საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც ჩატარებული აქვს კვლევა C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრის შინნით სწრაფ/მარტივ ან/და იმუნოფერმენტული ანალიზის (იფა) მეთოდით და მიღებული აქვს დადებითი პასუხი, შეუძლია პროგრამის ფარგლებში ჩაიტაროს მკურნალობამდე ჩართვამდე აუცილებელი სხვა კვლევები.

რომელი კვლევები ტარდება პროგრამის ფარგლებში მკურნალობაში ჩართვამდე?

მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი სხვა კვლევები ტარდება შემდეგი პრინციპით:

- ექიმთან ვიზიტი;
- სისხლში HCV რნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრა PCR მეთოდით;
- HCV რნმ დადებითი შედეგის მქონე პაციენტებს ეტარდებათ სისხლის საერთო ანალიზი, ღვიძლის ფუნქციური სინჯები (ALT, AST კვლევები) და ღვიძლის ფიბროზის ხარისხის განსაზღვრა FIB-4 ტესტის დათვლით;
- იმ შემთხვევაში, თუ FIB4 ქულა არის 1.45 - 3.25 მანძილებს შორის, პაციენტებს დამატებით უტარდებათ ღვიძლის ელასტოგრაფია;

ღვიძლის ფიბროზის F3, F3-F4 და F4 ხარისხის მქონე პაციენტებს უტარდებათ შემდეგი გამოკვლევები:

- HCV გენეტიკური ტიპის განსაზღვრა PCR მეთოდით;
- HBsAg, Anti-HBs, G-GT, ტუტე ფოსფატაზა, ბილირუბინი (პირდაპირი და საერთო), კრეატინინი, გლუკოზა, ალბუმინი, INR, ANA, TSH, მუცლის ღრუს ულტრაბგერითი გამოკვლევა;
- პაციენტებს, HCV ინფექციის კლინიკურად მნიშვნელოვანი ექსტრაჰეპატური გამოვლინებებით უტარდებათ ქვეკომპონენტთან გათვალისწინებული ყველა კვლევა.

მკურნალობაში ჩართვამდე პროგრამით გათვალისწინებული სერვისით სარგებლობისთვის:

პაციენტმა უნდა მიმართოს პროგრამის მიმწოდებელ დაწესებულებას (სურვილის შესაბამისად). შერჩევის შემდეგ სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების სია გამოქვეყნდება ჯანმრთელობის სამინისტროს ვებ გვერდზე www.moh.gov.ge. ასევე, დამატებით ინფორმაციას მიიღებთ ცხელ ხაზზე – 1505.

რას გულისხმობს მკურნალობის კომპონენტი?

მკურნალობის კომპონენტი გულისხმობს C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებით, კერძოდ, ა) სოფოსბუვირით, ბ) პეგილირებული ინტერფერონთა და გ) რიბავირინით უზრუნველყოფას.

ვის შეუძლია ისარგებლოს მკურნალობის კომპონენტით?

მკურნალობის კომპონენტით სარგებლობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირებს, პროგრამაში პაციენტთა ჩართვის კრიტერიუმების გათვალისწინებით.

მკურნალობის კომპონენტით სარგებლობისთვის:

ა) პაციენტი უნდა დარეგისტრირდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში (თბილისში: სამინისტროს მისაღებში ან სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ ცენტრებში. რეგიონებში – რეგიონულ ცენტრებში), სადაც პაციენტმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარადგინოს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა – ფორმა NIV-100/ა (დედანი), მკურნალობაში ჩართვის ნინ ჩატარებული კვლევების დოკუმენტები (დასაშვებია მხოლოდ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში შესაბამისი საქმიანობის უფლების მქონე დაწესებულებებში ჩატარებული კვლევების წარმოდგენა), პირადობის მოწმობის ასლი და მშობლის შესაბამისი ფორმის განაცხადი. აძასთან, პაციენტი ირჩევს სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებას, სადაც სურს მომსახურების მიღება.

ბ) დარეგისტრირებული პაციენტის დოკუმენტაცია განიხილება კომისიურად და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, გაიცემა თანხმობის წერილი;

გ) პაციენტმა მკურნალობის დასაწყებად თანხმობის წერილის მიღებიდან 7 კალენდარული დღის განმავლობაში უნდა მიმართოს შესაბამის დაწესებულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თანხმობის წერილი ბათილად გაუქმებულად.

რა მოთხოვნები არსებობს ფორმა NIV-100/ა მიმართ?

- ფორმა NIV-100/ა გაცემული უნდა იყოს სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულების მიერ და მოიცავდეს ინფორმაციას ჩატარებული კვლევების, მათი შედეგების, ასევე, დანიშნულების (მედიკამენტებისა და დოზირებების მითითებით) და მკურნალობის კურსის ხანგრძლივობის შესახებ.
- ფორმა NIV-100/ა-ს ოან უნდა ერთვოდეს შემდეგი დიაგნოსტიკური კვლევები (ჩატარების თარიღების და შედეგების მითითებით): HCV რნმ-ის რაოდენობრივი, გენეტიკური ტიპის, ღვიძლის ფიბროზის ხარისხის კვლევები, ასევე, სისხლის საერთო ანალიზი, ALT, AST, HBsAg, Anti-HBs, G-GT, ტუტე ფოსფატაზა, ბილირუბინი (პირდაპირი და საერთო), კრეატინინი, გლუკოზა, ალბუმინი, INR, ANA, TSH, მუცლის ღრუს ულტრაბგერითი გამოკვლევა.
- მკურნალობამდე ჩასატარებელ საჭირო კვლევების (გარდა გენეტიკური ტიპისა) ვალიდური ვადები შეადგენს არაუმეტეს 3 თვეს.

პაციენტთა ჩართვის კრიტერიუმები:

- მკურნალობის პოტენციური კანდიდატია ყველა აქტიური HCV ინფექციით პაციენტი, ვისაც მკურნალობის სურვილი აქვს და არ აქვს C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებზე უკუჩვენებები. კერძოდ პაციენტები, რომელთაც არასდროს არ ჩატარებიათ ანტივირუსული მკურნალობა და პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდათ ანტივირუსული მკურნალობა, მაგრამ იყო იყო ნარეგმატებელი.
- ანტივირუსული მკურნალობის დაწყებისა და პაციენტების შერჩევისას პრიორიტეტულია შემდეგ ჯგუფები:
  - ➢ პაციენტები, ღვიძლის კომპენსირებული ციროზით (F4);
  - ➢ პაციენტები, ღვიძლის მორსწასული ფიბროზით (F3);
  - ➢ პაციენტები, ღვიძლის დეკომპენსირებული ციროზით (ღვიძლის ტრანსპლანტაციის კანდიდატები);
  - ➢ პაციენტები, ღვიძლის ტრანსპლანტაციით და HCV რეინფექციით;
  - ➢ პაციენტები, HCV ინფექციის კლინიკურად მნიშვნელოვანი ექსტრაჰეპატური გამოვლინებებით;
  - ➢ პაციენტები, აივ და/ან HBV კოინფექციით.

სად და როგორ მოხდება მედიკამენტების გაცემა პაციენტებზე?

- პაციენტის მკურნალობაში ჩართვა სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებაში ხორციელდება პაციენტის მიერ თანხმობის წერილის და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემთხვევაში.
- სერვისის მიმწოდებელი პაციენტზე პეგილირებულ ინტერფერონს და რიბავირინს გასცემს სამკურნალო სქემის შესაბამისი რაოდენობით (არაუმეტეს ერთი თვის მარაგისა);
- სერვისის მიმწოდებელი სოფოსბუვირს გასცემს ერთი ფლაკონის (28 ტაბლეტიანი) ოდენობით. **სავალდებულოა: ფლაკონი გაიხსნას ადგილზე და პირველი აბი პაციენტმა მიიღოს სამედიცინო პერსონალის თანდასწრებით, კამერის მეთვალყურეობის ქვეშ.** პაციენტს გადაეცემა ფლაკონი, რომელშიც არის 27 ტაბლეტი სოფოსბუვირი.
- სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებაში მედიკამენტი გაიცემა ყოველდღე.

რა პირობები უნდა დაიცვას პაციენტმა მკურნალობის პროცესში:

პაციენტისთვის სავალდებულოა:

- მკურნალობის პროცესში, ყოველი მეორე კვირის ბოლოს, მედიკამენტის ფლაკონის წარმოდგენა სერვისის მიმწოდებელთან და კამერის წინ ფლაკონის, ბარ-კოდის და ფლაკონში მედიკამენტის დარჩენილი რაოდენობის დოკუმენტირება;
- მედიკამენტის მომდევნო ფლაკონის მისაღებად ცარიელი ნინა ფლაკონის ჩაბარება.

პაციენტისთვის დაუშვებელია:

- პროგრამის ფარგლებში მიღებული მედიკამენტის რეალიზაცია/გაყიდვა/დათმობა პროგრამის არამონაწილე ბენეფიციარზე;
- მედიკამენტის, ან მისი შეფუთვის (კოლოფის, ფლაკონის, ბარ-კოდის სტიკერის) დაზიანება, გაყალბება, გაყალბების მცდელობა.

- **პაციენტზე მედიკამენტების გაცემისას გამონაკლისი შემთხვევები განიხილება ინდივიდუალურ რეჟიმში კომისიის მიერ.**
- **მკურნალობის რეჟიმის და სავალდებულო პირობების დარღვევის დაფიქსირების, ასევე, მკურნალობის მეოთხე კვირის ვადაზე HCV RNA შეუსაბამო/საეჭვო მაჩვენებელის დაფიქსირების შემთხვევაში, პაციენტზე მედიკამენტის გაცემის წესი შეიცვლება და განხორციელდება DOT პრინციპით, ყოველდღიურად სერვისის მიმწოდებელთან, სამედიცინო პერსონალის და ვიდეოკამერის მეთვალყურეობის ქვეშ.**

რას გულისხმობს მკურნალობის მონიტორინგი?

მკურნალობის მონიტორინგი გულისხმობს დადგენილი პერიოდულობით, მკურნალობის პროცესის მონიტორინგისთვის აუცილებელი შემდეგი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფას:

- ➢ ექიმთან ვიზიტი;
- ➢ სისხლში HCV რნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრა PCR მეთოდით;
- ➢ სისხლის საერთო ანალიზი, ღვიძლის ფუნქციური სინჯების (ALT, AST კვლევები), ბილირუბინის (პირდაპირი და საერთო), კრეატინინის, TSH განსაზღვრა;
- ➢ მკურნალობის პროცესში ექიმის მიერ ხორციელდება დეპრესიის მონიტორინგი, მკურნალობის რეჟიმის დაცვის კონტროლი და გვერდითი ეფექტების მონიტორინგი.

დიაგნოსტიკის კომპონენტით გათვალისწინებული კვლევების დაფინანსების წესი:

დიაგნოსტიკის კომპონენტის ფარგლებში პაციენტთა მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 70%-ს. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული იმ ოჯახების წევრებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს, თანაგადახდა შეადგენს 30%-ს.

დაავადების მართვის შესახებ ინფორმაციას გაეცანით შემდეგ მისამართზე

www.hepatiti.ge

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სევდად ქცეუ

კოტ

my View
თამარ გონგაძე

ყველას დაგვწყვიტა გული, გული, რომელიც სიყვარულით სავსე გრაალის თასია. როდესაც სააქაოდან უდროოდ და მოულოდნელად მიდის ადამიანი, უნებურად გიპყრობს ფიქრები, რომ არავის აწყენინებ, არაფერზე ინაღვლებ, ყველა გეყვარება... ნაკლებად მახსენდება შემთხვევა, როდესაც უეცრად გარდაცვლილ ახალგაზრდა ადამიანს ამდენი დაწყვეტილი გულის ასხმა წაეღოს თან... აღდგომის წინა საღამოს კოტე თოლორდავას გარდაცვალებამ საქართველო საერთო სევდით მოიცვა. შოკირებული კოლეგები ერთმანეთთან აზუსტებდნენ ინფორმაციას, სოციალური ქსელი მსახიობის ღიმილიანმა ფოტოებმა ააჭრელა - კოტე თოლორდავა გარდაიცვალა... ეს ძლიერი ენერგეტიკის, გამორჩეული ტემბრისა და თბილად სევდიანი თვალების მქონე ნიჭიერი მსახიობი თურმე ამბობდა, ჩემი გული ამდენს ვერ გაუძლებს, 35 წელზე მეტს ვერ ვიცხოვრებო. ამას აქ წინათგრძნობას ვეძახით. გული უგრძნობდა. მოსკოვში ფილმის გადაღებაზე წასული უკან ჩამოასვენეს... მერე ერთმა რუსულმა სააგენტომ ინფორმაცია გაავრცელა, გარდაცვლილი კოტეს სასტუმროს ნომერში ერთჯერადი შპრიცი და თეთრი ფხვნილი იპოვესო. ისევ აჭრელდა სოციალური ქსელი. ამოიღეს კოტეს ძველი ინტერვიუ, სადაც ამბობს - მე ნარკომანი ვარო. ვახტანგ რჩეულიშვილმა დაწერა: კოტე თოლორდავა კაიფში „გაიპარაო“... საშინელებაა... უბედნიერესი ოჯახი ერთ წუთში დაიღუპა. 35 წლის კაცის ნარკომანობა უკვე სამარცხვინოა - იმდენი ჭკუა კი უნდა გქონდეს, რომ შენს თავს აღარ ეკუთვნი მარტო. მანამდე „კორო“ დავკარგეთ - ლევან კორინთელი, ახალი ქართული კინოს ნამდვილი ლოკომოტივი. ნარკომანიის წინაშე ყველა უძლურები ვართ. მხოლოდ საერთო ძალისხმევით შეიძლება ამ სენთან ბრძოლა. ყველა უნდა ჩავებათ ამ ბრძოლაში და ეს პოსტიც ჩემი პირველი ნაბიჯია“. ვახტანგის ამ პოსტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა - თავის ოჯახს მიხედოს, გარდაცვლილისთვის პატივი მაინც ეცა, მისამძიმრებაც არ სცოდნია და უამრავი მსგავსი რამ. ნარკომანიის თემაზე სააგენტოებზე დადებულ „ნიუსებს“ გარდაცვლილი მსახიობის ცოლი, განო მელითაურიც გამოეხმაურა: „დიდი მადლობა ამხელა თანადგომისთვის ჟურნალისტებო! ძალიან გთხოვთ მაცადოთ მეუღლის ჩამოსვენება და დაკრძალვა, ძალიან გთხოვთ თავი შეიკავოთ არაკომპეტენტური განცხადებებისგან. არაეთიკურად მიმაჩნია ამ თემით მანიპულირება, მით უმეტეს, რომ არსებობს 15 წლის ბუკა, 6 წლის ტასო, 3 წლის თარაში და ბავშვი, რომელიც მიზის მუცელში. იმედია, ჩემს თხოვნას გაითვალისწინებთ და მაცდით დავიტირო ადამიანი, რომელიც სამყაროს მერჩივნა“.

კოტე თოლორდავა: „განო ყოველთვის მეუბნება - „სულ“ არ არსებობსო. ამიტომ ვპასუხობ - მაშინ კაცმა არ იცის, რა იქნება-მეთქი“

სანდრო კაკულია: „ვიხსენებდი, ორივე ერთნაირად გარდაიცვალა- მეთქი, ორივე გადაღებაზე იყო წასული და ორივე ჩამოასვენეს“

„ეს ოჯახი მალე ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. კოტე აცხოვრებდა ამ ოჯახს. განო სამ შვილთან ერთად მარტო აღმოჩნდა“

ზაალ ჩიქობავა: „ზოგჯერ მსახიობის ორგანიზმი ვერ უძლებს გადატვირთულ გრაფიკს და სამწუხაროდ ასე ფატალურად მთავრდება“

მძიმე თემაა, ტაბუდადებულიც. დათო ოძელაშვილი, დათო იაშვილი - იაშკა, ლევან კორინთელი - კორო, ირაკლი ჩარკვიანი... ადამიანები, რომლებმაც თავიანთი უდროო წასვლით გული დაგვწყვიტეს. ახლა კოტე... ჩვენთან ხმამაღლა ნარკომანიაზე არავინ საუბრობს და ეს ბევრ ფაქტორთან არის დაკავშირებული: სოციალურ, სამოქალაქო, კონფიდენციალურობის მომენტთან. უცხოეთში ნარკოტიკებით გარდაცვლილ ცნობილ ადამიანებზე ფილმებს იღებენ, რომ მსგავსი რამ არ ჩაიდინონ...

ნიკუშა შენგელაია:

- ოფიციალურად უნდა დადგინდეს - ადამიანი ნარკოტიკით გარდაიცვალა თუ არა. ისე ძნელი სათქმელია. ჩვენთან არ სურთ ამაზე საუბრით მიცვალებულს შეურაცხყოფა მიაყენონ. არადა, ნარკოტიკმა მთელი თაობა წაიყვანა. ეს იმხელა პრობლემაა ყველაფერს წვდება - სოციალურ სფეროს, ფსიქოლოგიურს. როცა პრობლემაა ამაზე ხმამაღლა უნდა ილაპარაკო.

ზაალ ჩიქობავა:

- ჩვენი პროფესია ბევრი სტრესითაა დატვირთული. ზოგჯერ მსახიობის ორგანიზმი ვერ უძლებს გადატვირთულ გრაფიკს და სამწუხაროდ ასე ფატალურად მთავრდება. ცხოვრების რეჟიმიდან გამომდინარე ჩვენ რაღაც საშუალებები გვჭირდება სტრესის მოსახნელად, ვიღაცას ეს ფანტაზიაში ეხმარება. ამაზე არ ვსაუბრობთ, რადგან ეს აკრძალული ხილია. ჩვენთან რომ დაშვებული იყოს ნარკოტიკი, ამ თემაზე საუბარშიც თამამები ვიქნებოდით. კოტე ძალიან ნიჭიერი ადამიანი იყო. თავისუფალ თეატრში 20 წლის წინ ერთად ვთამაშობდით. პატარა იყო. მას შემდეგ თავისი განსაკუთრებულობითა და ნიჭიერებით გამოირჩეოდა.

დავით კოვზირიძე:

- კომუნისტური გადმონაშთია ის, რომ ჩვენთან ნარკოტიკები აკრძალულია და სირცხვილად ითვლება. ნარკოტიკის მომხმარებელი ანტისახელმწიფოებრივ ელემენტად ითვლებოდა. გვგონია, რომ ეს ადამიანები კეთროვანები არიან. ზოგი რითი იღუპება, ზოგი - რითი, ამაში სირცხვილი არაფერია. როგორც ღორივით ათი ლიტრი ღვინის დალევა არ ითვლება (ერთ დალევაზე) სირცხვილად, ისე არ უნდა ითვლებოდეს მარიხუანას მოწევა სირცხვილად. ეს ადამიანი თვითონ ამბობდა, რომ მომხმარებელი იყო. ალბათ, მივეჩვევით, რომ პრიმიტიულ ტყუილებს აღარ ვიტყვით და ვიტყვით იმას, რაც მოხდა.

ნუცა კუხიანიძე:

- ჩვენ ქვეყანაში ბევრი თემაა ტაბუდადებული. ადამიანებს თავიანთი პრობლემების საზოგადოებასთან გაზიარება არ სიამოვნებთ. არის თემები, რომელიც ყველას ეხება, მთელ საზოგადოებას. ამაზე ხმამაღლა თუ არ ვისაუბრეთ, საზოგადოება თავის ობიქტურ აზრს ვერ ჩამოაყალიბებს. მაგრამ ჩვენ ხომ საზოგადოებად ვერ ჩამოვყალიბდით? ნარკომანია საზოგადო პრობლემაა. ვერ მივხვდი რატომ მოჰყვა ვახოს პოსტს ამხელა უსიამოვნება. ზუსტად ვიცი, მისი დამოკიდებულება ნარკოტიკთან. იგივე პრობლემა ჰქონდა ვახოს თავის თავზეც და შვილზეც. არა მგონია, როდესაც პრობლემა ასე ახლოს გეხება სუბიექტურად უდგებოდე.

კოროც ნარკოტიკით გარდაიცვალა და იაშკაც. ქვეყნის დონეზე ადის ეს პრობლემა. მიდგომა არის, რომ ესენი ავადმყოფები არიან. მე ასე არ ვფიქრობ. ქვეყანა ხელს უნდა გიწყობდეს, რომ შენ სფეროში წინსვლა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლი „ბაბულიკა“

ე თოლოდავა

ეკა მჟავანაძე:
„ბოლო 5-6 წელიწადში ბევრი რამ გააკეთა. ხალხს შეუყვარდა და უცებ გახდა სახალხო მსახიობი. ყველას უყვარდა, თაყვანისმცემლების ზღვა ჰყავდა. ეს მხოლოდ ნიჭს შეუძლია“

EXCLUSIVE



გქონდეს. როდესაც ქვეყანაში არანაირი პერსპექტივა არ გაგაჩნია, ძალიან ადვილია მიმართო ნარკოტიკს. ყველანაირმა ომმა ჩვენ თავზე გადაიარა. კორო აფხაზეთის და თბილისის ომებში იბრძოდა. ბავშვობის მეგობრები მკვდარი ჰყავს. თვალწინ ეხოცებოდა ხალხი. ეს ხომ სტრესია?!

ირაკლი საღინაძე:

- სანამ ეს თემა კრიმინალიზებულია, ტაბუდადებული იქნება. არც ერთ ადამიანს არ სიამოვნებს, რომ მას კრიმინალი უწოდონ. დეკრიმინალიზაცია აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ მახინჯი სტერეოტიპისგან გავთავისუფლდეთ. როდესაც ადამიანები იმალებიან, პრობლემაც გაცილებით მეტია. არსებობს სისტემის, საზოგადოებრივი აზრის შიში, უამრავი სხვა შიშები, რომლებიც ამ ადამიანების გარიყვას იწვევს.

კოტე - ბაბულიკა

„ჩემი ცოლის დაქალებში“ დიტოს როლზე კასტინგის მენეჯერმა აარჩია. მეორეხარისხოვან როლად იყო ჩაფიქრებული, მაგრამ ბაბულიკამ ისე გაქაჩა, რომ როლი გაიზარდა.

ირაკლი საღინაძე:

- მოდერნიზებული ძველი ბიჭების შემოყვანით შევეცადეთ კიდევ ერთი სოციალური ველი მოგვეცვა. კოტე პროფესიონალი იყო. ფართო მასებმა კი ის ჩვენი სერიალი გაიცნო.

ეკა მჟავანაძე:

- კოტე ნანახი მყავდა სპექტაკლში „ტანგო ნაბიჭვართან“, სადაც რამდენიმე როლს სხვადახვა ქალ პერსონაჟთან ერთად თამაშობდა. ხუთივე გმირს არაჩვეულებრივად თამაშობდა. მომეწონა. პირველივე შესაძლებლობა როგორც კი მომეცა, რომ ამ კაცს თავისი სიტყვა კარგად ეთქვა, ეს იყო „ვგიკის“ სტუდენტთან ედუარდ ოგანესიანთან, რომელიც საკურსო ფილმს იღებდა და მას კოტე მივუყვანე. მაშინვე დაამტკიცეს. მერე იყო დიტოს როლი. კოტე მის თაობაში ერთ-ერთი ნიჭიერი კაცი იყო, რომელსაც ბევრის გაკეთება შეეძლო. სამწუხაროდ, ვერ მოასწრო. სხვათა შორის, ბოლო 5-6 წელიწადში ბევრი რამ გააკეთა. ხალხს შეუყვარდა და უცებ გახდა სახალხო მსახიობი. ყველას უყვარდა, თაყვანისმცემლების ზღვა ჰყავდა. ეს მხოლოდ ნიჭს შეუძლია.

სანდრო კაკულია:

- ჩვენი ნაცნობობა 2005 წელს დაიწყო. ის რუსთაველის სარდაფში ჩემს პიესაზე დადგმულ სპექტაკლში - „ფანჯარაში“ თამაშობდა. იაშკა თამაშობდა მთავარ როლს, კოტე მისი დუბლი იყო. ვიხსენებდი, ორივე ერთნაირად გარდაიცვალა-მეთქი, ორივე გადაღებაზე იყო წასული და ორივე ჩამოასვენეს. მერე შევხვდი სერიალის გადაღებაზე. რადგან მსახიობი არ ვარ, რაღაცებს მასწავლიდა. მრავალმხრივი ნიჭი ჰქონდა, განათლებული იყო. ყველაფერზე თავისი აზრი ჰქონდა, ბევრი წიგნი ჰქონდა წაკითხული. ძალიან კეთილი და რაფინირებულ-ინტელექტუალური ადამიანი იყო. ის, რომ ჩვენ ქვეყანაში ბევრი თემაა ტაბუდადებული, მგონია, რომ ეს სახელმწიფოსთვის ნიშანი იყოს, რომ რაღაც შესაცვლელია. სჯობს იმის ნაცვლად, რომ კოტეს გარდაცვალების მიზეზები არკვიონ, ადამიანები კოტეს ოჯახის მხარდასაჭერად გაერთიანდნენ. ეს ოჯახი მალე ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. კოტე აცხოვრებდა ამ ოჯახს. განო სამ შვილთან ერთად მარტო აღმოჩნდა.

გაკოების მხიარული ოჯახი

განო და კოტე სამი წლის წინ ჩაწერე. ჩვენ გაკოების ოჯახი ვართო, საკუთარი სახელები გაერთიანეს. ასე იყვნენ გაერთიანებული. მალე მესამე შვილი შეეძინებათ. კოტეს პირველი ქორწინებიდან (მარიამ ჯოლოგუასთან) 15 წლის ვაჟი ჰყავს.

განო მელითაური:

- ჩემზე რვა წლით უფროსია და შვილს ამიტომ მეძახის. ჩვენს გაცნობას მოგიყვებით. ორივე მივედით ერთი ფილმის გახმოვანებაზე. ერთადერთი, რაც დამამახსოვრდა იყო ის, რომ კიბეზე რომ ჩამოვდიოდი კოტემ რევერანსი გამიკეთა. მერე „მზეში“ შევხვდით, ისევ გახმოვანებაზე. გორგოლაჭებიანი სკამით მაგორავა და მითხრა, ბავშვობაში დამაბრუნეო. მერე გახმოვანების კაბინაში ხელი ჩავკიდეთ ერთმანეთს. უფრო სწორად მე ჩავკიდე. რომ გავიცანი, მივხვდი, რომ ერთმანეთისთვის ვიყავით გაჩენილი. არც ერთი არ ვართ დალაგებული. ორივეს ძალიან რთული ხასიათი გვაქვს. მსოფლმხედველობით, გემოვნებით - ყველაფრით ვეწყობით. ამ ადამიანის გარეშე ვერ წარმომიდგენია სიცოცხლე. ბავშვობიდან ვწერ ტანკებს, მოკლე ლექსებს. ბევრი მათგანი ტრიალზეა. ერთხელ კოტემ მითხრა, შენ ჩემს ხელის გულზე ტრიალებ და სულ ასე იქნებაო.

კოტე თოლორდავა:

- განო კიდევ ყოველთვის მეუბნება - „სულ“ არ არსებობსო. ამიტომ ვპასუხობ - მაშინ კაცმა არ იცის, რა იქნება-მეთქი“...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ გახდება ამერიკული ოცნების ლიდერი

ქეთი ხატიაშვილი

როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ახლა მნიშვნელოვანი იქნება ჰილარი კლინტონის წარსულის ჩრდილებისგან „განთავისუფლება“. საარჩევნო კამპანიაში ჰილარი თავისი 23-წლიანი პოლიტიკური გამოცდილებით წარდგა, თუმცა, ამერიკელები გამოცდილებაზე მეტად მომავალზე არიან ორიენტირებული და ის უფრო აინტერესებთ, როგორ შეცვლის ესა თუ ის საპრეზიდენტო კანდიდატი მათ ცხოვრებას მომავალში.

ამიტომაც პიარის ექსპერტებმა ყურადღება მიაქციეს კლინტონის საარჩევნო კლიპს, სადაც თავად კანდიდატი მხოლოდ 1:35 წუთზე ჩნდება. მანამდე კი კლიპში ნაჩვენებია რიგითი ამერიკელები, რომლებიც ახალ ცხოვრებას იწყებენ. ნაჩვენებია ახალგაზრდა დედა, რომელიც ერთი წელი ბავშვებს ზრდიდა სახლში, ახლა კი სამსახურს უბრუნდება; ახალგაზრდა გოგონა, რომელმაც კოლეჯი დაამთავრა და პირველი განაცხადი გააკეთა სამსახურში; ორი ესპანურენოვანი ძმა, რომლებიც საკუთარ ბიზნესს ახლა იწყებენ; ასევე, ორი მამაკაცი, რომელიც ქორწინდება...

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ჰილარის გამოცდილება დიდი პლუსია, თუმცა, საინტერესოა, რამდენად დაინახავენ ამერიკელები მასში საკუთარ მომავალს, იმედს და ამერიკულ ოცნებასაც სწორედ მასთან დააკავშირებენ.

Gallup-ის კვლევების მიხედვით, ჰილარის რეიტინგმა წინა წელთან (55%) შედარებით, იკლო და ახლა ის 48%-ს შეადგენს. როგორც მიანიშნებენ, ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია მის 23-წლიან პოლიტიკურ კარიერაში.

ჟურნალისტების დასკვნით, კლინტონს ყველაზე მაღალი რეიტინგი მაშინ ჰქონდა, როცა თეთრ სახლში მისი მეუღლე მართავდა, პოზიტიურად მის მიმართ 67% იყო განწყობილი. ობამას ადმინისტრაციაში მუშაობის დროსაც არ დაუკარგავს ამერიკელების მხარდაჭერა, თუმცა ახლა მისი რეიტინგი განსაკუთრებით დაბალია. მიუხედავად ამისა, დემოკრატების 57% მხარს სწორედ მას უჭერს.

ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ ჰილარის შიდაპარტიულ პრაიმერისში გამარჯვება არ გაუჭირდება, რადგანაც მას რეალური ალტერნატივა პარტიის შიგნით არ ჰყავს.

რაც შეეხება რესპუბლიკელებს, აქ საარჩევნო რინგზე ჯებ ბუშის გამოჩენას ელოდებიან.

არ არის გამორიცხული, რინგზე ავიდნენ ამერიკის პირველი ლედი და ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი დემოკრატებიდან და მამა და შვილი ბუშის შემდეგ კიდევ ერთი ბუში, ჯორჯ ბუშის ძმა ჯები.

კლინტონის ამბიციები პრეზიდენტობაზე დიდი ხანია, ცნობილია. ახლა ამერიკაში ბუშების პოლიტიკურ ამბიციებზეც ალაპარაკდნენ. ჯორჯ ბუშმა მედიას მიზეზი ჯერ კიდევ მაშინ მისცა, როცა 2001 წელს ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ, რომ არა ამერიკის კონსტიტუციის მიერ დაწესებული შეზღუდვა, პრეზიდენტობაზე კენჭს მესამედაც იყრიდა.

ასე რომ, საარჩევნო რინგზე კლინტონებისა და ბუშების ოჯახების დაპირისპირებას ელოდნენ, თუმცა... რინგზე ახალგაზრდა და პერსპექტიული მარკო რუბიო ადის...

ვინ იქნება ჰილარი კლინტონის საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელი, უკვე ცნობილია. საარჩევნო კამპანიას კლინტონების მეგობარი ჯონ პოდესტა წარუძღვება. ის ამერიკაში ერთ-ერთ წამყვან ექსპერტთა ცენტრს ხელმძღვანელობს. მისი ცენტრი ჯერ კლინტონის, შემდეგ კი ობამას ადმინისტრაციაზე მუშაობდა.

რესპუბლიკელებმა მარათონს ალღო უკვე აუღეს და კლინტონს სუსტ წერტილში – ასაკში დაარტყეს. სენატორი ფლორიდის შტატიდან, 42 წლის რუბიო პირველსავე გამოსვლაში აქცენტს სწორედ დროზე (ანუ ასაკზე) აკეთებს. მან კლინტონს „გუშინდელი დღე“ უწოდა და იქვე დასძინა, რომ „ახალი ამერიკისკენ გზას“ ახალი თაობა გაკვალავს.

თუმცა, ექსპერტები კლინტონს მაინც ძალიან სერიოზულ კანდიდატურად მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ ეს მარტივი ბრძოლა არ იქნება და რომ რესპუბლიკელებს გვარიანად მოუნევთ მოგებისთვის გარჯა.

მარკო რუბიო რესპუბლიკური პარტიის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევა, მას წლების მანძილზე სწორედ ჯებ ბუში მფარველობდა.

ქურდული ეთ

მირიან ბოქოლიშვილი

„ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც ხელისუფლებას „კანონიერი ქურდების“ მფარველობაში ადანაშაულებს, წლების განმავლობაში საზღვრიდან საზღვრამდე თავად მიაცილებდა კრიმინალურ „ავტორიტეტებს“. ამ შინაარსის განცხადება შს მინისტრის მოადგილემ, არჩილ თალაკვაძემ გააკეთა. „პრაიმტაიმი“ დაინტერესდა, რას გულისხმობდა თალაკვაძე და რომელმა „კანონიერმა ქურდებმა“ დატოვეს ქვეყანა წინა ხელისუფლების დახმარებით? ამის გასარკვევად ინფორმაცია შსს-დან გამოვითხოვეთ.

ავთანდილ ხეცურიანი

ამირან ებრალიძე

სულხან თვალჭრელიძე

2006 წლიდან 2012 წლამდე საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული და გასული „კანონიერი ქურდების“ სია 12 კაცისგან შედგება და მასში საკმაოდ ხმაურიანი გვარები ფიგურირებს. მაგალითად, კოსტა ბობოხიძე, იგივე „ძაკუნია“. შსს-დან გამოთხოვილი ინფორმაციით ირკვევა, რომ ბობოხიძე 2009 წლის 2 სექტემბერს საქართველოში თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან შემოვიდა, თუმცა მისი დაპატიმრება არ მომხდარა. მეორე დღეს, ანუ 2009 წლის 3 სექტემბერს ის სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის გავლით თურქეთში გააცილეს. წყალტუბოელი კოსტა ბობოხიძე, რომელიც ამჟამად 75 წლისაა, კრიმინალური სამყაროს „პატრიარქად“ არის მიჩნეული. ის საკმაოდ მძიმე დანაშაულებისთვის 8-ჯერ არის ნასამართლევი და, საერთო ჯამში, ციხეში 30 წელი აქვს გატარებული.

საქართველოში კიევიდან 2009 წლის 28 მაისს ჩამოფრინდა „კანონიერი ქურდი“ ანთიმოზ კუხილავაც. 29 მაისს კი, კოსტა ბობოხიძის მსგავსად, სარფამდე მიაცილეს და თურქეთში გაუშვეს. კუხილავა უკრაინაში კონტრაბანდულ ტვირთებს აკონტროლებდა. სხვათა შორის, კუხილავას გაუჩინარების შესახებ შინაგან საქმეთა მაშინდელ მინისტრს, ვანო მერაბიშვილს კითხვა უკრაინელმა ჟურნალისტმაც დაუსვა.

„როგორ შეძლო გაქცევა უკრაინიდან საქართველოში ექსტრადიციის დროს ცნობილმა „კანონიერმა ქურდმა“ ანთიმოზ კუხილავამ? ჩვენს ქვეყანაში ის თითქოს ოდესის პორტში კონტრაბანდის ნაკადს აკონტროლებდა. ახლა კი, გავრცელებული ხმების თანახმად, თურქეთში მშვიდად ცხოვრობს“, – ჰკითხა ვანო მერაბიშვილს ჟურნალისტმა.

„არ ვიცი, ვინ არის ანთიმოზი. ეს მეტსახელია თუ სახელია? მით უფრო, არ შემიძლია, ვუპასუხო კითხვას იმის შესახებ, როგორ გაექცა ის პასუხისმგებლობას. თუ გსურთ, გავარკვევ, იყო თუ არა ამ ადამიანზე ჩვენთან ძებნა გამოცხადებული“, – უთხრა უკრაინელ ჟურნალისტს მერაბიშვილმა, რის შემდეგაც, როგორც უკრაინული გამოცემა segodnya.ua წერს, მინისტრმა ტელეფონის ყურმილი აიღო და 5 წუთში კაბინეტში ოფიცერი შემოვიდა, რომელმაც მინისტრს მოახსენა, რომ ადამიანი, სახელად ანთიმოზ კუხილავა, ძებნილთა სიაში არ ფიქსირდება.

„აი, ხედავთ? ასეთ სახელს მოფიქრება უნდა – ანთიმოზ“, – განმარტა მერაბიშვილმა...

ქვეყანაში 2009 წლის 29 ოქტომბერს თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან შემოვიდა ცნობილი „კანონიერი ქურდი“ ამირან ებრალიძეც. მისი ექსტრადირება უკრაინიდან განხორციელდა, მეორე დღეს კი ქვეყანა სადახლოს გამშვები პუნქტის გავლით დატოვა. ებრალიძე ძველი თაობის „კანონიერ ქურდებს“ მი-

როგორ ქურდული

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

იაჭები საზღვრიდან საზღვრამდე



კოსტა ბოგოხიძე



ანთიმოზ კუხილავა

კოსტა ბოგოხიძე

EXCLUSIVE

„ბოგოხიძე 2009 წლის 2 სექტემბერს საქართველოში თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან შემოვიდა, თუმცა მისი დაპატიმრება არ მომხდარა“

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ საფრანგეთის ჟანდარმერიამ საქართველოს ხელისუფლებას ფოტო და ვიდეომტკიცებულებები გადასცა იმის შესახებ, რომ საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდების მეშვეობით საქართველოში საარჩევნოდ დესტაბილიზაცია იგეგმებოდა. ჟანდარმერიის ცნობით, ყოფილი ქართველი მინისტრი გოგა ხაინდრავა სამხრეთ საფრანგეთში მდებარე „კანონიერი ქურდის“ რევაზ ლორთქიფანიძის სახლში შეხვდა დანაშაულებრივი კლანის სხვა ავტორიტეტებს და საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დროს არეულობის მოწყობისთვის მათი დახმარება ითხოვა. გავრცელებულ ფოტოებში სხვა კრიმინალურ „ავტორიტეტებთან“ ერთად ფიგურირებს „კანონიერი ქურდი“ სულხან თვალჭრელიძეც, თუმცა მაშინ „ნაციონალურ მოძრაობას“ არ უხსენებია, რომ იგივე თვალჭრელიძე რამდენიმე თვით ადრე იმყოფებოდა საქართველოში და უპრობლემოდ მოახერხა ქვეყნის დატოვება. კერძოდ, ოფიციალური ინფორმაციით, მან 2012 წლის 17 იანვარს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან გადმოკვეთა, მეორე დღეს კი სარფის გავლით თურქეთში გაემგზავრა.

გარდა ზემოჩამოთვლილისა, 2012 წლამდე საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდნენ და ქვეყანა უპრობლემოდ დატოვეს შემდეგმა კრიმინალურმა „ავტორიტეტებმა“: ფრიდონ ს. – 2008 წლის 5 აპრილს თბილისის აეროპორტში ფიქსირდება, იმავე დღეს სხვა მომდევნო რეისით ქვეყანას ტოვებს; გიორგი ე. – 2008 წლის 18 თებერვალს ჩამოდის თბილისის აეროპორტში და ქვეყანას იმავე დღეს ასევე აეროპორტის გავლით ტოვებს; გოჩა კ. – 2011 წლის 6 აპრილს აჭარაში, ბათუმის აეროპორტში ჩაფრინდა და რამდენიმე საათში სარფის გავლით თურქეთში გადავიდა; რამაზ წ. – საქართველოში 2011 წლის 10 დეკემბერს თბილისის აეროპორტიდან შემოვიდა და იმავე დღეს, სარფის გავლით, ქვეყანა დატოვა; ბესიკ ა. – 2009 წლის 25 ივნისს სომხეთიდან სადახლოს გავლით საქართველოში გადმოვიდა, მეორე დღეს კი სარფიდან თურქეთში გაემგზავრა; ამირან გ. – თბილისში 2010 წლის 12 ივნისს ჩამოფრინდა, ორი დღის შემდეგ, 14 ივნისს, ასევე თურქეთში გაემგზავრა; კობა ა. – საქართველოში სასაზღვრო-გამშვები პუნქტ „ნინოწმინდის“ გავლით 2009 წლის 26 თებერვალს შემოვიდა, მეორე დღეს კი წითელი ხიდის გავლით ქვეყნიდან გააცილეს.

მიაცილებდნენ სამყაროს „გენერლებს“?

ეკუთვნება. უკრაინული მილიცია მას „უკრაინის ტარიელ ონიანსაც“ კი უწოდებდა. კრიმინალურ სამყაროში ებრალიძის პირველივე ნაბიჯები დიდი მითქმა-მოთქმის საფუძველი გახდა. ეს იყო ჯერ კიდევ 1972 წელს, როდესაც რეჟისორი გიორგი შენგელაია „ვერის უბნის მელოდიებს“ იღებდა, ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებლად ცნობილი მსახიობი ალისა ფრეინდლიხი ჩამოიყვანა. ერთ საღამოს ქალბატონმა ალისამ მომქანცველი გადაღებების შემდეგ თბილისის დათვალიერება გადაწყვიტა, მაგრამ პლეხანოვზე სეირნობა დიდხანს არ დასცალდა – მას წინ ახალგაზრდა კაცი გადაუდგა და დანის მუქარით ქურქი გახადა. საქმის გახსნა ქართული მილიციის ღირსების საქმე იყო და მათაც მეორე დღეს 26 წლის ამირან ებრალიძე დააკავეს, ქურქი ფრეინდლიხს დაუბრუნეს, ებრალიძეს კი სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. მას შემდეგ ებრალიძე სამართალდამცველთა ყურადღების ცენტრში არაერთხელ მოექცა და, საერთო ჯამში, ციხეებში სხვადასხვა დანაშაულის გამო 28 წელიწადი გაატარა. მან „კანონიერი ქურდის“ წოდებაც მიიღო და დღემდე „ცხვირას“ მეტსახელით იცნობენ.

2008 წლის 29 თებერვალს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დაფიქსირდა „კანონიერი ქურდის“ ავთანდილ ხეცურიანის შემოსვლის ფაქტიც, თუმცა ის დაპატიმრების ნაცვლად, უახლოესი რეისით, იმავე დღეს უკან გააბრუნეს. ხეცურიანი, რომელსაც კრიმინალურ სამყაროში „ავთო ბოქსიორის“ მეტსახელით იცნობენ, საქართველოში 1993 წელს, მძიმე დანაშაულის ჩადენის გამო, გაასამართლეს. მას ბრალად ედებოდა იმერეთის შს სამინისტროს სამხარეო სამმართველოს მაშინდელი უფროსის, ელგუჯა ბუცხრიკიძის გატაცება. ციხეში ყოფნის დროს ავთანდილ ხეცურიანმა ცნობილი ე.წ. კანონიერი ქურდები გელა ყაჭეიშვილი, ქემალ მუსოიანი და ნუგზარ ჯანელიძე გაიცნო, რომლებმაც ახალგაზრდა ხეცურიანში „კრიმინალური ტალანტი“ დაინახეს და მას თავიანთ ძმურ ოჯახში მიღების პატივი არგუნეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თიბისი ბანკმა სწრაფი გადახდის აპარატების მომხმარებლებისთვის მასშტაბური და ინოვაციური გათამაშება დაიწყო

15 აპრილს თიბისი ბანკმა სწრაფი გადახდის აპარატების მომხმარებლებისთვის გათამაშება დაიწყო. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც თიბისი ბანკის სწრაფი გადახდის აპარატებზე რაიმე ტრანზაქციას შეასრულებს, მოულოდნელად შეიძლება დასაჩუქრდეს და მოიგოს 20 000, 10 000 ან 5 000 ლარი, ასევე სხვადასხვა ფულადი პრიზი და მობილურ ტელეფონზე სასაუბრო დრო. გათამაშება 30 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება და ხუთი ათასამდე გამარჯვებული ეყოლება.

„თიბისი ბანკი მუდმივად ზრუნავს თავისი მომხმარებლების კმაყოფილებაზე. ეს არის ჩვენი მხრიდან წამახალისებელი ღონისძიება, რათა კლიენტებმა უფრო მეტი სარგებელი მიიღონ და უფრო კომფორტულად ისარგებლონ ჩვენი მომსახურებით. ბევრი რამ განვაახლეთ და სიახლეებიც დავნერგეთ. წამახალისებელი აქცია ამ სიახლეების დაგვირგვინებაა. ჩვენ უნდა გავახაროთ 5 000-მდე ადამიანი“, - განაცხადა თიბისი ფეის გენერალურმა დირექტორმა, დავით კენჭაძემ.

გათამაშებაში მონაწილეობა უფასოა, მთავარია დაადასტურო, რომ გსურს გახდე გათამაშების მონაწილე, აკრიფო შენი მობილურის ნომერი, რომელიც მთავარი იდენტიფიკატორია და დაელოდო პასუხს. თქვენ ანგარიშსწორებისთანავე შეიტყოთ, იყო თუ არა განხორციელებული წარმატებული ტრანზაქცია. გამარჯვებულებს შემთხვევითი შერჩევა გამოავლენს. გათამაშების ლოგიკა შეთანხმებული და დამტკიცებულია ფინანსთა სამინისტროს მიერ.

მასშტაბური და ინოვაციური გათამაშება არ არის ის ერთადერთი სიახლე, რასაც თიბისი ბანკის სწრაფი გადახდის აპარატები მომხმარებლებს სთავაზობს. ბოლო პერიოდში ბანკმა გააორგამა სწრაფი გადახდის აპარატების რაოდენობა და დღეისთვის, საქართველოს მასშტაბით, მომხმარებლებს უკვე 2 600 აპარატი ემსახურება, გაუმჯობესდა ტერმინალის სისწრაფე და დაიხვეწა დიზაინი.

„მთავარია, რომ თიბისი ბანკის სწრაფი გახადის აპარატები რაოდენობრივად, საქართველოს მასტაბით, ყველაზე ხელმისაწვდომია - სულ 2 600 აპარატი. აქვს განახლებული დიზაინი, რომელიც ძალიან მარტივია მოხმარებისთვის და ტერმინალის სისწრაფეც გაუმჯობესებულია“, - ამბობს თამარ კირვალიძე, თიბისი ბანკის საგარეო ურთიერთობებისა და მედია კომუნიკაციების დირექტორი.

მისივე განცხადებით, უახლოეს მომავალში მომხმარებლები შეძლებენ გადაიხადონ არა მარტო ეროვნულ ვალუტაში, არამედ დოლარსა და ევროში, ისე რომ არ მოუწევთ თანხის კონვერტაცია. ოპერაციების განხორციელება შესაძლებელი იქნება პლასტიკური ბარათების საშუალებითაც.

პირველად საქართველოში თიბისი ბანკი მიკრო სესხებს მომხმარებლის სამუშაო ადგილზე გასცემს

თიბისი ბანკმა მომსახურების ინოვაციური პლატფორმა დანერგა - ამიერიდან თიბისი ბანკის მიკრო და აგრობიზნეს მომხმარებლებისთვის სესხის აღება ბანკში მიუსვლელად, საკუთარ სამუშაო ადგილზეა შესაძლებელი.

თიბისი ბანკი პირველი ქართული ბანკია, რომელმაც მიკრო სესხების გაცემა ბანკის გარეთ, მომხმარებლის სამუშაო ადგილზე დაიწყო.

დისტანციური მუშაობისთვის ბანკი იყენებს სპეციალურ პლანშეტებს, რომლებიც საშუალებას იძლევა სესხის გაცემა მოხდეს ბანკის ფილიალს გარეთ, კლიენტის სამუშაო ადგილზე, მისი ბიზნესის ლოკაციაში ან მისთვის ხელსაყრელ სხვა ადგილზე.

სესხის გაცემის პროცედურა დაახლოებით 45 წუთს საჭიროებს. დროის ამ ვადაში:

· ბანკის თანამშრომელი კლიენტს გააცნობს სესხის პირობებს;

· მისი მხრიდან სესხით დაინტერესების შემთხვევაში შეავსებს ყველა საჭირო დოკუმენტაციას და დაამტკიცებს სესხს;

· სესხის თანხას დარიცხავს პლასტიკურ ბარათზე, რომელსაც იქვე გადასცემს მომხმარებელს.

ამ ინოვაციური ტექნოლოგიის მეშვეობით თიბისი ბანკი თავის მომხმარებლებს მიკრო სესხებს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში შესთავაზებს.

დღეისათვის აღნიშნულ მომსახურებას თიბისი ბანკის 140 თანამშრომელი საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე ახორციელებს. მომავალში პლანშეტით მომსახურე ბანკირების რაოდენობა 165-მდე გაიზრდება. ეს ნიშნავს კიდევ უფრო მეტ მოქნილობას იმისათვის, რომ თიბისი ბანკის მომხმარებლებს გაუმარტივდეთ სესხის აღება და მიიღონ მაქსიმალურად მათზე მორგებული სერვისი თავისი სამუშაო ადგილიდან გაუსვლელად - ამ გზით მომხმარებლები დაზოგავენ დროს, ენერგიას და ყურადღებას არ მოაკლებენ თავის ბიზნესს.

დისტანციური მომსახურება ხორციედება „სამსუნგის“ სპეციალურად ბიზნესისთვის წარმოებული პლანშეტების, galaxy Tab Active, მეშვეობით. „სამსუნგი“ ასევე ტექნოლოგიურად უზრუნველყოფს პლანშეტების დისტანციურ მართვასა და ინფორმაციულ უსაფრთხოებას. პროგრამული უზრუნველყოფა ხდება „ალტა სოფტვეარის“ მიერ შექმნილი სპეციალური ანდროიდის აპლიკაციის, Mobile Loan Officer, მეშვეობით, რაც შესაძლებელს ხდის პლანშეტების მეშვეობით სესხის გაცემას.

„ვამაყობთ, რომ პირველად საქართველოში ჩვენ შევთავაზეთ მომხმარებლებს ინოვაციური სერვისი, რომლისთვისაც უახლეს ტექნოლოგიურ მიღწევებს ვიყენებთ. ჩვენი მიზანია, საქმე, რომელსაც გუშინ ვაკეთებდით, დღეს ვაკეთოთ უკეთესად და ამ ტიპის მომსახურების შეთავაზებით, ვფიქრობთ, ვინარჩუნებთ ლიდერის პოზიციას ბაზარზე. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს პარტნიორებს, „სამსუნგსა“ და „ალტა სოფტვეარს“ ამ პროექტში თანამშრომლობისთვის. თიბისი ბანკი მომავალშიც გააგრძელებს მომხმარებლებისთვის მათივე კომფორტსა და დროის დაზოგვაზე ორიენტურებული სხვადასხვა პროდუქტების შეთავაზებას“, - აცხადებს თიბისი ბანკის დირექტორის მოადგილე მიკროფინანსების დარგში ნიკოლოზ ქურდიანი.

„მოხარულები ვართ, რომ თიბისი ბანკმა ძალიან მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია მაღალტექნოლოგიური სერვისების დანერგვის მიმართულებით. Samsung Galaxy TAB Active - ეს არის „სამსუნგის“ მიერ 2014 წელს სპეციალურად ბიზნესისთვის შექმნილი პროდუქტი, რომელიც სრულიად არის მორგებული ბიზნესის საჭიროებებს. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ მიერ შეთავაზებული პლანშეტები მაქსიმალურად გაამარტივებენ სესხის გაცემის პროცესს და რაც მთავარია, მომხმარებელთა უსაფრთოება იქნება სრულიად დაცული“,-აცხადებს „სამსუნგის“ წარმომადგენლობითი ოფისის ხელმძღვანელი საქართველოში, ნიკოლოზ დობორჯგინიძე.

„ჩვენ მიერ, თიბისი ბანკის დაკვეთით შექმნილი აპლიკაცია Mobile Loan Officer მთლიანად გათვლილია ბიზნესის მზარდ მოთხოვნებსა და მათ სწრაფ შესრულებაზე. აპლიკაციის მეშვეობით, ბანკის თანამშრომელს ეძლევა საშუალება, შეავსოს სესხის განაცხადი ტაბლეტიდან, დაუკავშირდეს ბანკს და შეასრულოს ყველა საჭირო ოპერაცია, რომელიც საჭიროა სესხის დისტანციური მომსახურებისათვის. აპლიკაციის არქიტექტურა აწყობილია დიზაინის სხვადასხვა ელემენტებისა და მსოფლიოში არსებული საუკეთესო გამოცდილების ბაზაზე“,- აცხადებს „ალტა სოფთვეარის“ დირექტორი, გრიგოლ ნიკოლეიშვილი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რამდენად უკავშირდება ალასანიას „დელტას“ სამინისტროდან გატანა

უკვე დღეს „დელტა“ თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურად დაუბრუნდება.

„დელტა“. ცენტრი შეიქმნა 2010 წელს ექვსი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და სანარმოო ობიექტის გაერთიანებით. ორგანიზაციის მუშაობის სფერო ძირითადად ორიენტირებულია თავდაცვითი მრეწველობისა და გარკვეულწილად სამოქალაქო მიმართულებით.

მის სახელმწიფო კონტროლს 2014 წლამდე ახორციელებდა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 მარტის დადგენილებით კი სსსტც „დელტა“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა.

ოფიციალური ინფორმაციით, „დელტას“ ეკონომიკის სამინისტროსთვის გადაცემა თავად თავდაცვის მინისტრის ინიციატივით მოხდა.

„მთავრობის წინა სხდომაზე მე გამოვიტანე ეს საკითხი, რომელიც აბსოლუტურად ლოგიკურად დადგა დღის წესრიგში. ამის შესახებ ორი თვის განმავლობაში ჩემი ინიცირებით მიმდინარეობდა კონსულტაციები პრემიერსა და ეკონომიკის მინისტრთან. სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ დაკავებულია არა მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს შეკვეთებით, არამედ მას აქვს კომერციული და სხვა დატვირთვაც. ჩემი აზრით, თავდაცვის სამინისტროში ამგვარი ქვედანაყოფი არ უნდა არსებობდეს. ჩემი მთავარი ამოცანაა, ჯარი იყოს მზად, რათა ნებისმიერ გამოწვევას გასცეს პასუხი. ასე რომ, ჩვენ უნდა ვმართოთ ჯარი და არა კომერციული და ბიზნესპროექტი“, – ეს განმარტება ირაკლი ალასანიამ მას მერე გააკეთა, რაც საკითხი მთავრობის სხდომაზე დააყენა.

ახლა, როცა ალასანია ოპოზიციაშია, „დელტა“ ისევ თავდაცვის სამინისტროს დაუბრუნდა. ექსპერტთა ნაწილს უჭირს ამ თემაზე კომენტარის გაკეთება, ზოგიც ვარაუდობს, რომ „დელტას“ თავდაცვის უწყებიდან ჯერ გატანა და შემდეგ დაბრუნება პოლიტიკური საკითხი იყო.

მათი არგუმენტი მარტივია – „ოცნებაში“ ალასანიას გუნდის წევრად არასოდეს განიხილავდნენ. დაახლოებით ისე, როგორც ნაციონალებისთვის ბურჯანაძე იყო ყოველთვის უცხო სხეული. და დაახლოებით ისე, როგორც ბურჯანაძემ დაიწყო შურისძიება ოპოზიციაში გადასვლისთანავე. ახლა ალასანია იბრძვის.

ძნელია იმის თქმა, რომ ალასანიას მიმართ „ქართული ოცნების“ პრეტენზიები უბრალოდ ეჭვები იყო და მეტი არაფერი. გუნდურ თამაშს ის ვერასოდეს ახერხებდა. კლასიკურ მაგალითად ე.წ. ჯიჰადის ვიდეოს საქმეზე დაწყებული გამოძიებაც შეიძლება ჩაითვალოს, მაშინ ჯერ კიდევ თავდაცვის მინისტრმა ორაზროვნად განაცხადა, რომ, თუ შსს ვერ ახერხებს საქმის გამოძიებას, ამას თავად გააკეთებს.

გადაწყვეტილებების მიღების დროსაც არ თვლიდა თავს ვალდებულად, საკუთარი კოალიციის ლიდერები საქმის კურსში ჩაეყენებინა. ასე მოხდა მაშინაც, როცა ამერიკელებს სირიელი მეამბოხეების საწვრთნელად საქართველო შესთავაზა.

როგორც სალომე ზურაბიშვილი იტყოდა, დეტალები ეშმაკებშია. ჰოდა, ასეთი და სხვა მსგავსი ეშმაკობების გამო ალასანია გუნდურ მოთამაშედ არ აღიქმებოდა. შესაბამისად, ექსპერტების აზრით, მას არც „დელტა“ ანდეს.

არ ანდეს და რატომ? შეეძლო, კიევისთვის შეიარაღებაც მიეცა? ან ეთქვა, უნდა გადავცეთო? ექსპერტები მოვლენათა ამგვარ განვითარებას მაინც არასერიოზულს უწოდებენ, თუნდაც იმიტომ, რომ ალასანიას ამის თაობაზე მინიშნებაც კი არ გაუკეთებია, არც მინისტრობის დროს და არც მერე, უკვე ოპოზიციაში.

ცნობისთვის: „დელტას“ ისტორია სათავეს XX საუკუნის 90-იანი წლებიდან იღებს. იმ პერიოდში დამზადდა და შეიარაღებულ ძალებს გადაეცა სხვადასხვა შეიარაღების სხვადასხვა ნიმუში, მათ შორის: ქართული ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნები „რპგ-7“, „კოდორის“ ტიპის მსხვრევადი გასროლები „რპგ-7“ ტიპის ყუმბარმტყორცნისთვის, 82 და 120 მმ ნაღმმტყორცნები, ნაღმები და სხვა შეიარაღება. 1999 წელს „დელტამ“ საკუთარი წარმოების შეიარაღება და აღჭურვილობა პირველად წარმოადგინა საზღვარგარეთ, რუმინეთში გამართულ თავდაცვითი მრეწველობის საერთაშორისო გამოფენა EXPOMIL-99-ზე.

2000-2002 წლებში „დელტას“ მიერ თითო ეგზემპლარის სახით დამზადდა სპეცდანიშნულების საბრძოლო მანქანები „დელგა-1“ და „დელტა-2“, რომელიც გამოსაცდელად კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადას გადაეცა.

ექსპერტ ლევან ალაფიშვილს შეკითხვები უფრო ეკონომიკის მინისტრთან აქვს. „დელტას“ გადატანა მისი კომერციულად განვითარების მიზნით მოხდა, ანუ ამ მიდგომამ არ გაამართლა?

„თვის განმავლობაში რამდენიმე



გია ბურჯანაძე: „თუკი ორი დღის მკურნალობის ისტორიაში მთლიანად გახარჯული თანხის 45%-ს მიუთითებ, როგორც „არაპირდაპირ ხარჯს“, ბუნებრივია, ლოგიკური კითხვა ჩნდება:

სად მიდის ეს თანხები?“

ხათუნა მგალობლიშვილი

საყოველთაო ჯანდაცვის ხარჯზე სამედიცინო კლინიკების გამდიდრების სქემა გაშიფრულია. კორუფციული მექანიზმი, როგორც „ანტიკორუფციული კავშირის“ ხელმძღვანელი აცხადებს, გამონაკლისის გარეშე ყველა ქართულმა სამედიცინო დაწესებულებამ აითვისა და დღესაც სათავისოდ იყენებს. არსებობს კონკრეტული ფაქტები და შედეგად დაზარალებული სახელმწიფო, რომლის ბიუჯეტიდან თანხები არამიზნობრივად იხარჯება.

პაციენტი, რომელიც ინგოროყვას კლინიკაში ჯანმრთელობის პრობლემების გამო 2015 წლის 20 მარტს სასწრაფოთი გადაიყვანეს, ორი დღის განმავლობაში მკურნალობდა. გადასახადმა, ჯამში, 704 ლარი შეადგინა. სამედიცინო მომსახურების ღირებულებაში დეტალურად არის გაწერილი, რამდენი ლარი რაში დაიხარჯა: გამოკვლევა – 243 ლარი, მკურნალობა – 20 ლარი, ექიმის მომსახურება – 49 ლარი, მოგება/ზარალი – 87 ლარი და ყველაზე საინტერესო – „არაპირდაპირი ხარჯი“ – 300 ლარი. 704 ლარიდან პაციენტმა ღირებულების 10%, ანუ 70 ლარი გადაიხადა, დანარჩენი 628 ლარი საყოველთაო დაზღვევით, სახელმწიფომ აანაზღაურა. როდესაც პაციენტმა დეტალური ინფორმაციის განმარტება მოითხოვა, უფრო სწორად კი „არაპირდაპირი ხარჯების“ გაშიფვრა, პასუხად რჩევა მიიღო, მაინც სახელმწიფო იხდის და რაში გაინტერესებთო...

როგორც ირკვევა, აღნიშნული „არაპირდაპირი ხარჯები“ ნარმატებით გამოყენებადი მეთოდია არამარტო ინგოროყვას კლინიკაში. გია ბურჯანაძის განცხადებით, არ არსებობს გამონაკლისი სამედიცინო დაწესებულებებს შორის, სადაც გაუშიფრავი გადასახადი ჩამონათვალში მითითებული არ არის.

„პრაიმტაიმის“ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისტორია ინგოროყვას კლინიკას ეხება. პაციენტის დეტალურ მონაცემებში კარგად ჩანს, რამდენი თანხა რაში დაიხარჯა. რა იგულისხმება „არაპირდაპირ ხარჯში“, ინგოროყვას კლინიკამ ოფიციალურ კომენტარზე უარი იმ მიზეზით გვითხრა, რომ პაციენტის გვარისა და სახელის იდენტიფიცირება არ მოხდება. ამ შემთხვევაში პაციენტის მოთხოვნა იყო, რომ მისი გვარი არ დაგვესახელებინა, რადგან ჩათვალა, რომ მას საავადმყოფოდან აუცილებლად დაუკავშირდებოდნენ და ამ გზით კონფლიქტს მოერიდა. თუმცა, როგორც ინგოროყვას წარმომადგენელმა აგვიხსნა, „არაპირდაპირ ხარჯში“ ხშირ შემთხვევაში იგულისხმება კათეტერი, ერთჯერადი შპრიცი და ყველა დანარჩენი ნივთი, რომელიც მკურნალობის დროს გამოიყენება. წარმომადგენლის განცხადებით, ხშირ შემთხვევაში კათეტერები არ არის ძვირადღირებული, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მსგავსი გაურკვეველი „არაპირდაპირი ხარჯები“ ათეულ მილიონამდე ადის“

„პაციენტების ნათესავებს „მეწველ ძროხებს“ ეძახიან, ეს ცნობილი ფაქტია“



„ღუდუშაურის კლინიკაში გვქონდა შემთხვევა, როდესაც კონკრეტული ადამიანი ირწმუნებოდა, რომ მისი ოჯახის წევრი გარდაცვლილი იყო და მაინც ჰყავდათ შეერთებული სასუნთქ აპარატზე“

ძვირადღირებული კათეტერების გამოყენება გარდაუვალია. ასეც რომ იყოს „ანტიკორუფციული კავშირის“ ხელმძღვანელის განცხადებით, წარმოუდგენელია მკურნალობის 50% ასეთ ნერილმანებში გაიხარჯოს და უფრო მეტი დასჭირდეს, ვიდრე თავად მედიკამენტებს.

გია ბურჯანაძე, „ანტიკორუფციული კავშირის“ ხელმძღვანელი:

– პრობლემას წარმოადგენს ის, რომ სადაზღვევო კომპანიები და ჯანდაცვის სამინისტრო კორუფციული მექანიზმით მუშაობენ. კერძოდ, სასწრაფო სამედიცინო დახმარებით ბინიდან გადაიყვანეს პაციენტი ინგროიყვაში, რომელსაც საყოველთაო დაზღვევა ჰქონდა, მან საავადმყოფოში ორი დღე დაყო. ორი დღის მკურნალობის თანხამ 704 ლარი შეადგინა. ყველაფერი გაწერილი იყო, რამდენი რაში დაიხარჯა და მათ შორის არის მითითებული ე.წ. არაპირდაპირი ხარჯის ოდენობა – 300 ლარი, ანუ მთლიანი მკურნალობის თითქმის 45%.

– მთლიანი თანხა სახელმწიფოს მიერ იქნა ანაზღაურებული?

- პაციენტმა თანხის 10%, 69,80 ლარი გადაიხადა, დანარჩენი 698 ლარი – სახელმწიფომ.

– „არაპირდაპირი ხარჯი“ როგორ იშიფრება, ანუ ეს რა ტიპის ხარჯია?

– პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი მკურნალობის თითქმის 45%-ს შეადგენს ე.წ. „არაპირდაპირი ხარჯი“. კლინიკას ხარჯებში მთლიანად გაუშიფრავად უწერია აღნიშნული თანხა, ანუ არ არის ცნობილი, რაში და რა მიზნით დაიხარჯა ეს თანხა. მე ამ შემთხვევაში კონკრეტულად ინგროიყვას წინააღმდეგ კი არ გამოვდივარ, ასე ხდება ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში, გამონაკლისი არ არსებობს. აბსოლუტურად ყველა სამედიცინო დაწესებულებაში „არაპირდაპირი ხარჯის“ მითითება, როგორც წესი, სწორედ ამ ფორმატით არის მოხსენიებული და არავინ ამბობს, რაში იხარჯება ეს თანხა. რადგან „არაპირდაპირი ხარჯის“ ახსნა-განმარტება და მისი დეტალური გაშიფვრა დახურულია, საფუძვლიანი ეჭვი გვიჩნდება კორუფციული მექანიზმის არსებობაზე.

– ამ კონკრეტულ შემთხვევაში პაციენტმა არ მოითხოვა ამ თანხის გაშიფვრა, თუ არ ჰქონდა ამის უფლება?

– პაციენტს, რა თქმა უნდა აქვს უფლება და სამედიცინო კლინიკაც ვალდებულია, პაციენტს წარუდგინოს დეტალურად გაწერილი ხარჯთაღრიცხვა, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ამ პაციენტზე ფსიქოლოგიური მუშაობა მოხდა, პირდაპირ უთხრეს პაციენტს, რაში გაინტერესებთ, რაში რამდენი იხარჯება, თქვენ ისედაც მიზერს იხდით, მოიტანეთ ეს 69 ლარი და დანარჩენს სახელმწიფო გადაიხდისო. ზოგადად, როდესაც პაციენტი შედის დაზღვევით, ნებისმიერი სამედიცინო კლინიკა ცდილობს ის მაქსიმალური დროით დაიტოვოს სამკურნალოდ, რომ ბოლომდე ამოქაჩოს მის სადაზღვევო ბარათზე არსებული ფინანსური რესურსი, რაც ამ კონკრეტულ პაციენტს გააჩნია. ანუ არის ფაქტები, როდესაც, მაგალითად, პაციენტს რეალურად მკურნალობისთვის სამი დღე ესაჭიროება, მაგრამ მას ტოვებენ 10-12 დღის განმავლობაში. თუკი ორი დღის მკურნალობის ისტორიაში მთლიანად გახარჯული თანხის 45%-ს მიუთითებ, როგორც „არაპირდაპირ ხარჯს“, ბუნებრივია, ლოგიკურად ჩნდება კითხვა: სად მიდის ეს თანხები? ეს ერთი შემთხვევაა და თვის განმავლობაში მსგავსი გაურკვეველი „არაპირდაპირი ხარჯი“ რამდენიმე ათეულ მილიონამდე ადის. კლინიკებმა უნდა გაშიფრონ, რას ნიშნავს „არაპირდაპირი ხარჯი“, წინაღმდეგ შემთხვევაში მათ უნდა აღკვეთონ არამიზნობრივი ხარჯები და საჭიროებისამებრ მოახმარონ სხვა პაციენტებს.

– ფიქრობთ, ჯანდაცვის სამინისტრო არ აკონტროლებს ამ გახარჯულ თანხებს?

– ღრმად ვარ დარწმუნებული, რადგან ეს სისტემა ასეთი გაუმჭვირვალე და დაფარულია, კორუფციული მექანიზმით ერთი ჯიბიდან მეორეს ჯიბეში გადადის ეს თანხები. ასე იყო წინა ხელისუფლების დროს და ასეა ამჯერადაც. ნუ იფიქრებენ, რომ ხალხი უვიცია, თუმცა უბრალო მოქალაქეები ვერაფერს აკეთებენ კორუფციული მექანიზმების მოსასპობად, გარდა მათი გამოვლენისა.

– თქვენ აღნიშნეთ, რომ „არაპირდაპირი ხარჯები“ აქვთ სხვა სამედიცინო დაწესებულებებსაც...

– კი ასეა, ეს არ არის მხოლოდ ინგროიყვას მეთოდი, ზუსტად იგივე ხდება ყველა სხვა საავადმყოფოში. უფრო მეტსაც გეტყვით, როდესაც პაციენტის სადაზღვევო ბარათზე არსებულ მთლიან ფინანსურ რესურსს აითვისებენ, თუ შეატყვეს, რომ პაციენტის ახლობლები, ოჯახის წევრები მზად არიან, პირადი ფინანსებით გააგრძელონ მკურნალობა შიშის გამო, ამასაც იყენებენ და მაშინ როდესაც პაციენტს აღარ ესაჭიროება, მაგალითად, რეანიმაციაში ყოფნა, ან დამატებითი სამკურნალო პროცედურები, მაინც უტარებენ და ტოვებენ საავადმყოფოში. პაციენტების ნათესავებს „მეწველ ძროხებს“ ეძახიან, ეს ცნობილი ფაქტია. არსებობს ძალიან ცუდი მაგალითები ამისა... მაგალითად, ღუდუშაურის კლინიკაში გვქონდა შემთხვევა, როდესაც კონკრეტული ადამიანი ირწმუნებოდა, რომ მისი ოჯახის წევრი გარდაცვლილი იყო და მაინც ჰყავდათ შეერთებული სასუნთქ აპარატზე და საყოველთაო დაზღვევიდან თანხებს იღებდნენ. ამიტომ ხშირია შემთხვევები, როდესაც ექიმი საკუთარი ახლობლის ნახვას უკრძალავს 2-3 დღის განმავლობაში რეანიმაციაში, ისინი ჩვენ გვიკავშირდებიან, რადგან ეჭვი აქვთ, რომ ავადმყოფი ცოცხალი აღარ არის.

– რამდენად ხშირად გიკავშირდებოდნენ ასეთი პრობლემით?

– საკმაოდ ხშირი იყო. სიმართლე გითხრათ, როდესაც ყოველ ასეთ ზარზე ვრეაგირებდით, იმ კონკრეტულ საავადმყოფოებში უარს აღარ ეუბნებოდნენ მონახულებაზე და გარდაცვალების ფაქტსაც მაშინვე ატყობინებდნენ.

თავად სამედიცინო კლინიკები აცხადებენ, რომ ჯანდაცვის უწყებას დეტალურ ინფორმაციას აწვდიან, სადაც ყველა წვრილმანია გაწერილი და მათ შორის „არაპირდაპირი ხარჯიც“, თუმცა ისევ და ისევ ინგროიყვას მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, როგორც თავად განაცხადეს, სამინისტრო, როგორც წესი, „გაშლილ კალკულაციას არც კი ითხოვს“, რაც იმას ნიშნავს, რომ ურთიერთობა ნდობაზეა დამოკიდებული. გია ბურჯანაძის განცხადებით, „ნდობის“ ხარჯზე არამიზნობრივად თვეში რამდენიმე ათეული მილიონი იხარჯება, რაც საბოლოოდ აუცილებლად გამოიწვევს საყოველთაო დაზღვევის პროგრამის გაუქმებას, რადგან ბიუჯეტი, უბრალოდ, ვერ გაუძლებს არარეალურ ხარჯებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნინო სურგულაძე: „ყოველთვის უნდა გააკეთო მაქსიმუმი და უნდა იყო გულწრფელი“

„მე მუდამ შეყვარებული ვარ“

EXCLUSIVE

დეა თავბერიძე

ნინო სურგულაძე ორი კვირაა რაც ნეაპოლშია. ქართველი მეცო სოპრანო ვერდის „ლუიზა მილერისთვის“ ემზადება. პრემიერა 25 აპრილს ბუდაპეშტში, 5 მაისს კი ნეაპოლში გაიმართება. ნინო ფრედერიკას განასახიერებს, ეს როლი მან პირველად ბარსელონაში შეასრულა. „პრაიმტაიმი“ ნინო სურგულაძეს იტალიაში დაუკავშირდა. მომღერალი, პრემიერის გარდა ნეაპოლურ სითბოზე, სიყვარულზე და იმ ცხოვებისეულ დეტალებზე საუბრობს, რომელიც დღეს მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ნინო სურგულაძე:

- სახასიათო როლია, რაც შეეხება დადგმას, თანამედროვეა, ეს დღეს მიღებული ფორმაა. უკვე არა მარტო კლასიკურად, არამედ თანამედროვედაც იდგმება ოპერა. მოქმედება ადრინდელ იტალიაშია, მაფიის პერიოდია და თან ძალიან ორიგინალური... მე დაცვა დამყვება.

აქედან კოლუმბიაში მომიწევს გამგზავრება, შემდეგ უკვე მაჩერატას ფესტივალი მელოდება და ასევე არენა დივერონა ზაფხულში, სადაც ძალიან მიყვარს ჩასვლა, საოცარი სანახაობაა, ღია ცის ქვეშ 17 000 მაყურებელი, თავისი ანთებული სანთლებით, ძალიან რომანტიკულია.

- საინტერესოა, სცენაზე გასვლის წინ თუ გაქვს ხოლმე რაიმე სახის რიტუალი?

- პრემიერის დღე ძალიან რთულია, მიჭირს სხვებთან ურთიერთობა, ჩაკეტილი ვარ ხოლმე კონცენტრირებისთვის. რიტუალი - გაღვიძების, ერთნაირი მოქმედებები, მარჯვენა ფეხით ვდგები, სცენაზე გასვლის წინ პირჯვარს ვიწერ, გვაქვს ასეთი ტრადიცია, პრემიერაზე კოლეგები წარმატებას ვუსურვებთ და სუვენირებს ვჩუქნით ერთმანეთს. თვითმფრინავშიც მარჯვენა ფეხით შევდივარ, აი ნელს ხშირად მომიხდება ამის გაკეთება.

ძალიან დიდხანს მომიწევს საზღვარგარეთ ყოფნა, თუმცა, ეს განუყრელი ნაწილია, ჩემი პროფესიის და ამას წლების მანძილზე მიჩვეული ვარ. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ფონდიდან გამომდინარე ძალიან მჭიდრო კავშირი მექნება საქართველოსთან.

საქველმოქმედო ფონდმა, რომელიც საოპერო მომღერალმა თავისი კოლეგისა და მეგობრის ნინო ჩიქოვანის გადარჩენის მიზნით ჩამოაყალიბა, უკვე რამდენიმე ადამიანს გაუწია დახმარება. საქველმოქმედო კონცერტს ფონდის ჩამოყალიბებისთანავე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 200-მდე სტუმარი ეწვია. დღეს კი ნინო შედეგით ხარობს.

ნინო სურგულაძე:

- ჩვენი ბენეფიციარები, რომლებიც ჩვენ ბოლო კონცერტზე წარვუდგინეთ მაყურებელს, ბევრად უკეთესად არიან. მათ შორის ნინო ჩიქოვანიც, რომელიც მალე სიმღერას დაიწყებს და 4 ნლის მარიამ ბაბუიძე ბავშვთა სახლიდან, მას სულ ახლახან გაუკეთდა ოპერაცია, და სულ მალე ისეთივე სრულყოფილი ცხოვრებით იცხოვრებს, როგორც ყველა ბავშვი. ეს კი ყველა იმ ადამიანის დამსახურებაა, ვინც გვერდით დაგვიდგა.



ყველა აკეთებს თავის ვიწრო სამყაროში კეთილ საქმეს, ეს, ალბათ, ადამიანის ერთ-ერთი სულიერი მოთხოვნილებაა და ვთვლი, რომ სიკეთეს ყვირილი არ სჭირდება, მაგრამ იქიდან გამომდინარე, თუ როგორი ფორმატი აქვს ჩემს ფონდს, ხდება სხვა სახსრებით, ადამიანები რეკავენ, იყიდება ბილეთები, რა თქმა უნდა, საჭიროა ამ ყველაფრის გახმაურება. ამ ხალხის მოზიდვა, რომ რაც შეიძლება მეტი ჩაერთოს ამ ქველმოქმედებაში.

ვთვლი, რომ ეს ფონდი უნდა იყოს ჩემი განუყრელი ნაწილი. რაღაცნაირი მოთხოვნილება მაქვს, ისეთი სიხარულია, როდესაც არის შედეგი, რომ ამ ბედნიერებას ვერაფერი შეცვლის, ალბათ.

ქველმოქმედება და ხელოვნება როდესაც ერთიანდება, ლამაზი და ძლიერი ფაქტორია იმისა, რომ გამოინვიოს პოზიტივი და სიკეთისთვის გააერთიანოს ბევრი ადამიანი. ეს ძალიან მახარებს.

- ვისაუბრეთ კარიერაზე, ქველმოქმედებაზე პირად ცხოვრებაში რა ხდება, სიახლე არაფერია?

- ჩემი გრაფიკიდან გამომდინარე ასეთი ნაბიჯებისთვის ჯერჯერობით ვერ ვახერხებ მოცლას. ამიტომ ცოტათი მიძინებულია ეს საკითხი. მაგრამ ვფიქრობ, ალბათ, ასაკიც არის უკვე და ჩემი პირადი მოთხოვნილებაც, რომ ოჯახი და შვილი მყავდეს, რომ მეტი აზრი მიეცეს იმ ყოველივეს რასაც ვაკეთებ. ვფიქრობ მალე მოვა ის მომენტი, როდესაც ჟურნალისტებსაც გავახარებ და ჩემს თავსაც (იცინის).

- თქვეს, რომ ნინო სურგულაძე შეყვარებულიაო.

- სულ შეყვარებული უნდა იყოს ხელოვანი. შემოქმედი ადამიანი არ შეიძლება რომ არ იყოს შეყვარებული, მე მუდამ შეყვარებული ვარ, გამომდინარე იქედან, რომ ეს რაღაც მუზა უნდა იყოს... რადგან ასე თქვეს, მალე უნდა მივხედო ამ საკითხს (იცინის), თუმცა, ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი ზემოთ წყდება... მოდი მოვლენებს ნუ დავაჩქარებთ. არსად არ გვეჩქარება ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი ვთვლი, რომ დიდი ბედნიერებაა, როდესაც ადამიანს შეუძლია ჰქონდეს თავისი საყვარელი საქმე და ჰყავდეს ოჯახი. ცხოვრებაში ყველ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოლში დაცვით დადის

„ყველა აკეთებს თავის ვიწრო სამყაროში კეთილ საქმეს, ეს, ალბათ, ადამიანის ერთ-ერთი სულიერი მოთხოვნილებაა და ვთვლი, რომ სიკეთეს ყვირილი არ სჭირდება“

„ვთვლი, რომ მთელ მსოფლიოში არის პოზიტივის ნაკლებობა, თუმცა საქართველოში, რაც თავი მახსოვს, სულ რაღაც პერიპეტიებია, ცვლილებები, სულ ველოდებით უკეთესს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მომენტი აუცილებლად დადგება“

აზე მნიშვნელოვანი, ალბათ, შვილია, ახლა, როდესაც ჩემს ოჯახს ვუყურებ, ვხვდები, რომ ჩემი მშობლებისთვის ცხოვრების აზრი შვილები ვართ, მე და ჩემი ძმა. ისინი ჩვენით ცხოვრობენ და ჩვენით არიან ბედნიერები. ცხოვრებაში მათ დიდი მიზნებიც ჰქონდათ, წარმატებებიც და ასე შემდეგ, მაგრამ, როგორც დედაჩემი ამბობს, მთელი მისი ენერგია მაინც ჩვენზე იყო მიმართული. ის, რაც რჩება, შენი შვილია, რომელიც უნდა იყოს სიყვარულის ნაყოფი და შენი მომავალი.

- ანუ, როგორც მივხვდი, პროფესია გიშლის ხელს სიყვარულში?

- საოპერო მომღერლის ცხოვრება ძალიან რთულია. გარედან ლამაზად ჩანს ყველაფერი და მართლაც ლამაზია, როცა მომღერალი სცენაზე დგას და გამზადებულ პროდუქციას აწვდის მსმენელს, მაგრამ ასევე დიდი შრომაა ჩადებული ამ ყველაფერში. მე კი იმდენად ჩაფლული ვარ ჩემს საქმეში და იმდენ რაღაცას მოითხოვს ეს საქმე, თუნდაც იმდენ გრძნობას, იმდენ ემოციას, რომ სცენაზე გასვლის შემდეგ ძალიან ვიცლები ემოციისგან. თუმცა, არის, ალბათ, ადამიანთა კატეგორია, რომელიც გაუძლებდა ამ ჩემს რითმს, რომელიც მართლა ძალიან რთულია... არ გამოვრიცხავ იმას, რომ ის შეიძლება სხვა პროფესიის იყოს, მაგრამ ძალიან კარგად უნდა ესმოდეს ჩემი, რადგან ჩემი ცხოვრება ეს არის, ამით ვცხოვრობ და ვარსებობ.

- მაქედან, როგორ ჩანს, საქართველო? ალბათ, პოზიტივი გვაკლია ქართველებს...

- ვთვლი, რომ მთელ მსოფლიოში არის პოზიტივის ნაკლებობა, თუმცა საქართველოში, რაც თავი მახსოვს, სულ რაღაც პერიპეტიებია, ცვლილებები, სულ ველოდებით უკეთესს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მომენტი აუცილებლად დადგება. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ საქართველო არის განსაკუთრებული ქვეყანა, განსაკუთრებული ხალხით, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოში ძალიან ბევრი ნიჭიერი ადამიანია, იმიტომ რომ ულამაზესია, იმიტომ რომ ჩვენთან არის კიდევ შენარჩუნებული სხვანაირი მხარში დგომა და მე ამაში დავრწმუნდი, როდესაც გავაკეთე საქველმოქმედო კონცერტები, მხარდაჭერა ვიგრძენი, სრულიად უცხო ადამიანების მხრიდან და ეს არის ისევ დიდი მაჩვენებელი იმისა, რომ ეს არ არის ისე მუქ ფერებში დასანახი, როგორც ჩვენ ვხედავთ. ანუ ოპტიმისტურად ვუყურებ ამ ყველაფერს, მით უმეტეს ძალიან კარგი თაობა მოდის, რომელსაც აქვს სურვილი, რომ ისწავლოს, განვითარდეს და ესეც ძალიან დიდი პლუსია.

- როგორც ვიცი, საქართველოში ხშირად ჩამოდიხარ, მიუხედავად ამისა მონატრება მაინც არის?

- ქვეყნის მონატრებას ძალიან ძლიერად ვგრძნობ. მიუხედავად იმისა, რომ ნეაპოლი ძალიან მაგონებს საქართველოს, აქაც ძალიან თბილი ხალხია და ძალიან გენათესავებიან. აქ ნამყოფი ვარ, წლების წინ კარმენი შევასრულე, ეს შეგრძნება განმიახლდა. ასეთ ქვეყნებში როგორიც არის იტალია და ესპანეთი, მაინც არის შეგრძნება, რომ სახლში ხარ, იმიტომ რომ ჩვენსავით თბილები არიან. ძალიან მომწონს ის, რომ აქ ღიმილი გულიდან მოდის, აქ არ არის მაღალი დონის ცხოვრება, აქვთ თავიანთი პრობლემები, მაგრამ ერთმანეთს სიყვარულითა და ღიმილით ახალისებენ და იფერადებენ ცხოვრებას. თან პლუს, ჩვენსავით, სულ მზეა და ეს მოქმედებს ადამიანზე. ბედნიერი ბოლომდე მაშინ ვიქნები, როდესაც საქართველოში ჩამოვალ და ძალიან ბევრ გაღიმებულ სახეს ვნახავ, ეს იქნება ძალიან მაგარი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„პრინციპში, პოლიტიკაში ასეთი რამ მოსულა და ზუსტად ამიტომ არ ვარ მე პოლიტიკაში“

ხათუნა მგალობლიშვილი

გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ „ქართული ოცნება“ უკვე იქცა ქვეყნის განვითარების შეფერხების მიზეზად. 2016 წლის არჩევნებამდე კი მისი შემცვლელი არავინ გამოჩნდება, რაც თავისთავად პრობლემას კიდევ უფრო გაზრდის. მით უფრო მაშინ, როდესაც ხელისუფლება მთავრობის გადახალისებასა და მართვის სისტემის შეცვლაზე არც კი ფიქრობს. ხუხაშვილის განცხადებით, ხელისუფლებამ სტაბილურობის შანსი რომ მიიღოს, ამისთვის მთლიანი მთავრობის გადახალისება და მათთვის სისტემის შეცვლაა საჭირო, რისი ნიშნებიც არ ჩანს. შესაბამისად, ხმები თუნდაც ფინანსთა მინისტრის ჩანაცვლებაზე არაფრის შემცველია... რაც შეეხება „ქართული ოცნების“ ჩამნაცვლებელს, ექსპერტი მიიჩნევს, რომ ასეთი ძალა ვერაფრით გახდება ირაკლი ალასანია, რადგან მან ერთადერთი შანსი, დაეკავებინა ცენტრალური პოზიცია, ხელიდან გაუშვა...

გია ხუხაშვილი, ექსპერტი:

– თუ ალასანია „ნაციონალური მოძრაობის“ იმ წევრებთან აპირებს თანამშრომლობას, რომლებსაც პირდაპირი შეხება არ აქვთ დანაშაულთან, მაშინ კიდევ გასაგებია, მაგრამ ალასანიამაც კარგად იცის, რამდენად დანაშაულებრივი რეჟიმი იყო, ამიტომ მიკვირს, თუ მან მაინც მიიღო ნაციონალებთან თანამშრომლობის გადაწყვეტილება. ალასანია, ალბათ, უფრო თემატურ თანამშრომლობას გულისხმობდა. პრინციპში, პოლიტიკაში ასეთი რამ მოსულა და ზუსტად ამიტომ არ ვარ მე პოლიტიკაში. სამწუხაროდ, ასე ხდება ხოლმე. ჩემი კრიტერიუმით, პოლიტიკური თანამშრომლობა იმ პარტიასთან, რომელიც ეჭვმიტანილია სისტემურ პოლიტიკურ დანაშაულში, არ არის კარგი ტონი და რაც მთავარია, არ არის პოლიტიკურად გათვლილი ნაბიჯი. იმ შემთხვევაში, თუ ელექტორატს ორ ნაწილად გავყოფთ, ერთი, რომელსაც ნაციონალები დამნაშავე ძალად მიაჩნია და მეორე, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება არ მოსწონს, მაგრამ თვლის, რომ ნაციონალები მათზე უარესები არიან, ორივე შემთხვევაში გაღიზიანება გაუჩნდებათ ალასანიას მიმართ. ამიტომ გაურკვეველია, რომელ ელექტორალურ მასაზე გააკეთებს გათვლას „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი. გარდა ამისა, ნაციონალებთან თანამშრომლობის შემთხვევაში „თავისუფალ

„კოალიციაში არიან პარტიები, რომლებიც ელექტორატულად მოთხოვნადები არ არიან“

დემოკრატებს“, უბრალოდ, ჩაყლაპავს „ნაციონალური მოძრაობა“ და ვერც ამ შემთხვევაში იშოვის ის თავის ელექტორატს. ალასანიას თეორიული შანსი იყო, დაეკავებინა ცენტრალური პოზიცია, ანუ მოეპოვებინა იმ ელექტორატის მხარდაჭერა, რომელსაც არ მოსწონს არც ნაციონალები და არც „ქართული ოცნება“. ამ ელექტორატზეც, როგორც ჩანს, არ მუშაობს, ამიტომ ძალიან გაურკვეველია მათი ნაბიჯი.

– რესპუბლიკელები კოალიციის ერთ-ერთ წამყვან ძალად ითვლებიან, თუმცა მათი რეიტინგი, როგორც აღნიშნეთ, „უსუსურია“, როგორ ფიქრობთ, რა არის ამის პრობლემა?

– კოალიციაში არიან პარტიები, რომლებიც ელექტორატულად მოთხოვნადები არ არიან. სხვა პრობლემებიც არის, მაგრამ არ მინდა ამაზე საუბარი. მათ მიმართ ასეთი შეფასება ჩვენი ელექტორატის ბუნებიდან და სტრუქტურიდან გამომდინარეობს. მოცემულობათა სისტემა ძალიან ჩაკეტილია, როგორც რესპუბლიკური პარტიის, ასევე თავისუფალი დემოკრატების. რესპუბლიკელებსა და თავისუფალ დემოკრატებს ზრდის პოტენციალი არ გააჩნიათ, ისინი ხელისუფლებაში მხოლოდ კოალიციების არსებობის შემთხვევაში შეიძლება აღმოჩნდნენ, დამოუკიდებლად ვერასოდეს შეძლებენ მყარად ყოფნას.

– გამოდის, დიდი შანსია რესპუბლიკელების ხელისუფლებაში ყოფნა, ოთხწლიანი ისტორიით, 2016 წელს დასრულდეს?

– ვერ ვხედავ პარტიას, რომელიც ცალკე წასვლის შემთხვევაში შეძლებს რაიმეს მიღწევას 2016 წლის არჩევნებზე. ჩვენ, ალბათ, ისევ კოალიციური და ცალკეული პარტიების ჭიდილი გვექნება, დღევანდელი გადმოსახედიდან ხელისუფლება მეორე ვადით დარჩება, რადგან მეორე ადგილზე კვლავ ნაციონალები არიან. მათ კი ამომრჩევლის საგრძნობლად გაზრდის შანსი არ აქვთ. სამწუხარო სწორედ ის არის, რომ 2016 წლის არჩევნები შეიძლება იყოს ნეგატიური არჩევნები, ანუ ხალხი არჩევანს გააკეთებს არა ცუდსა და კარგს შორის, არამედ ცუდსა და უარესს შორის. ასეთი განწყობა კი თავისთავად გამოიწვევს არჩევნებზე ძალიან დაბალ აქტივობას, შესაბამისად, არჩეული ხელისუფლებაც ლეგიტიმურად ძალიან სუსტი იქნება, ეს კი თავისთავად ძალიან ცუდია.

– განაცხადეთ, რომ, თუ „ქართული ოცნება“ კიდევ ერთ არჩევნებს მოიგებს, ეს ქვეყნის განვითარებას შეაფერხებს...

– ვფიქრობ, ეს იმდენად მარტივი და ღიად დასანახია, რომ მთავრობის თითოეული წევრისთვის გასაგები უნდა იყოს. ჩემთვის ძალიან გასაკვირია, თუ ვინმე ვერ ხედავს ამას. თავისთავად ამომრჩეველზე იმოქმედებს თუნდაც ადეიშვილის ცირკულარიდან მოხსნის ფაქტორიც, მსგავსი ფაქტები ამომრჩეველს უდასტურებს პროპაგანდისტულ მოსაზრებას, რაზეც ოპოზიცია გამუდმებით საუბრობს, რომ ხელისუფლება არის უუნარო, სუსტი, რომ მის სიტყვას არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის გარეთ ფასი არ აქვს. ეს კიდევ ერთი დასტურია, რომ ხელისუფლებას ქმედებების ხარისხთან დაკავშირებით პრობლემა აქვს, რაც, ბუნებრივია, ძალიან ცუდად აისახება ხელისუფლების ავტორიტეტზე. ავტორიტეტის დაცემა კი რეიტინგის ავტომატურ დაცემას გამოიწვევს.

გია ხუხაშვილი: „რესპუბლიკელებსა და თავისუფალ დემოკრატებს ზრდის პოტენციალი არ გააჩნიათ“

EXCLUSIVE

„არ ვფიქრობ, რომ ცე ჰეპატიტით დაავადებულთა რაოდენობა ამ პერიოდში განახევრდა“

თამარ ივანიაძე

დედაქალაქის ბიუჯეტში ცვლილებების შესახებ ინფორმაცია განსაკუთრებულად მტკივნეული სოციალურად დაუცველებისთვის აღმოჩნდა. ბიუჯეტის ახალი ვარიანტის მიხედვით სოციალური და ჯანდაცვის ხარჯები 7 მილიონით მცირდება. კონკრეტულად რა პროგრამებით სარგებლობა შეიზღუდება თბილისში მცხოვრები სოციალურად დაუცველებისთვის, ამაზე „პრაიმტაიმს“ ალეკო ელისაშვილი ესაუბრა.

ალეკო ელისაშვილი:

- ჩემთვის ყველაზე აღმაშფოთებელი საბიუჯეტო ცვლილებების ცე ჰეპატიტის დაფინანსების 600 000 ლარით შემცირება იყო. მართალია, მე ბიუჯეტის თავდაპირველი ვარიანტისთვისაც არ დამიჭერია მხარი, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი რის გამოც ბიუჯეტის პირველადი ვერსია მომწონდა, იყო ის, რომ ცე ჰეპატიტის პროგრამა ფინანსდებოდა მილიონ 300 000 ლარით.

მთავარი არგუმენტი რის გამოც ეს დაფინანსება შემცირდა, იყო ის, რომ ცენტრალური ბიუჯეტი და ჯანდაცვის სამინისტრო მაინც აფინანსებს ცე ჰეპატიტის პროგრამას და ჩვენ შეგვიძლია შევამციროთ. ეს ჩემთვის იყო აბსოლუტურად გაუგებარი. იმიტომ რომ თუ ჯანდაცვის სამინისტროს თანხა სრულად ყოფნის ამ ადამიანების მკურნალობას, მაშინ გაუგებარია რატომ გამოყო საერთოდ ეს თანხა თბილისის ბიუჯეტმა, თუ ჯანდაცვის სამინისტრო აუდის ყველაფერს, მაშინ სოციალური სამსახური რაში სჭირდება მერიას? რადგან გამოვყავით თანხა, გამოვყავით იმიტომ რომ პრობლემაა, ამიტომ ეს არგუმენტი, რითაც თანხის შემცირებას ასაბუთებენ, გაუგებარია.

მე ვიცნობ მარტო ათობით ადამიანს, რომელსაც ცე ჰეპატიტი აქვს. რამდენი ადამიანი შეიძლება დარჩეს დაუფინანსებლობის გარეშე, ამის თქმა ზუსტად მიჭირს. მაგრამ, ფაქტობრივად, ამ პროგრამისთვის გამოყოფილ თანხას ვანახევრებთ და მე არ ვფიქრობ, რომ ცე ჰეპატიტით დაავადებულთა რაოდენობა ამ პერიოდში განახევრდა. ამასთან მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ცე ჰეპატიტით დაავადებულთა დიდი უმეტესობა სწორედ თბილისში მცხოვრებლები არიან, ამ პრობლემას მთლიანად არც მილიონ სამასი ათასი მოაგვარებდა, მაგრამ ეს იყო გარკვეულწილად შეღავათი ამ ადამიანებისთვის.

რაც შეეხება დანარჩენ პროგრამებს, რომ რაღაც სერვისი იყო და აღარ არის, ან რომელიმე პროგრამა ერთმნიშვნელოვნად გაუქმდა, ასე არ არის, თუმცა მნიშვნელოვანი თანხები მოაკლდა მთელ რიგ პროგრამებს. ჯამში, სოციალური და ჯანდაცვითი ნაწილი 6 მილიონ რვაასი ათასით არის შემცირებული. ლეიკემიის მკურნალობის დაფინანსებაა შემცირებული ექვსი ათასით, სხვა სოციალური ხარჯები სამი მილიონ ასი ათასით, რაც ნიშნავს, რომ მოსახლეობის ერთჯერადი დახმარება შემცირება, ასევე წამლებით დაფინანსების შემცირება მოხდება.

სოციალური ბიუჯეტის შემცირება იყო დაუშვებელი, პირიქით, გასაზრდელია პენსიონერებისთვის, პედაგოგებისთვის თანხები და ამის საშუალება თბილისის ბიუჯეტს აქვს. სოციალური მიმართულება, პირიქით, უფრო მეტად უნდა გაძლიერებულიყო იმ ფონზე, როცა 90 მილიონია ადმინისტრაციული შენახვის ხარჯი და ამ ფონზე ვამცირებთ სოციალურ ბიუჯეტს. მოიკლონ მერიამ და საკრებულომ მანქანებით სიარული და მოხმარდეს ეს ყველაფერი ადამიანების კეთილდღეობას, ოღონდ გონივრულად და ადეკვატურად და არა ისე, როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება, იმიტომ რომ, ამ მიმართულებითაც პრობლემები არის.

პრობლემები რომ მართლაც არის, ამას სოციალურად დაუცველებიც ამბობენ. „პრაიმტაიმი“ სოციალურად დაუცველ 30 წლის **გიორგი მარჯანიძეს** ესაუბრა, რომლისთვისაც ავადმყოფობის გამო, როგორც თავად ამბობს, სახელმწიფოს მხრიდან დახმრება ძალიან მნიშვნელოვანია.

„მე პირადად კისტა მაქვს თავში, სამკურნალოდ მჭირდებოდა თანხები, მაგრამ ჯანდაცვის სამინისტრო-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვის ხარჯზე შეამცირა ბიუჯეტი თბილისის მერიამ

დან მომივიდა პასუხი, რომ სახელმწიფოს უჭირს, არაერთხელ მივმართე მერიასაც, მაგრამ არის პასუხი, რომ დღესდღეობით უჭირთ და არ აქვთ საშუალება. ეს პასუხები გასაგები იყო მაშინ, როცა ახალი მოსულები იყვნენ, მაგრამ ახლა უკვე ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ადრე შევდიოდი მათ მდგომარეობაში, მაგრამ როდემდე, როცა ამდენი ბავშვი მშიერია.

ბოლოს, როცა რაიონულ გამგეობას ერთჯერად ფულად დახმარებას ვთხოვდი, რომ წამლები მეყიდა, უარი მომივიდა, მიმართეთ თქვენს რაიონულ გამგეობასო, მერე მას მივმართე, მათ კიდევ სხვაგან გადამამისამართეს, მერე იქ მითხრეს, რომ ეს მათ არ ეხებოდათ, საბოლოო ჯამში მიზეზი მაინც ის იყო, რომ სახელმწიფოს უჭირს და არ აქვს საშუალება, რომ დამეხმაროს. თუ სახელმწიფოს არ აქვს იმის საშუალება რომ სოციალურად დაუცველებს მიხედონ, მაშინ დაიხურონ თავზე ქუდი და წავიდნენ. თუ არ შეასრულებენ იმ დაპირებებს, რითაც მოვიდნენ, რაც წინა ხელისუფლებას მოუვიდა, ის მოუვა ამასაც.

ცოტა ხნის წინ უმიზეზოდ მომიხსნეს სოციალურად დაუცველთა სტატუსი და რომ მივედი და წარვადგინე ჯანდაცვის ცნობა, რომ ეპილეფსია მაქვს, თავში კისტა და შაქარი მაქვს, შემდეგ აღმიდგინეს. რატომ მომიხსნეს არ ვიცი. 21 წელია სხვის ბინაში ვცხოვრობ, ადრე ქირით ვცხოვრობდი, ახლა ამის საშუალებაც არ მაქვს. მეზობელმა შემიშვა თავის სახლში, სანაცვლოდ ჩემი და ეხმარება მას და ამით ვუნაზღაურებთ. ჩემნაირი ძალიან ბევრია ამ ქვეყანაში.

მე სოციალურად დაუცველთა საინიციატივო ჯგუფში ვარ და ვიცი, რომ ჩივილები ძალიან ბევრი აქვთ სხვებსაც, უმიზეზოდ უხსნიან სტატუსს, ძალიან დაბალია სოციალურად დაუცველისთვის გამოყოფილი თანხა და ერთჯერად დახმარებასაც ძალიან ძნელად იღებენ. ბევრს აქვს დაწერილი ერთჯერადად თანხის მიღებაზე განცხადება, მაგრამ თითქმის ყველას მოსდის პასუხი, რომ სახელმწიფოს უჭირს და თანხა არ არის.

ახლა, როცა უკვე გამოყოფილ თანხებსაც ამცირებენ, ალბათ, ძალიან ცოტა მიიღებს ამ დახმარებას, რომელიც მნიშვნელოვანი შეღავათი იქნებოდა ჩვენთვის. თუმცა, სიმართლე რომ გითხრათ, მერიას ამ საკითხში იმდენად ვერ გავამტყუნებ, როგორც ცენტრალურ მთავრობას. მათ დაავიწყდათ ის დაპირებები, რომლითაც ხელისუფლებაში მოვიდნენ. ამ ხალხს აქვს მოთმინება, მაგრამ როდემდე? ეს ყველაფერი ძალიან რთულ შედეგს გამოიღებს.

ბიუჯეტში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება საკრებულოში ხდება, თუმცა ეს ყველაფერი რა და როგორ უნდა მოხდეს, ზევიდან მოდის. ქამრების შემოჭერაზე საუბრობენ, მაგრამ ქამრებს თავად კი არ იჭერენ, ქამრებს იმ გაღატაკებულ ადამიანებს უჭერენ, რომლებსაც ლუკმა პურის ფული არ აქვთ.

მე თვითონ სათნოების სახლიდან ვჭამ საჭმელს და რეზერვში ვიყავი სათნოების სახლში, იმდენი ხალხია. ოცჯერ დავწერე განცხადება, რომ იქ ლუკმა პური მქონოდა. გამათხოვრებულია ქართველი ერი“,-ამბობს **გიორგი მარჯანიძე.**

„ბიძინა ივანიშვილი კოალიციიდან არავის დაიტოვებს, ეს გამორიცხეთ, არც რესპუბლიკელებს. ზუსტი ინფორმაცია მაქვს...“

ვალერი გელბახიანი: „ჯერ ალასანიამ მოსინჯოს საკუთარი ძალები, არის კი ის იმდენად ძლიერი, რომ გამწევი ძალის როლი ითამაშოს?“

ქეთი ხატიაშვილი

მთავრობა უნდა წავიდეს და მის ნაცვლად ტექნიკური მთავრობა დაინიშნოს. ამ მოთხოვნას დღის წესრიგში ძირითადად ნაციონალები აყენებენ. მათ შორის იყო პეტრე ცისკარიშვილიც. მისი განცხადებით: მტკივნეული ეკონომიკური კრიზისის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა, ტექნიკური მთავრობა მოვიდეს.

რას ნიშნავს ტექნიკური მთავრობა, რამდენადაა საქართველოში ამის აუცილებლობა და რა სახის მესიჯია ეს? ამ და სხვა პოლიტიკურ თემებზე „პრაიმტაიმს“ ვალერი გელბახიანი ესაუბრა.

– როცა ტექნიკურ მთავრობაზე საუბრობენ, აქ, ალბათ, მხედველობაში აქვთ დროებითი ხასიათის მთავრობა.. ანუ ჯერ სხვადასხვა პარტიული წარმომადგენლობითი ნიშნით იკრიბება გარკვეული ჯგუფი, რომელიც ნაციონალური მნიშვნელობის ამოცანას კი არ წყვეტს, არამედ თანხმდება ტექნიკური მთავრობის შექმნაზე... ეს ხდება მაშინ, როცა ქვეყანაში კრიზისია. სწორედ მაშინ იკრიბებიან პოლიტიკური ძალები და ისეთ მთავრობას ქმნიან, რომელიც არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს. ანუ ეს მთავრობა ნაციონალური მნიშვნელობის თემებზე კი არ მუშაობს, არამედ უზრუნველყოფს არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებას. მაგრამ ეს ძალიან მძიმე კრიზისების დროს ხდება, გამოუვალი მდგომარეობა უნდა იყოს, ამის ნიშნები კი არ არსებობს.

– ანუ რა შემთხვევაში დაფიქსირდება ასეთი კრიზისი? ლარის კურსი უნდა გაიქცეს...

– რომც გაიქცეს, ეს რა კრიზისს შექმნის? პარლამენტი მთავრობას შეცვლის და ამით დასრულდება... ეს იმ შემთხვევაში დაფიქსირდება, თუ თავად მმართველი პოლიტიკური ძალა იქნება იმდენად ღრმა კრიზისში, რომ სხვა პოლიტიკურ ძალებთან ერთად შეძლებს არჩევნების ჩატარებას, სხვაგვარად კატასტროფას მიიღებს. საქართველოში ეს ნიშნები არ ჩანს?

– და მაშინ, რატომ აკეთებენ ასეთ განცხადებას ნაციონალები? რეალობას ვერ აღიქვამენ, თუ ეს რა მესიჯია?

– ნაციონალებს თუ შევეკითხებით და მათი შეხედულებებიდან ამოვალთ, მაგათ სასურველი და რეალობა ერთმანეთთან გამიჯნული არ აქვთ. ის, რაც რეალური არ არის, სასურველად მიაჩნიათ და ის, რაც სასურველია – რეალურად.

– მართალია, არჩევნებამდე ერთი წელზე მეტია დარჩენილი, მაგრამ პოლიტიკოსებისთვის ეს დიდი დრო სულაც არ არის. შესაბამისად, უკვე ხედავთ, რომელი მთავარი პოლიტიკური ძალები ავლენ საარჩევნო რინგზე?

– ამ ეტაპზე ვერ გეტყვით, იმიტომ რომ, ალბათ, ჯერ სამომავლო მოვლენებს უნდა დავაკვირდეთ. წინ მაისი და ივლისია. შემოდგომაც, ალბათ, ყველაზე მწვავე იქნება. ნაციონალები ხალხს დაჰპირდნენ, რომ აქციებს გააგრძელებდნენ და რომ ეს პერმანენტულ ხასიათს მიიღებს. თუმცა, როგორც ჩანს, ამის რესურსი არ აქვთ. ხალხში დიდი უკმაყოფილებაა, ეს შეიმჩნევა, მაგრამ ის მუხტი, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდეს და მთავრობის გადადგომა მოითხოვოს, არ იგრძნობა...

– ახალ პოლიტიკურ ძალაზე მინდა გკითხოთ, საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ და კულტურის ყოფილმა მინისტრმა ნიკა რურუამ რომ შექმნეს. როგორც წერენ, ალასანია შესაძლოა, სწორედ მათ ჩაუდგეს სათავეში, როგორც გამწევი ძალა და ლიდერი...

– შეიძლება, არის რაღაც ფარული მოლაპარაკებები, მაგრამ ასე ღიად ჩაიყენო... ჯერ ალასანიამ მოსინჯოს საკუთარი ძალები, არის კი ის იმდენად ძლიერი, რომ გამწევი ძალის როლი ითამაშოს? ალასანია კონსტრუქციული უფრო მგონია, ვიდრე ქარიზმატული... ის ქუჩის ლიდერის ტიპი არ არის.. ასე რომ, მისი ჩაბმით ვინმეს რამე შეემატოს, არა მგონია, ჯერ ნაციონალები რა ვთქვი და მერე მისი განაყოფები.

– თუმცა, NDI-ს კვლევებში ალასანია ოპოზიციას შორის ლიდერია და ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს. ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ ხალხი ქარიზმასა და ქუჩის ლიდერებს აღარ ეძებს?

– შეიძლება, NDI-ს სურს, პროამერიკული ძალები წამოწიოს წინ განსაკუთრებით, თუმცა ხალხში იკითხება ყველაფერი. ხალხში იკითხება გამოკითხვების რეალურობაც. ალასანიას ოპოზიციაში ლიდერობა სიმართლე არ არის. მას ამხელა მხარდაჭერა არ აქვს.

– ქუჩის ლიდერის პოტენციით ხედავთ ვინმეს?

– ქუჩის ლიდერი ასე არ იკვეთება, ამას მოვლენები კვეთს. შეიძლება ისეთმა ადამიანმა აიღოს სადავეები ხელში, რომ ეს მისგან მოულოდნელი იყოს.

– გამოდის, ქართული პოლიტიკა ისევ არასტაბილურ სივრცედ რჩება?

– პროგნოზირებადი შეიძლება არ იყოს რომელიმე პოლიტიკური ძალა, მაგრამ რაც დრო გადის, მმართველი გუნდის რეიტინგი ეცემა და ეს ყველა სფეროში შეიმჩნევა – პოლიტიკაში, ეკონომიკაში, კრიმინალში, დასაქმებაში, საერთოდ, კატასტროფაა. ეს არასტაბილურობის განცდას იწვევს. საქართველო პროგნოზირებადია მხოლოდ იმაში, რომ უფრო დაძაბული და რევოლუციონური გახდეს მოვლენები, ვიდრე კონსტრუქციული და დალაგებული.

– შავ სიაზე ილაპარაკეთ „ქართული ოცნების“...

– კი და როგორც მითხრეს, ერთ-ერთ დეპუტატს, გვარად ნიშნიანიძეს: ვინ არის გელბახიანი, მაგას ვინ ეკითხება, რა იცისო, უთქვამს. ბარიკადებზე ვიდექი და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ვიყავი ჩართულიო. ვინ არის ეს ნიშნიანიძე, საერთოდ, პირველად გავიგე მისი გვარი და რომელ ბარიკადებზე იდგა, სად იდგა ამნაირზე, რომ მე ხუთწლიანი დევნა განვიცადე და დეპუტატი ის გახდა, არ ვიცი. ეტყობა, გულზე მოხვდათ დეპუტატებს, მაგრამ თავად ბიძინა ივანიშვილს რატომ ვერ უბედავენ ამას? ხომ გახსოვთ, მან თქვა, 80% მომავალ პარლამენტში აღარ მოხვდებაო. ეს 80% შავი სია ხომ არის? რა გაუკვირდათ ერთი, მე რომ ვთქვი, ის გაუკვირდათ, თუ ბიძინამ რომ თქვა, მაგრამ ხმა ვერ ამოიღეს? მლიქვნელობენ და ფარისევლობენ, მაგრამ მაინც არ შეიყვანენ სიაში.

– რაკი შავ სიაზე გაღიზიანდნენ, თეთრ სიაზე ვილაპარაკოთ. პარლამენტში მოხვედრის ყველაზე მაღალი შანსი ვის აქვს?

– რამდენიმე ადამიანს, 10 კაცია, ვიცი, ვისაც დატოვებენ... მაგრამ არ დავასახელებ, დაპირისპირება რომ არ მოხდეს.

– პარტიაში თუ კოალიციაში?

– ივანიშვილი კოალიციიდან არავის დაიტოვებს, ეს გამორიცხეთ, არც რესპუბლიკელებს. ზუსტი ინფორმაცია მაქვს...

„ალასანია კონსტრუქციული უფრო მგონია, ვიდრე ქარიზმატული... ის ქუჩის ლიდერის ტიპი არ არის..“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

ფოტო: თინა თუთისანი

ეკო ფანგანი

ლიზა პაგრატიონი



სოფო ტოროშელიძე

ნინო სურგილაძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi



გიორგი ცაგარელი

ანანო მჭავია

აჩიკო სოლოღაშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვის დარჩება ტურისტული კომპლე
სასტუმრო „სანაპირო“ და „კო

„მამაჩემს არშბასთან პირადი, მეგობრული ურთიერთობა და საერთო პოლიტიკური შეხედულებები აქვს, ამიტომ განზე დგომა არჩია“

მირიან ბოქოლიშვილი

რუსეთის დუმის დეპუტატი ოთარ არშბა წარმოშობით აფხაზეთიდან გახლავთ, თუმცა ის ბათუმში დაიბადა და გაიზარდა. 90-იან წლებში რუსეთში მან საკმაოდ დიდი ქონება დააგროვა და რამდენიმე წლის წინათ ქართველი მილიარდერების ათეულში, 2,5 მილიარდი დოლარით, მე-9 პოზიციაც დაიკავა.

რუსეთის გარდა, მილიარდერი ბიზნესს მშობლიურ აჭარაშიც ფლობს, თუმცა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამჟამად მისი ქონების დიდი ნაწილი დაყადაღებულია. ბათუმის სასამართლომ ოლიგარქის ქალიშვილის, ინგა არშბას სახელზე არსებულ ქონებას ყადაღა მისი ყოფილი მეუღლის, სანდრო ჭაჭიას მოთხოვნის საფუძველზე დაადო. ინგა არშბამ და პუტინის მხარდამჭერი პოლიტოლოგის, ალექსანდრე ჭაჭიას ვაჟმა 2002 წელს იქორწინეს, ამჟამად მათ 10 წლის ქალიშვილი და სადავო ქონება აკავშირებთ. სანდრო ჭაჭია „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ ოჯახური სკანდალები პოლიტიკური აზრთა სხვადასხვაობით დაიწყო. მისთვის მიუღებელი იყო, როგორც მამის, ისე სიმამრის პოლიტიკური შეხედულებები, რაც გახდა იმის მიზეზი, რომ საბოლოოდ მას ბიზნესებიდან კუთვნილი აქციები წაართვეს.

სანდრო ჭაჭია

ალექსანდრე ჭაჭიას ვაჟმა პუტინის ოლიგარქს ბათუმში არსებული მთელი ქონება დაუყადაღა

დუმის მილიარდერი დეპუტატისა და პრორუსი პოლიტოლოგის ოჯახური სკანდალი აჭარაში

ოთარ არშბა

სანდრო ჭაჭია:

– ჯერ კიდევ შეყვარებულები ვიყავით მე და ჩემი მეუღლე, როდესაც ოთარ არშბა გავიცანი. თავიდანვე ვიცოდით ერთმანეთის პოზიცია, ის ამბობდა, რომ აფხაზებს აქვთ უფლება, დამოუკიდებლები იყვნენ, რასაც მე კატეგორიულად არ ვეთანხმებოდი და ხშირად გვიკამათია ამ თემებზე. როდესაც დავქორწინდით, მან იცოდა, რომ არც ერთ წვეულებაზე, სადაც აფხაზეთის ე.წ. პოლიტიკური ელიტა იქნებოდა, მე არ წავიდოდი და ასეც ხდებოდა. ცხადია, ეს არ მოსწონდა, მაგრამ ეს იყო ჩემი პოზიცია. ამის გამო, ძალიან ბევრი აფხაზი, რომელთანაც მას ურთიერთობა ჰქონდა, ვერ მიტანდა. მათი გაგებით რუსეთში ყველაზე მდიდარი და გავლენიანი აფხაზი კაცის სიძე პროქართულად განწყობილი არ უნდა ყოფილიყო.

– მამათქვენის პოზიცია როგორი იყო?

– თავიდანვე მქონდა ძალიან „გრუბი“ ანტირუსული დამოკიდებულება. ნათესაური კავშირები, თუნდაც მამა-შვილის ურთიერთობა არ ავალდებულებს ადამიანებს, რომ ერთნაირი პოლიტიკური შეხედულება ჰქონდეთ. რაც თავი მახსოვს, ამ თემებზე მე და მამაჩემი ძალიან მწვავედ ვკამათობდით.

– და მეუღლის ოჯახთან ურთიერთობა როდის გაწყვიტეთ?

– ჩემსა და ჩემს სიმამრს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დაიძაბა. რუსეთის ამ გაუგონარმა აგრესიამ ძალიან იმოქმედა ჩემზე, ნერვიულობისგან ცუდად გავხდი. ამ დროიდან ჩვენი შეხედულებები კიდევ უფრო დაშორდა ერთმანეთს და ურთიერთობაც დაიძაბა. რუსეთის ტელეარხები გამუდმებით სიცრუის ტირაჟირებას ახდენდნენ, გარდაცვლილ ქართველებს აჩვენებდნენ და ამბობდნენ, რომ თითქოს ოსები იყვნენ. ფაქტობრივად, შტაბი მქონდა მოსკოვის ბინაში მოწყობილი, მოდიოდნენ მეგობრები და ვაჩვენებდი კადრებს, როგორ ბარბაროსულად იქცეოდა რუსეთი. ამის შემდეგ უკვე იშვიათად ვხდებოდით ერთმანეთს, ძირითადად რაიმე სადღესასწაულო დღეებში. უკვე 2010 წლისთვის გადავწყვიტე, საერთოდ წამოვსულიყავი რუსეთიდან, ჩემს მეუღლეს შევთავაზე – ან ევროპაში წავიდეთ საცხოვრებლად, ან თბილისში გადავბარგდეთ-მეთქი. მით უმეტეს, რომ იმ დროისთვის ბათუმში უკვე საკმაოდ სერიოზული ბიზნესი გვქონდა. ამის გამო კიდევ უფრო დაიძაბა სიტუაცია, რადგან სიმამრი წინააღმდეგი იყო, მის ქალიშვილს საქართველოში ეცხოვრა. გარდა იმისა, რომ ის ძალიან მდიდარი ბიზნესმენია, როგორც იცით, ოთარ არშბა გახლავთ სახელმწიფო დუმის სამგზის დეპუტატი, ფრაქცია „ედინაია რასიას“ თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სამი კომიტეტის თავმჯდომარე. ახლო კავშირები აქვს პირადად ვლადიმერ პუტინთან. მოკლედ, საკმაოდ გავლენიანი ფიგურაა და სასტიკი წინააღმდეგი იყო, მისი ქალიშვილი საქართველოში გადასულიყო საცხოვრებლად. მე პოზიცია არ შემიცვლია, ჩამოვედი საქართველოში, თუმცა ჩავდიოდი ხოლმე ქალიშვილის სანახავად. 2012 წლის ბოლოს უკვე საბოლოოდ დავუსვი საკითხი ჩემს მეუღლეს, რაზეც მივიღე კატეგორიული უარი და

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ქსი „მარინა“, ...ლიჭეუმი“?

ამის შემდეგ ჩამოვედი საქართველოში და დავრჩი აქ.

– სამართლებრივი დავა როდის წამოიწყეთ?

– როდესაც საქართველოში ვბრუნდებოდი, არშბას ვუთხარი, რომ ვითხოვდი ჩემს ბიზნესწილებს მოსკოვსა და აჭარაში. ეს წილები მე გამოვიმუშავე ჩემი შრომით მთელი 10 წლის განმავლობაში. მოსკოვის წილებზე საბოლოოდ უარი ვთქვი ჩემი ბავშვის ფაქტორიდან გამომდინარე, ხოლო აჭარაში არსებული ბიზნესებიდან მოვითხოვე ის, რაც მეკუთვნოდა.

– და რა გეკუთვნოდათ?

– ეს არის კომპლექსი „მარინა“, სადაც შედის კორტები, კაფეები, სასტუმრო, ასევე სასტუმრო „სანაპირო“ და სასტუმრო „კოლიზეუმი“. ამ ობიექტების მშენებლობაში მთელი ჩემი ენერგია ჩავდე და თავიდანვე მოლაპარაკება იყო, რომ 30 პროცენტი იქნებოდა ჩემი, დანარჩენი კი ოთარ არშბასი, თუმცა ერთ ეშმაკობას მიმართა: მან მითხრა, შენს გვარზე რომ გავაფორმოთ ეს წილები, შესაძლოა, ადრე თუ გვიან, ნაციონალებმა წაგართვანო, არშბას სახელზე თუ იქნება, პოლიტიკურ სკანდალს მოერიდებიანო. მეც ლოგიკურად მეჩვენა მისი ეს წინადადება და მთელი ქონება ჩემი მეუღლის, ინგა არშბას სახელზე გაფორმდა. როდესაც წილები მოვითხოვე, მითხრეს, რომ თურმე არაფერი მეკუთვნის. ცხოვრებაში ვერ წარმოვიდგენდი, რომ ადამიანი, რომელიც 3 მილიარდამდე ქონებას ფლობს, ბათუმში ჩემი წილების გამო დამიწყებდა დავას. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ყველანაირად ცდილობდნენ, წილების გადმოფორმების პროცესი გაეჭიმათ, საბოლოოდ კი საერთოდ უარი თქვეს. საკმაოდ ცნობილ და პრესტიჟულ ობიექტებზეა საუბარი. იმ პერიოდში ბათუმში მშენებლობები ახალი დაწყებული იყო და, მაგალითად, სააკაშვილი ძალიან ხშირად სტუმრობდა ტურისტულ ცენტრ „მარინას“, იქ ვახშმობდა და ერთობოდა. მე იქ ჩავდე ჩემი ფულიც და, საბოლოო ჯამში, 50 პროცენტი მეკუთვნოდა, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, მთლიანად ჩემი მეუღლის სახელზე იყო გაფორმებული, რადგან მითხრეს, რუსეთის დუმის დეპუტატის ქალიშვილის ქონებას ხელს ვერავინ ახლებსო.

– სასამართლოს როდის მიმართეთ?

– საქართველოში დაბრუნების შემდეგ გადავწყვიტე, შემექმნა პოლიტიკური პარტია, რომელიც დასავლურ ღირებულებებზე იქნებოდა ორიენტირებული და ღიად დაუპირისპირდებოდა რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას.

– ისე, არ დაგიმალავთ და ჩემთვისაც მოულოდნელი იყო, პრორუსული იდეოლოგიის მქონე ალექსანდრე ჭაჭიას ვაჟს ანტირუსული განწყობა რომ ჰქონდა...

– ჩემი პოლიტიკური შეხედულება მამაჩემმა ყოველთვის იცოდა, არ მოსწონდა, მაგრამ ამას შეგუებულია. მას ჩემს ყოფილ სიმამრთან პირადი, მეგობრული ურთიერთობა და საერთო პოლიტიკური შეხედულებები აქვს, ამიტომ ამ საქმეში არ ჩაერია და განზე დგომა არჩია. მოკლედ, როდესაც ჩემმა სიმამრმა პარტიის შესაძლო შექმნის შესახებ გაიგო, საკუთარი თავმოყვარეობის შელახვად აღიქვა და პირდაპირ მითხრა, – თუ შენ ამ იდეას არ შეეშვები, შენი წილიდან ვერც ერთ პროცენტს ვერ მიიღებო. ამაზე ძალიან გავბრაზდი და დრო მივეცი – თუ ორ თვეში იურიდიულ პროცედურებს არ მოაგვარებდა, სასამართლოში შევიტანდი სარჩელს. ასეც მოვიქეცი, მოსამართლემ ყადაღა დაადო მთელ ქონებას. გასაჩივრეს, თუმცა უშედეგოდ. სასამართლოში ნარადგინეს ყალბი ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს ქორწინების დროს ხელი მოვაწერე დოკუმენტს, რომლის თანახმადაც უარს ვამბობ ქონებაზე. ეს ყალბი ცნობა სასამართლომ მტკიცებულებად არ მიიღო.

– შვილთან თუ გაქვთ ურთიერთობა?

– დიახ, ბავშვს სისტემატურად ვეკონტაქტები. რომ არა ის, შესაძლოა, უფრო რადიკალური ზომებისთვის მიემართათ ჩემთან დაკავშირებით, მაგრამ არ გამოვრიცხავ სასამართლოზე ზეწოლას. მაქვს ინფორმაცია, რომ ამ მიმართულებით უკვე აქტიურად მუშაობენ.

– ამჟამად რა ქონებაა დაყადაღებული?

– დაყადაღებულია აგარაკი ბათუმში, ასევე, ტურისტული კომპლექსი „მარინა“, სასტუმრო „სანაპირო“ და სასტუმრო „კოლიზეუმი“. ვნახოთ, რას გადაწყვეტს საბოლოოდ სასამართლო.



ალექსანდრე ჭაჭია

ფსიქიკური აშლილობა – პაციენტი, რომელმაც იმკურნალა და ახლა თავად ეხმარება სხვებს

მირიან ბოქოლიშვილი

საქართველოს პარლამენტმა ჯერ კიდევ 2013 წლის 26 დეკემბერს ერთხმად მოახდინა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ რატიფიკაცია, რომელიც სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათ შორის ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა უფლებების დაცვა, არა მხოლოდ საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვით, არამედ ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებით. კონვენციის თანახმად, სახელმწიფო პოლიტიკის ყველა მიმართულებასა თუ პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს შშმ პირთა უფლებები.

პაატა სხირტლაძე: „ვგრძნობდი, რომ სხვების მსგავსი არ ვიყავი“

არსებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ ეს მართლაც მნიშვნელოვანი დოკუმენტი მხოლოდ ქაღალდზე არსებობს და იშვიათი გამონაკლისის გარდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, განსაკუთრებით კი ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანებისთვის არაფერი შეცვლილა. სახელმწიფო კვლავაც ვერ ახერხებს, ებრძოლოს სტეროტიპებს, არსებულ სტიგმებსა და საზოგადოებაში დამკვიდებულ წარმოდგენებს ფსიქიატრიული დაავადების მქონე ადამიანების შესახებ.

არადა, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებს იგივე უფლებები აქვთ, რაც სხვა მოქალაქეებს, მაგრამ ხშირად ისინი ამ უფლებებს ვერ იყენებენ. დღეს საქართველოში მრავალი ადამიანი, რომელსაც ფსიქიატრიული დიაგნოზი აქვს, განიცდის დისკრიმინაციას განათლების, დასაქმების, პირადი ცხოვრების, საკუთრებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

„პრაიმტაიმი“ შეეცადა, ინფორმაციის მოძიებას ფსიქიატრიული პრობლემების მქონე ადამიანების დასაქმების შესახებ. ერთადერთ ასეთ დასაქმებულს ჩვენ ისევ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მივაგენით. მრავალწლიანი მკურნალობის შემდეგ 48 წლის პაატა სხირტლაძეს „ასათიანის სახელობის ფსიქიატრიული კვლევითი ცენტრის“ ადმინისტრაციამ თანამშრომლობა შესთავაზა. დღეს ის დაავადების დაძლევაში სხვებსაც ეხმარება. ის დღეს ფსიქიატრიულ პრობლემებზე ღიად საუბრობს და არც საკუთარ ვინაობას მალავს.

„მინდა საზოგადოებას ვუთხრა, რომ სტიგმატიზება დაუშვებელია... პირველ რიგში, ოჯახის წევრებმა უნდა იცოდნენ, რომ ეს დაავადება შესაძლებელია რემისიით, წამალთან ერთად დაიძლიოს და ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანმაც ჩვეულებრივ იცხოვროს“, – ამბობს პაატა და იმ პერიოდს იხსენებს, როდესაც პირველად იგრძნო გაუცხოება.

„ეს დაავადება 10-12 წლის წინათ აღმოვაჩინე, ორი წელი მაწვალა, რადგან ვერ ვიგებდი, რა მჭირდა. არ ვემორჩილებოდი მკურნალობას, არ მჯეროდა, რომ პრობლემა მქონდა. ამიტომაც მგონია, რომ მთავარი პრობლემის გათვიცნობიერებაა, ამის შემდეგ კი ყველაფრის გაკეთებას შეძლებ. გარკვეულწილად ეს ამოუცნობი დაავადებაა, ადამიანს მიაჩნია, რომ მომეტებული ემოციების ბრალია და გაივლის. პირველ ეტაპზე მეც ასე ვიყავი, პრობლემას დიდხანს ვერ ვაცნობიერებდი. ექიმთან კი ვიყავი, მაგრამ მის დანიშნულებას ზედაპირულად ვასრულებდი, მაინც მიმაჩნდა, რომ ეს ჩემი შინაგანი ემოციების ბრალი იყო და სერიოზულად ვერ აღვიქვამდი. როდესაც გავაცნობიერე, რომ მართლა რაღაც დარღვევა მქონდა, რეაბილიტაციის ცენტრში სიარული დავიწყე“, – ამბობს პაატა სხირტლაძე.

ის იმ სიმპტომების შესახებ გვიყვება, რომელიც მის დაავადებას ახლდა. ზომიერების დაკარგვა, მომატებული ემოციები, ქრონიკული დაძაბულობა – ეს ყველაფერი მის ყოველდღიურობად იქცა.

„ვერ ვზომავდი, რა როგორ უნდა გამეკეთებინა. მაგალითად, შეიძლება გარეთ გავსულიყავი და სამი საათი ქუჩაში უაზროდ მევლო, მიმაჩნდა, რომ მარტო პური უნდა მეჭამა ბევრი, შემეძლო, უზომოდ მესვა ყავა. მთლიანად დარღვეული მქონდა წონასწორობა. როდესაც რეაბილიტაციის ცენტრში დავიწყე სიარული, ექიმებმა მითხრეს, რომ სერიოზული პრობლემა მაქვს და საჭირო იყო მედიკამენტოზური მკურნალობა. დიდი რაოდენობით უნდა მიმეღო წამლები. ამის შემდეგ დავიწყე მკურნალობა და ნელ-ნელა სოციალური უნარების აღდგენაც შევძელი. ძალიან დამეხმარნენ ოჯახის წევრები, როცა გაუცხოება მქონდა ან უმიზეზოდ ვიცინოდი რაღაცაზე, მითითებდნენ, შემდეგ ამას ვაანალიზებდით და ასე ნელ-ნელა დავძლიე პრობლემა“.

რეაბილიტაციის ცენტრში მედიკოსების დახმარებით პაატამ პირველი ეტაპი წარმატებით დაძლია. მეტიც, დაიწყო ბრძოლა თანაბარი უფლებებისთვის. ფსიქიატრიულ პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციაშიც გაწევრიანდა და იმ დღიდან საკუთარი თავის გარდა, ცდილობს მსგავსი პრობლემის მქონე სხვა ადამიანების დახმარებასაც. დარწმუნებულია, რომ მხოლოდ ფსიქოთერაპია და მედიკამენტოზური მკურნალობა საკმარისი არ არის.

„აუცილებელია სოციალური უნარების განვითარება. არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის წევრიც გახლავართ, პაციენტებს ეხმარება იურიდიული და სოციალური საკითხების მონესრიგებაში, ზოგს სასამართლოში ჰქონდა საქმე, ზოგს პირადობა არ გააჩნდა და ა.შ. „თანამშრომლობა თანაბარი უფლებებისთვის“ – ასე ჰქვია ამ ორგანიზაციას. ჩვენი მიზანია ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანების უფლებების დაცვა. ამ არასამთავრობო ორგანიზაციაში ვიმუშავე 4-5 წელი. შევიძინე უნარები, რომ ჩემი საბუთები და სოციალური მდგომარეობა მთლიანად მომეგვარებინა. უკვე ვიცოდი, რომ მხოლოდ ნამალი და ექიმი ვერ მიშველიდა, გავაცნობიერე, რომ საჭირო იყო ჩემს თავზე მუშაობა. მაგალითად, ფეხსაცმელი თუ არ მქონდა, ვფიქრობდი იმაზე, რომ ეს შემეძინა. ასეთი წვრილმანებით დავძლიე პრობლემა. წამალი აქვეითებს და ამცირებს დაავადების სიმპტომებს, მაგრამ მედიკამენტური მკურნალობა უნარ-ჩვევებს არ სძენს ადამიანს, თუნდაც საკუთარ თავზე ზრუნვას მედიკამენტი ვერ მიგაჩვევს“, – გვიყვება პაატა სხირტლაძე.

ის განსაკუთრებით ემადლიერება „ასათიანის სახელობის სამედიცინო კვლევითი ცენტრის“ თანამშრომლებს, რომლებმაც არა მხოლოდ მის პრობლემასთან გამკლავება, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობა უზრუნველყვეს. იქვე სინანულით ამბობს, რომ მისი შემთხვევა გამონაკლისია, რადგან, როგორც წესი, ამ პრობლემის მქონე ადამიანებს ყველა გაურბის.

„ვგრძნობდი, რომ სხვების მსგავსი არ ვიყავი. ისინი ჩვეულებრივ მუშაობდნენ, სოციალური პრობლემები მეტ-ნაკლებად მოგვარებული ჰქონდათ... რეაბილიტაციის ცენტრში სპეციალისტებმა დამანახეს რეალური ცხოვრება. ეს მხარდამჭერი ორგანიზაციაა, სადაც მცირე შეცდომებზე არ გკიცხავენ და არ მიგითითებენ. რეაბილიტაციის შემდეგ, ადმინისტრაციამ მთხოვა დავრჩენილიყავი სამუშაოდ, რადგან მანამდეც ვეხმარებოდი მათ საქმეებში, საბუთების წაღება-წამოღება იქნებოდა თუ სხვ. პრაქტიკულად სოცმუშაკის თანაშემწის ფუნქციებს ვასრულებ ახლა. შტატში ჩამსვეს, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. არასოდეს მიმუშავია ორგანიზაციაში, სადაც სტაბილურად მექნებოდა ხელფასი, ეს ჩემი შინაგანი ტკივილი იყო. ახლა პაციენტებს ვესაუბრები, ვუზიარებ ჩემს გამოცდილებას, ვესაუბრები მათ პრობლემების დაძლევაზე და საკუთარ უფლებებზე. ჩვენში ძალიან აქტუალურია კომუნიკაციის ნაკლებობის პრობლემა. იქ, სადაც არ არის კომუნიკაცია, ადამიანი უფრო და უფრო დეგრადაციისკენ მიდის“, – ამბობს პაატა.

პრობლემების დაძლევის შემდეგ პაატას უცხოეთში მყოფმა მეგობრებმა სიურპრიზი გაუკეთეს და თბილისში ბინა უყიდეს, თუმცა ამჟამად ნასთესავთან ერთად ცხოვრობს, დადის სამსახურში და საკმაოდ წარმატებით ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

„ჯერჯერობით ბიძაშვილთან ვცხოვრობ, მეც ასე მირჩევნია და მისი სურვილიც იყო. თუმცა ბინა მაქვს, მეგობრებმა მიყიდეს მას შემდეგ, რაც ნახეს, რომ ჩემი თავის კონტროლი შემიძლია. ვაპირებ, ცოდნა უფრო გავიღრმავო. გავლილი მაქვს ტრენინგები, რაც მაძლევს ძალას, რომ უფრო მყარად ვიყო და აქტიურად ვიმუშაო. სანამ ეს დაავადება აღმომაჩნდებოდა, ძირითადად საზღვარგარეთ ვცხოვრობდი, გარკვეული პერიოდი გერმანიაში ვმუშაობდი. როცა ჩამოვედი, მალევე დამემართა ეს დაავადება, მაგრამ მეგონა, ჩემით დავძლევდი, თუმცა ვცდებოდი. სპორტით ვიყავი დაკავებული, ახლაც ხშირად ვვარჯიშობ, რადგან ფიზიკური დატვირთვა ძალიან ეხმარება ფსიქიკურ პრობლემებს. მივაღწიე იმას, რომ ჩემი ცხოვრების სადავეები თავადვე ვმართო. ახლა ვცდილობ, სხვებსაც იგივე ვასწავლო და დავეხმარო. მე მათ გასაგებ ენაზე ველაპარაკები, რადგან ეს ყველაფერი ჩემთვისაც არაა უცხო და გამოვლილი მაქვს. სამსახურში მეუბნებიან, ცოლიც მოიყვანე და დაოჯახდიო, მაგრამ ვფიქრობ, ჯერ სოციალურად საკმარისად უზრუნველყოფილი არ ვარ. ეს კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობაა. ვნახოთ, მომავალში რა იქნება“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ელენე ლოლაძე: „ბევრისთვის მიუღებელია, დედა დაგელუპოს და სიმღერის კონკურსში მონაწილეობდე. რაც დედას გაუხარდებოდა მე ყოველთვის იმას გავაკეთებ“

my View
თამარ გონგაძე

17 წლის ელენე ლოლაძის გამოსვლა „X ფაქტორის“ სცენაზე ყველას დაამახსოვრდა. მოზომილი ემოციით გულით ნამღერს წინ კონკურსანტის მიძღვნა ახლდა. ელენემ „X ფაქტორში“ გამოსვლა გარდაცვლილ დედას მიუძღვნა. ცრემლები ვერ შეიკავა, სიმღერის სახელწოდება დაავიწყდა, ემოციებმა დაჯაბნა. „არ ვიცი, დედა მხედავს თუ არა, მაგრამ მინდა წარმატებას მივაღწიო“, - თქვა გოგონამ. ტკივილით სავსე იყო ნამღერიც და ეს გამოსვლაზეც აისახა. ობოლი გოგონას სიმღერა ჟიურისა და მაყურებლის გულამდე ადვილად მივიდა. „დედა არ ცდებოდა, რომ უნდოდა სცენაზე გამოსულიყავი, კარგი ქენი რომ მოხვედი. შეუძლებელია მას ასეთი ნამღერი არ გაეგო“, - ეს იყო გიორგი გაბუნიას რეპლიკა.

გოგონას გამოსვლას არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. ბევრმა მისი ნამღერი დაიწუნა, არ იყო მზად კონკურსზე გამოსასვლელადო. დედის გარდაცვალების თემით სპეკულირებსო. ეს სილამაზის კონკურსი არ არის, თუ სიმღერისთვის მზად არ იყო, სად გამოდიოდაო. ამას ელენეზე არ უმოქმედია, მან დედის სურვილი შეასრულა. ეს კი მისთვის უძვირფასესია. არც იმას აქცევს ყურადღებას, რომ წერენ, მე ბაბუა მომიკვდა და მეც გავალ სადმე კონკურსზეო.

ელენე ახლა ბებიასთან ერთად ცხოვრობს, რომელიც მალე სოხუმში გაემგზავრება. დროებით დეიდასთან ერთად იცხოვრებს. მამა ცალკე ცხოვრობს და ქალიშვილს ფინანსურად უზრუნველყოფს.

„ხალხის კრიტიკაც იყო და მეც ვიცი, რომ კარგად არ მიმღერია. მაგრამ მართლა მთელი გულით და დიდი გრძნობით ვიმღერე“

„მეგობრები მოდიან და მეღადავებიან, ამ ქურთუკით ისეთი პოპულარული გახდი მასში ფოტო გადაგვაღებინეო“

ყველაზე საყვარელი ადამიანი ელენემ თებერვალში ფილტვების მწვავე პნევმონიით დაკარგა.

ელენე ლოლაძე:

- ბევრისთვის მიუღებელია, დედა დაგელუპოს და სიმღერის კონკურსში მონაწილეობდე. ყველაზე კარგი რაც შემეძლო გამეკეთებინა იყო ის, რომ გავსულიყავი და თავი მეცადა მუსიკალურ კონკურსში. დედა ყველაფერში მეხმარებოდა და უნდოდა, რომ რაიმესთვის მიმეღწია. რაც დედას გაუხარდებოდა მე ყოველთვის იმას გავაკეთებ. დედა მეუბნებოდა, რომ მეტი უნდა მეშრომა, მე მეტი შემიძლია.

დედას რომ ვახსენებ ყოველთვის გული მიჩუყდებაო, ამბობს. ასე მოხდა საჯაროდაც, ფილარმონიის სცენაზე. ელენე დედისერთაა და დღესაც უჭირს იმის გაცნობიერება, რომ დედა გარდაცვლილია. ვოკალში სხვადასხვა პერიოდში ემზადებოდა, ბოლო დროს სოფო ტოროშელიძესთან დადიოდა.

„მოუმზადებლად “იქს ფაქტორში“ გასვლა საპასუხისმგებლო იყო. მე გავედი და დედის დახმარებით ვიმღერე. ხალხის კრიტიკაც იყო და მეც ვიცი, რომ კარგად არ მიმღერია. მაგრამ მართლა მთელი გულით და დიდი გრძნობით ვიმღერე. წერდნენ შაყირით - ბაბუა გარდამეცვალა და მეც გავალ “იქს ფაქტორში“ სამღერლადო. ბოროტებაა იმის თქმა, რომ მე ვსპეკულირებდი დედის გარდაცვალების თემით. ეს როგორ უნდა გამოიყენო? მე მინდოდა, რომ წინ გადადგმული ნაბიჯი მქონოდა, მეტი არაფერი. სიმღერა ყველაფერზე მეტად მეხმარება. ასეთ რთულ სიტუაციაში მით უმეტეს. მე გამოსვლა მიღირდა დიდი სითბო და სიყვარული მივიღე. ძალიან მიხაროდა, რომ ხალხი მწერდა და თბილი სიტყვებით მეხმიანებოდა. მამშვიდებდნენ, თანამიგრძნობდნენ. ეს დიდი სტიმულია ჩემთვის. ამაზე მაგარი დღეს ჩემთვის არაფერია. ყველამ იგრძნო ჩემი ნამღერი, ემოცია მაყურებლამდე მივიტანე. ეს ჟიურის წევრებმაც ზუსტად აღიქვეს. განსაკუთრებით ანრის სიტყვები გამიხარდა. ოთხივემ კარგად შემაფასა. მინდოდა ყველაფერი სამართლიანად მომხდარიყო და ასეც მოხდა. ჩემი გამოსვლა სწორად მიიღეს. მეგობრები მოდიან და მეღადავებიან, ამ ქურთუკით ისეთი პოპულარული გახდი მასში ფოტო გადაგვაღებინეო“.

- სიმღერა შენი ჰობია?

- არა, მთელი ცხოვრება ვმღერი. სიმღერა ბავშვობიდან ჩემი ცხოვრების თანამგზავრია. როცა არ ვმღე-

„სულ რომ მითხრან ვერ მღერიო, მაინც ავდგები და ვიმუშავებ თავზე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

... დაცვლილი დედის სპეკულირება დასნამეს

„დედა დამოუკიდებლად მზრდიდა. დღეს მე დამოუკიდებელი ადამიანი ვარ, მაგრამ არც ასეთი დამოუკიდებლობა მინდოდა“

EXCLUSIVE

„ბოროტებაა იმის თქმა, რომ მე ვსპეკულირებდი დედის გარდაცვალების თემით. ეს როგორ უნდა გამოიყენო? სიმღერა ყველაფერზე მეტად მეხმარება“

„საავადმყოფოში დღეში 1000 ლარი გვქონდა გადასახდელი. ფინანსურად წელში გამართული ოჯახიდან არ ვარ. ამიტომ იმ მომენტში რაც შემეძლო, ვაკეთებდი. მომღერლებს ვაწუხებდი და საქველმოქმედო კონცერტებს ვაკეთებდით. ჭამა არ მახსოვდა. მთელი დღე გათიშული დავდიოდი“

„ფსიქოლოგი ჯერ არ დამჭირვებია, მაგრამ, ალბათ, დამჭირდება. საშინლად ვარ. ნევროზი ავიკიდე. ღამით მაწვება ფიქრები. ყველაფერზე ვფიქრობ. არ მეძინება“

როდი ვღიღინებდი მაინც. სიმღერა ყველაფერია. მინდა მეტი გავაკეთო. სულ რომ მითხრან ვერ მღერიო, მაინც ავდგები და ვიმუშავებ თავზე. სიმღერის გარდა დავეუფლები პროფესიას და ეს არის მენეჯმენტი.

დედა

„დედას არ უავადმყოფია, გარეგნულად არაფერი ეტყობოდა. მუშაობდა, სიცოცხლისუნარიანი იყო. ვერაფერს შეატყობდით, რომ რაიმე აწუხებდა. გაცივდა, რასაც ფილტვების ანთება დაერთო. მერე პნევმონია გართულდა. იშვიათი სირთულის ვირუსი შეეყარა. 44 წლის 14 იანვარს გახდა, საავადმყოფოში რომ დავაწვინეთ მაშინ. ბოლო თვე-ნახევარი აპარატზე იყო შეერთებული. აძინებდნენ რომ იოლად გამოსულიყო. რას არ ვაკეთებდი იმ დროს, რომ ოჯახს ფინანსურად გვერდში დავდგომოდი. საავადმყოფოში დღეში 1000 ლარი გვქონდა გადასახდელი. ძლიერ წამლებს უკეთებდნენ. ფინანსურად წელში გამართული ოჯახიდან არ ვარ. ამიტომ იმ მომენტში რაც შემეძლო, ვაკეთებდი. მომღერლებს ვაწუხებდი და საქველმოქმედო კონცერტებს ვაკეთებდით. მეხმარებოდნენ სოფო ტოროშელიძე, ნინა სუბლატი, თორნიკე ყიფიანი. სულ ორის ორგანიზება მოვასწარით. მესამე კონცერტის წინა დღეს დედა დაიღუპა. დედას სახელზე ჩატარდა ტურები, ერთი ყაზბეგში. შეიძლება მაქსიმუმი ვერ გავაკეთე, მაგრამ რაც შემეძლო ვცდილობდი. ზოგს უკვირდა ჩემი ასეთი საქციელი. ჭამა არ მახსოვდა. მთელი დღე გათიშული დავდიოდი... ძალიან რთული დასაჯერებელი გახდა ჩემთვის დედის გარდაცვალების ფაქტი. საშინელება იყო, არც მახსოვს. სკოლიდან მეგობარმა წამომიყვანა, დედაშენი ცუდად არისო. სახლის სადარბაზოში რომ შევედი, პირველ სართულზე ჩემი ბინის კარი ღია დამხდა და კივილის ხმა გამოდიოდა. მას შემდეგ არაფერი მახსოვს. არ მახსოვს ვინ მოდიოდა, ვინ მისამძიმრებდა. ახლა უფრო და უფრო მიჭირს, მაგრამ თან ვძლიერდები. ვერ ვეჩვევი უდედობას, მაგრამ იმას ვიაზრებ, რომ უფრო უნდა გავძლიერდე და მაგრად დავდგე. ფსიქოლოგი ჯერ არ დამჭირვებია, მაგრამ, ალბათ, დამჭირდება. საშინლად ვარ. ნევროზი ავიკიდე. ღამით მაწვება ფიქრები. ყველაფერზე ვფიქრობ. არ მეძინება. მეგორები და დედის დარიგებები მეხმარება. დედა დამოუკიდებლად მზრდიდა. ჩვენ მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. ბევრი რჩევა მახსოვს მისგან, სამომავლოდ რომ გამომადგება. ეს ძალიან მეხმარება. უნდა იყო ძლიერი და არჩევანი თვითონ უნდა გააკეთოო. უნდა გყავდეს ბევრი მეგობარი და იქიდან რამდენიმე აარჩიოო. დედის გარეშე მოქმედება რთულია. ყოველ საქციელზე ვფიქრობ, დედა ამაზე რას იტყოდა-მეთქი. ყველა დეტალს ვუღრმავდები. არჩევანის გაკეთებას მე მანდობდა, ცუდს და კარგს ერთმანეთისგან მე მარჩევინებდა. დღეს მე დამოუკიდებელი ადამიანი ვარ, მაგრამ ასეთი დამოუკიდებლობა ნამდვილად არ მინდოდა“.

ელენე 183-ე სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეა. ჩინეთში იყო სამი თვე, რამდენიმე ქალაქში სხვადასხვა კონცერტებზე მღეროდა. სცენაზე დგომის პრაქტიკა შევიძინეო, ამბობს.

- და „იქს ფაქტორის“ მერე თაყვანისმცემლები მოგემატნენ?

- ამბობენ, გარეგნულად კარგი გოგო ვარ :) გოგონებიც და ბიჭებიც თანაბრად არიან, ბიჭებს ვერ გამოვყოფ. მე უფრო ბავშვური ვარ დ ყურადღებას არ ვაქცევ ბიჭებს მოვწონვარ თუ არა, ყურადღებას არ ვამახვილებ.

- შეყვარებული ხარ?

- დიახ. ის ჩემზე ერთი წლით უფროსია. მას დედაც იცნობდა. ის დამეხმარა ამ მდგომარეობიდან გამოსვლაში...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სურამის ტრაგედია

სახიფათო გზის პრობლემა, რომელმაც სურამში 12 წლის ბავშვის სიცოცხლე იმსხვერპლა, ჯერ არ გადაჭრილა

თაკო ივანიაძე

თბილისი-ლესელიძე-სენაკის მაგისტრალის სურამის მონაკვეთზე ბოლოს მომხდარი ავტოავარიის შემდეგ, რომელსაც 12 წლის ბავშვის სიცოცხლე შეეწირა, ხელისუფლებამ საგზაო პრობლემის მოგვარების შესახებ დაპირებები გასცა, თუმცა შემთხვევიდან ერთი კვირის თავზე ადგილზე სამუშაოები დაწყებული არ არის.

როგორც სურამის რწმუნებულმა ვანო გელაშვილმა „პრაიმტაიმს“ განუცხადა, ამ დრომდე მხოლოდ ხარჯთაღრიცხვაა გაკეთებული, ვიდეოთვალი კი ამ დრომდე არ დამონტაჟებულა და არც რაიმე სახის სამუშაოებია დაწყებული.

ვანო გელაშვილი: „ამ დროისთვის პატრულის თანამშრომლები დგანან ამ სახიფათო ადგილზე და სწავლის დაწყებისა და დასრულების დროს სიტუაციას აკონტროლებენ, მოძრაობას ანელებენ“, – ამბობს ვანო გელაშვილი.

თუმცა ტრაგედიის დღეს იგივე გელაშვილი აცხადებდა, რომ პროცესში აქტიურად ჩაერთო სამხარეო პოლიცია და საგზაო პრობლემის ათი დღის ვადაში მოგვარებას დაჰპირდათ. გელაშვილის თქმით, ადგილზე სიჩქარის შემზღუდველები – რადარები და ციმციმა უნდა დამონტაჟებულიყო, რომელიც მძღოლს სვლის შენელებისკენ მიანიშნებდა. სიჩქარის გადაჭარბების შემთხვევების დასაფიქსირებლად ვიდეოკამერაც უნდა დამონტაჟებულიყო.

სურამის რწმუნებულმა „პრაიმტაიმთან“ პრობლემის მოუგვარებლობის მიზეზებზეც ისაუბრა. მისი განცხადებით, პრობლემას წინა ხელისუფლებამ არ მიხედა. ახალი ხელისუფლების უმოქმედობის მიზეზად კი მოსახლეობის ნაკლები აქტიურობა დაასახელა.

სურამის მეოთხე საჯარო სკოლის დირექტორი, ალიკა ლომიძე კი ამბობს, რომ როგორც ძველ, ასევე ახალ ხელისუფლებას არაერთხელ მიმართეს პრობლემის გადაჭრის თხოვნით. შედეგად 2006 წელს სკოლას ავტობუსი დაუნიშნეს, კიდევ ერთი ავტობუსი კი ახალი ხელისუფლების პირობებში მიიღეს. თუმცა უბედური შემთხვევების რაოდენობა მიანიშნებს, რომ ავტობუსების გამოყოფა საკმარისი არ აღმოჩნდა.

ალიკა ლომიძე: „ეს პირველი შემთხვევა არ არის. ავტომობილი ამავე გზის მონაკვეთზე ადრეც დაეჯახა ბავშვს და ისიც ჩვენი სკოლის მოსწავლე იყო. ბოლო შვიდი წლის მანძილზე სამი მოსწავლეა დაღუპული და სამი ზრდასრული ადამიანი, მათ შორის ორი საკუთარ ეზოში გარდაიცვალა. ავტომობილი მაგისტრალიდან შევარდა მათ ეზოებში.

გზაზე არ არსებობს არანაირი მიწისზედა გადასასვლელი, ამიტომ ბავშვებს ამ გზის გადაკვეთა უწევთ. სამწუხაროდ, არც ალტერნატიული გზაა, რომლითაც ბავშვები სკოლაში მოსვლასა და შემდეგ სახლში დაბრუნებას შეძლებენ.

სურამის მეოთხე საჯარო სკოლაში, სულ, 450 მოსწავლე სწავლობს, ბავშვები ექვსი სოფლიდან დადიან. აქედან ოთხ სოფელს, საიდანაც დაახლოებით 200 ბავშვი დადის, სკოლის ავტობუსები ემსახურებიან. ორი სოფელი – ურთხვა და ბუღაურა სკოლასთან ახლოს მდებარეობს, ამიტომ ამ ორი სოფლიდან მოსწავლეები თავად დადიან, სწორედ მათ უწევთ აღნიშნული გზის გადაკვეთა“, – ამბობს სკოლის დირექტორი ალიკა ლომიძე.

ამასთანავე, ალიკა ლომიძე არ ადასტურებს გამგებლის მიერ „პრაიმტაიმისთვის“ მოწოდებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ გზაზე სიჩქარის შემზღუდველები უნდა დამონტაჟდეს. როგორც რესპონდენტი ამბობს, სიჩქარის შემზღუდველები უკვე არსებობს, თუმცა ეს არაფერს ცვლის.

ალიკა ლომიძე: „სიჩქარის შემზღუდველები, რომელიც აქ არის დამოტაჟებული, არაფერს ცვლის, ავტომობილების სიჩქარის კონტროლი არ ხდება და ამიტომ ყველა სწრაფად დადის. ახლა საუბარია ვიდეოთვალის დაყენებაზე. ამ შემთხვევაში გამოსავალი რაც იქნება, სწორედ ვიდეოთვალის დაყენებაა, რომლითაც მოძრავი ავტომანქანების სიჩქარის გაკონტროლებას შეძლებენ. შესაძლებელია მიწისზედა გადასასვლელის გაკეთებაც, თუმცა ზამთარში მსგავსი გადასასვლელიც შეუქმნის საფრთხეს ბავშვებს, რადგან მოიყინება, თუმცა ადეკვატური მოვლის შემთხვევაში, არც ეს იქნება პრობლემა“.

ერთ წელში ციხეე

მირიან ბოქოლიშვილი

ციხეებში პატიმართა ბუნდოვანი გარდაცვალება კვლავაც აქტუალური თემაა. პროკურატურის ინფორმაციით, **2014** წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა გარდაცვალების **19** შემთხვევა დაფიქსირდა, აქედან მხოლოდ ერთ საქმეზე ცნეს ბრალდებულად რამდენიმე პირი. ერთ საქმეზე დანაშაულის არარსებობის გამო გამოძიება შეწყდა, დანარჩენ **17** საქმეზე კი სისხლის სამართლებრივი დევნა არ არის დაწყებული და ამ დრომდე გამოძიება მიმდინარეობს. ამასთანავე, ცხრამეტი შემთხვევიდან მხოლოდ ერთი საქმის კვალიფიკაცია მოხდა – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **108**-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა), თერთმეტ შემთხვევაში საქმე დაკვალიფიცირდა **116**-ე მუხლით (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით), ხოლო შვიდი საქმის კვალიფიკაცია მოხდა **115**-ე მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა).

თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ რამდენიმე საქმეს, რომელშიც სავარაუდო დანაშაულის ნიშნები იკვეთება, თუმცა ჯერაც არავინ დასჯილა.

2014 წლის 25 ნოემბერს სასჯელაღსრულების #15 დაწესებულებაში პატიმარი ა.ჭ. გარდაიცვალა. ადმინისტრაციის ინფორმაციით, პატიმარმა ზეწრით ჩამოიხრჩო თავი, თუმცა საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე ა.ჭ-მ წერილი მისწერა ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელსაც მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფას სთხოვდა. #15 დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების მიერ შედგენილი არაერთი ოქმი ადასტურებს, რომ მსჯავრდადებული ა.ჭ. უარს აცხადებდა სეირნობის უფლებით სარგებლობაზე. სახალხო დამცველის რწმუნებულებთან გასაუბრებისას უსაფრთხოების განყოფილების უფროსმა და ამავე განყოფილების ინსპექტორმა დაადასტურეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მსჯავრდადებულ ა.ჭ.-ს დაპირისპირება ჰქონდა მასასთან და საფრთხე ემუქრებოდა. თუმცა, ამ ინფორმაციას ისინი უშუალოდ აწ გარდაცვლილისგან ფლობდნენ. გახდა თუ არა პატიმრის გარდაცვალების მიზეზი მის მიმართ განხორციელებული მუქარა? ეს კითხვა კვლავაც უპასუხოდ რჩება, ასევე, გაურკვეველია, რატომ არ მიიღო ადმინისტრაციამ სათანადო ზომები სუიციდის თავიდან ასაცილებლად. მსჯავრდადებულის სამედიცინო ბარათის ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ა.ჭ.-ს 2014 წლის 27 ივნისს გაეწია ექიმ-ფსიქიატრის კონსულტაცია, სადაც დაფიქსირდა, რომ მას ჰქონდა ჰალუცინაციური დეპრესიული სინდრომი, სუიციდური აზრებით და გაიცა რეკომენდაცია მისი სუიციდის პროგრამაში ჩართვის შესახებ, თუმცა ამის მიუხედავად, #15 დაწესებულებაში ის არც სუიციდის პროგრამაში ჩართეს და არც რაიმე სახის მედიკამენტოზური მკურნალობა გაეწია. მეტიც, აღნიშნულ დაწესებულებაში არსებობს ერთადგილიანი სამი საკანი, რომელიც ვიზუალური და ელექტრონული კონტროლით არის აღჭურვილი. იმ დროისთვის სამივე ეს საკანი თავისუფალი იყო და, არსებული რისკების მიუხედავად, ა.ჭ-ს ელექტრონული კონტროლით აღჭურვილ საკანში მოთავსება არ მომხდარა.

„ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საქმის მასალების სრულყოფილად შესწავლით დადგინდა, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #15 დაწესებულებაში არ განხორციელდა მსჯავრდადებულ ა.ჭ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და ადეკვატური, ეფექტიანი დაცვა, ამასთანავე, სრულყოფილად არ გატარდა შესაბამისი ღონისძიებები

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბიდან 19 ცხედარი გამოასვენეს

სახალხო დამცველი: „აუცილებელია გადაიხედოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა მუშაობის პრაქტიკა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები და სამედიცინო პერსონალი გულისყურით უნდა მოეკიდონ პატიმართა მოთხოვნებსა და საჩივრებს“

„მსჯავრდადებულს დაპირისპირება ჰქონდა მასასთან და საფრთხე ემუქრებოდა“

EXCLUSIVE

სისხლის სამართლის პასუხისგებაში კი რამდენიმე პირი მხოლოდ ერთ საქმეზე მისცეს

უჩა ნანუაშვილი

მსჯავრდადებულ ა.ჭ-ს უსაფრთხოების დაცვის მიზნით, 2014 წლის 12 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა, საქართველოს მთავარ პროკურორს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #15 დაწესებულების თანამშრომლების მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის შესახებ გამოძიების დაწყების შესახებ წინადადებით მიმართა“, – განმარტავენ სახალხო დამცველის ოფისში.

სუიციდისკენ მიდრეკილი მსჯავრდადებულის სათანადო დაცვა ვერ განხორციელდა ჯ.ი-ს შემთხვევაშიც, რომელმაც სიცოცხლე, ასევე, თვითმკვლელობით დაასრულა. სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული მასალების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მსჯავრდადებული ჯ.ი. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #18 დაწესებულებაში შეიყვანეს 2014 წლის 1-ელ დეკემბერს, დაახლოებით 20:00 საათზე, დიაგნოზით: დეპრესიული მდგომარეობა, სუიციდური აზრებით, და მოათავსეს ფსიქიატრიულ განყოფილებაში. მას გადაყლაპული ჰქონდა ფრჩხილების საკვნეტელა და კბილის ჯაგრისი. მსჯავრდადებული ხონის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაყვანას ითხოვდა. სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ ჯ.ი. მიდრეკილი იყო თვითდაზიანებებისა და სუიციდისკენ. ასევე, დადგინდა, რომ მსჯავრდადებულ ჯ.ი-ს რამდენჯერმე ჰქონდა ჩატარებული მკურნალობა ფსიქიატრიული პროფილის საავადმყოფოში.

2014 წლის 3 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები გაესაუბრნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #18 დაწესებულების ფსიქიატრიული განყოფილების უფროსს, რომელმაც განაცხადა, რომ ჯ.ი. 2014 წლის 1-ელ დეკემბერს დაწესებულებაში შეყვანისთანავე მოთავსდა ფსიქიატრიულ განყოფილებაში. მისივე თქმით, პაციენტი ჩართული იყო ანტისუიციდურ პროგრამაში (2014 წლის იანვრიდან), თუმცა, რადგან მოცემული დროისთვის ვიდეოთვალით აღჭურვილ პალატებში არ იყო თავისუფალი ადგილი, მისი მოთავსება იქ ვერ მოხერხდა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #18 დაწესებულების დირექტორის მიერ მოწოდებული ინფორმაციით კი ირკვევა, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #18 დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში ხუთი პალატაა აღჭურვილი სათვალთვალო ვიდეოკამერებით, რომელთაგან ორი 2014 წლის 2 დეკემბერს თავისუფალი იყო (ამათგან ერთ-ერთი პალატა განთავისუფლდა 2014 წლის 2 დეკემბრის 12:40 საათზე). 2014 წლის 2 დეკემბერს 14:35 საათზე პაციენტმა განახორციელა სუიციდი – ჩამოხრჩობის სახით.

2014 წლის სექტემბერში, ერთ კვირაში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ერთდროულად სამი პატიმარი გარდაიცვალა, აქედან ორი შემთხვევა სასჯელაღსრულების #17 დაწესებულებაში მოხდა. ომბუდსმენის ცნობით, 2014 წლის 15 სექტემბერს 1964 წელს დაბადებული დ.ა., სავარაუდოდ, მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით დაიღუპა. 17 სექტემბერს საკანში მარტო მყოფი მოშიმშილე მსჯავრდადებული – 1983 წელს დაბადებული ნ.შ., ექიმმა კისრის მიდამოში მიყენებული ჭრილობით გარდაცვლილი იპოვა.

„სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სამი დღის განმავლობაში სამი პატიმრის გარდაცვალება აშკარად მიუთითებს სასჯელაღსრულების სისტემაში პატიმართა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის პრობლემაზე. აუცილებელია, გადაიხედოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა მუშაობის პრაქტიკა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები და სამედიცინო პერსონალი გულისყურით უნდა მოეკიდონ პატიმართა მოთხოვნებსა და საჩივრებს, მოახდინონ რისკ-ფაქტორების დროული იდენტიფიცირება და შესაბამისი ზომების მიღება. სუიციდის პრევენციის მიზნით კი აუცილებლად უნდა გაძლიერდეს სასჯელაღსრულების დაწესებულების უსაფრთხოებისა და რეჟიმის თანამშრომლების, სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, ფსიქიატრისა და სხვა სამედიცინო პერსონალის კოორდინებული მუშაობა“, – აცხადებს ომბუდსმენი.

გასულ წელს მომხდარი ერთადერთი ფაქტი, რომელსაც კონკრეტული პირების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მოჰყვა, პატიმარ ლევან კორტავას გარდაცვალებას უკავშირდება. მას მძიმე სასიკვდილო დაზიანებები თავად პატიმრებმა მიაყენეს, თუმცა ოჯახი, პატიმრების გარდა, ციხის ადმინისტრაციის დასჯასაც ითხოვს. ადვოკატი და გარდაცვლილის ოჯახის წევრები კატეგორიულად მოითხოვენ, რომ სისხლის სამართლის დევნა ადმინისტრაციის თანამშრომლების მიმართაც დაიწყოს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიორგი მერებაშვილი: „თქვენს აქციას ს

„ჩემი ფავორიტი „ბარსელონაა“. ამ გუნდის გულშემატკივარი ვარ და იმედი მაქვს, რომ მოახერხებს ჩემპიონთა ლიგის თასის აღებას“



„ევროპა-ბეთი“ ერთობლივ აქციაში ქართველ ფეხბურთელებს ეპატიჟებოდა

„ითამაშე ვარსკვლავთან“ - ასეთ ლოზუნგს ატარებდა ერთობლივ აქცია, „ევროპა-ბეთის“ ინიციატივით, ქართველ ფეხბურთელებს, ევროპის ჩემპიონატებზე, ევროპელ ფეხბურთელებთან ერთად, ერთ ნაკრებში, ერთ ბაქანზე, ერთ ბურთზე, ერთ ოცნებაზე, ერთ ფანატიკურ ბრბოზე, ერთ ბედნიერ ბავშვებზე, ერთ ბედნიერ ოჯახებზე, ერთ ბედნიერ ადამიანებზე, ერთ ბედნიერ ქვეყანაზე ეპატიჟებოდა.

„ევროპა-ბეთი“ ერთობლივ აქციაში ქართველ ფეხბურთელებს ეპატიჟებოდა

„ითამაშე ვარსკვლავთან“ - ასეთ ლოზუნგს ატარებდა ერთობლივ აქცია, „ევროპა-ბეთის“ ინიციატივით, ქართველ ფეხბურთელებს, ევროპის ჩემპიონატებზე, ევროპელ ფეხბურთელებთან ერთად, ერთ ნაკრებში, ერთ ბაქანზე, ერთ ბურთზე, ერთ ოცნებაზე, ერთ ფანატიკურ ბრბოზე, ერთ ბედნიერ ბავშვებზე, ერთ ბედნიერ ოჯახებზე, ერთ ბედნიერ ადამიანებზე, ერთ ბედნიერ ქვეყანაზე ეპატიჟებოდა.

მაგდა კლდიაშვილი

მცირე შესვენების შემდეგ, გაზეთ „პრაიმტაიმისა“ და ტოტალიზატორ „ევროპაბეთის“ ერთობლივი აქცია - „ითამაშე ვარსკვლავთან“ ერთად კვლავ დაუბრუნდა ქართველ გულშემატკივარს. სამშაბათს, „ევროპაბეთის“ კოსტავას ფილიალმა ბერძნული „ოფის“ ყოფილ ფეხბურთელს, გიორგი მერებაშვილს უმასპინძლა.

შეხვედრაზე, ტრადიციულად, ხალხმრავლობა იყო და ყველას სურდა ფეხბურთელისგან ავტოგრაფით დამშვენებული ბურთი მიეღო საჩუქრად.

„პრაიმტაიმისა“ და „ევროპაბეთის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში ეს უკვე რიგით 18-ე შეხვედრაა, რომელიც ტოტალიზატორის ფილიალში შედგა. ერთობლივი აქციის მიზანი ცნობილი ქართველი ფეხბურთელების შეხვედრაა ქართველ გულშემატკივართან, მათთან საუბარი და გაცნობა. სხვა შეხვედრების მსგავსად, გიორგი მერებაშვილსაც დახვდნენ ადგილზე პირადი გულშემატკივრებიც და ქართული ფეხბურთის ქომაგებიც. ქართველი შემტევი საქართველოში იმის გამო იმყოფება, რომ ფინანსური კრიზისია კრეტაზე, მისი გუნდი, „ოფი“ დაიშალა და ბერძნულ სუპერლიგაში ასპარეზობის გაგრძელება ვეღარ შეძლო.

გიორგი მერებაშვილმა ჯენარო გატუზოსთვის, რომელიც მისი ჩასვლის მომენტში კრეტული კლუბის თავკაცი იყო, თავის მოწონება მალევე შეძლო. ახალგაზრდა შემტევმა თავი პირველივე შეხვედრაში გამოიჩინა და ეფექტური გოლი გაიტანა. შთამბეჭდავი იყო „ოფის“ გასვლითი შეხვედრა ათენში, სადაც იტალიური ლეგენდის შეგირდებმა სწორედ მერებაშვილის გოლით იმარჯვეს და უდიდესი სიხარული მიანიჭეს საკუთარ გულშემატკივრებს.

როგორც ფეხბურთელმა გვითხრა, ჩვენს წამოწყებას საბერძნეთიდანაც ადევნებდა თვალს და მოხარულია, რომ ქართული ფეხბურთისთვის რაღაც სასიკეთო კეთდება. ვინაიდან შეხვედრა აღდგომის კვირეულს დაემთხვა, ფეხბურთელმა საქართველოს ბრწყინვალე დღესასწაულიც მიულოცა და აქციას წარმატებები უსურვა.

გიორგი მერებაშვილი:

- აქცია ძალიან კარგია. როცა საბერძნეთში ვთამაშობდი, იქიდანაც გადევნებდით თვალყურს. ეს ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციას უფრო შეუწყობს ხელს და იმედი მაქვს, მომავალშიც გააგრძელებთ. წარმატებები მინდა გისურვოთ.

აქციის ფარგლებში ქართველმა გულშემატკივარმა ის ფეხბურთელები გაიცნო, რომლებსაც წლების განმავლობაში რაღაც აგური მაინც აქვს დადებული ქართული ფეხბურთის მშენებლობაში და ზოგიერთი მათგანი უცხოეთშიც ძალიან უყვართ.

გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, დავით მუჯირი, ლევან კობიაშვილი, გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურა იონანიძე, გიორგი ილურიძე, გივი კვარაცხელია, გიორგი ფოფხაძე, ლადო ბურდული, დავით სირაძე, ლაშა ჯაკობია, ალექსანდრე ინწკირველი, ზურა ბათიაშვილი, დაჩი ფოფხაძე, დაჩი ცნობილაძე, დავით ოდიკაძე, გიორგი განუგრავა, გიორგი მიქაბერიძე, გიორგი ცხადაია, გიორგი ქავთარაძე, ანზორ სუხიაშვილი, ირაკლი კლიმიაშვილი, ნიკოლოზ საბანაძე, ნიკა ჭანტურია, გიორგი ჭანკოტაძე და დათა სიჭინავა, გიორგი მერებაშვილი - ეს იმ ფეხბურთელების სრული სიაა, რომლებმაც ერთობლივ აქციაში მიიღეს მონაწილეობა.

„არ მინდა ნაჩქარევი გადაწყვეტილება მივიღო. იმედი მაქვს, კიდევ უკეთესი ვარიანტები გამოჩნდება მაისამდე და აქედან საუკეთესოს ავარჩევ“

ყველა მონაწილის შეფასება წამოწყების მიმართ დადებითი იყო და ყველა მათგანი აცხადებდა, რომ მსგავსი შეხვედრები საქართველოში საკუთარ გულშემატკივართან არასდროს ჰქონიათ.

„ევროპაბეთმა“, ტრადიციულად სტუმრისთვის, სიმბოლური ბილეთი დაამზადა, სადაც მოწვეული ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგაზე საკუთარ ფავორიტს ასახელებს. გიორგი მერებაშვილის შემთხვევაში ეს გუნდი „ბარსელონა“ აღმოჩნდა.

გიორგი მერებაშვილი:

- ჩემი ფავორიტი „ბარსელონაა“. ამ გუნდის გულშემატკივარი ვარ და იმედი მაქვს, რომ მოახერხებს ჩემპიონთა ლიგის თასის აღებას.

აქამდე ჩატარებულ აქციებში ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

მადრიდის „რეალი“ – გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურაბ იონანიძე, დავით სირაძე, ლადო ბურდული, გიორგი ილურიძე, ლაშა ჯაკობია, დაჩი ცნობილაძე, გიორგი მიქაბერიძე;

კატალონიის „ბარსელონა“ – გიორგი ფოფხაძე, ზურაბ ბათიაშვილი, ალექსანდრე ინწკირველი, დაჩი ფოფხაძე, გიორგი განუგრავა, გიორგი ცხადაია, გიორგი ქავთარაძე, ანზორ სუხიაშვილი, ნიკა საბანაძე, გიორგი ჭანკოტაძე, გიორგი მერებაშვილი;

მიუნხენის „ბაიერნი“ – გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, დავით ოდიკაძე, ნიკა ჭანტურია;

ტურინის „იუვენტუსი“ – ირაკლი კლიმიაშვილი, დათა სიჭინავა;

ლონდონის „ჩელსის“ კი, რომელიც ელიტარულ ტურნირს უკვე გამოეთიშა, ხმა გივი კვარაცხელიამ მისცა.

კატალონიის „ბარსელონა“ კი უკვე 11 ფეხბურთელის რჩეულია. მეოთხედფინალურ მატჩში, ლუის ენრიკეს შეგირდებმა პარიზში, „პსჟ“ 3:1 დაამარცხეს და ნახევარფინალისკენ უდიდესი ნაბიჯი გადადგეს, ამიტომ იმ ფეხბურთელებს, ვინც ამ გუნდის გაჩემპიონება ივარაუდა, გამარჯვების დიდი შანსი აქვთ.

„თუ გავითვალისწინებთ, რომ საბერძნეთის ჩემპიონატი არ არის ხელწამოსაკრავი, კარგად წარმოვაჩინე თავი იმ შეხვედრებში, სადაც თამაშის საშუალება მომეცა“

რაც შეეხება პირად კარიერას, იქიდან გამომდინარე, რომ გიორგის გუნდი „ოფი“ დაიშალა და ფეხბურთელსა და კრეტულ კლუბს შორის კონტრაქტი შეწყდა, დავინტერესდით, რა გეგმები აქვს ფეხბურთელს. როგორც შემტევი ამბობს, ჯერჯერობით საქართველოში ინდივიდუალურად ვარჯიშობს, მაგრამ არც იმას გამორიცხავს, რომ მაისის ბოლომდე, რომელიმე ქართულ გუნდთთან ერთად გააგრძელოს საწვრთნელი პროცესი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„საბერძნეთიდანაც ვადევნებდი თვალყურს“

europe-bet.com

„აქცია ძალიან კარგია. როცა საბერძნეთში ვთამაშობდი, იქიდანაც გადევნებდით თვალყურს. ეს ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციას უფრო შეუწყობს ხელს და იმედი მაქვს, მომავალშიც გააგრძელებთ. წარმატებები მინდა გისურვოთ“

EXCLUSIVE

„საქართველოში, ეროვნული ჩემპიონატის თამაშებზე ნაკლებად ჩამოდიან დამკვირვებლები და ამის გამო, ბევრი ფეხბურთელი ვერ ახერხებს შესაძლებლობების გამოვლენას, იმას, რაც 13 თამაშში მე შევძელი“

გიორგი მერებაშვილი:

„ჩემი მომავალი ჯერჯერობით გაურკვეველია. შეიძლება, რომელიმე გუნდთან ერთად მაისამდე ვივარჯიშო. ვცდილობ, რაც შეიძლება უკეთესი ვარიანტი ავირჩიო იმ გუნდებიდან, რაც მაქვს. არის რამდენიმე კონკრეტული შემოთავაზება, თუმცა, არ მინდა ნაჩქარევი გადაწყვეტილება მივიღო. იმედი მაქვს, კიდევ უკეთესი ვარიანტები გამოჩნდება მაისამდე და აქედან საუკეთესოს ავარჩევ.

გიორგი მერებაშვილის თქმით, უფრო ბერძნები აქტიურობენ, რადგან ისინი უკეთესად იცნობენ, ვიდრე სხვა ქვეყნის წარმომადგენლები, მიუხედავად იმისა, რომ სულ 4 თვე მოუნია თამაში საბერძნეთში. ამ დროისთვის, ცნობილია, რომ მერებაშვილით 6 ბერძნული გუნდია დაინტერესებული და რამდენიმე გუნდი ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან, მაგრამ, როგორც თავად აღნიშნა, გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს. მიუხედავად იმისა, რომ „ოფი“ დაიშალა, ფეხბურთელს ისეთ ლეგენდარულ ადამიანთან მოუხდა მუშაობა, როგორიც ჯენარო გატუზოა, იტალიური და მსოფლიო ფეხბურთის თვალსაჩინო წარმომადგენელი, გიორგი მერებაშვილი არ ნანობს საბერძნეთში სათამაშოდ წასვლას.

გიორგი მერებაშვილი:

- არ ვნანობ, პირიქით, ძალიან კარგი გამოცდილება მივიღე. ამასთან, ბევრმა გუნდმა გამიცნო საბერძნეთში. საშუალება მომეცა, თავი წარმომეჩინა. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ საბერძნეთის ჩემპიონატი არ არის ხელწამოსაკრავი, კარგად წარმოვაჩინე თავი იმ შეხვედრებში, სადაც თამაშის საშუალება მომეცა. დიდი გამოცდილება მივიღე, ბევრი რამ ვისწავლე. აღვნიშნე უკვე, რომ 6 გუნდია დაინტერესებული, სწორედ ამ თამაშების წყალობით მოხდა დაინტერესება. სამწუხაროდ, რომ შევადარე საქართველოს, შეიძლება აქ უკეთესადაც ვთამაშობდი, ვიდრე საბერძნეთში, მაგრამ ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა სწორედ ისაა, რომ საქართველოში, ეროვნული ჩემპიონატის თამაშებზე ნაკლებად ჩამოდიან დამკვირვებლები და ამის გამო, ბევრი ფეხბურთელი ვერ ახერხებს შესაძლებლობების გამოვლენას, იმას, რაც 13 თამაშში მე შევძელი. გული მწყდება იმაზე, რომ ბოლომდე ვერ შევძელით სეზონის ჩამთავრება, რადგან, დარწმუნებული ვარ, უკეთესად ვითამაშებდი და წარმოვაჩენდი ჩემს შესაძლებლობებს. მეტი მოტივაცია მექნებოდა, რომ ბევრი გუნდი დაინტერესებულიყო ჩემით.

შეხვედრა „ევროპაბეთის“ კოსტავას ფილიალში დასრულებულია. აქციის ფარგლებში პირველად, „ითამაშე ვარსკვლავთან ერთად“ რუსთავს ესტუმრება, სადაც ადგილობრივი გულშემატკივარი, მათთვის საყვარელ ფეხბურთელს, გრიგოლ ბედიაშვილს შეხვდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დუტა ტელევიზიიდან მიდის

EXCLUSIVE

„15 წელია ეთერში ვარ. ყველაფრის ჩამოშორება მინდა. ყველაზე ძალიან თეატრი მინდა“

„აღარ არის დრო?“

„ქალიშვილების გაჩენის დღიდან იმაზე ვფიქრობ, რომ უნდა გათხოვდნენ და ჩემთან არ იქნებიან. ვეგუები, ვნერვიულობ და განვიცდი“

my View

თამარ გონგაძე

დუტამ ტელევიზიიდან გაუჩინარება გადაწყვიტა. 15 წელია ეთერში ვჩანვარ და აღარ არის ამის დრო? თეატრში ბრუნდება, მთელი დატვირთვით. იმ ასაკში ვარ, როცა ზუსტად იცი, რა გინდა და მე თეატრში მინდაო, გაგვანდო მსახიობმა. მანამ, სანამ გაუჩინარდება და მისი ხილვა მხოლოდ ლევან წულაძის სპექტაკლებში შეგვეძლება, სხირტლაძე „GDS“-დან „იმედზე“ გადანაცვლებული მუსიკალური შოუს „ერთი-ერთში“-ს წამყვანი ილია ბეროშვილთან ერთად იქნება. ენერგია ყოფნის და შოუებიც იყენებენ.

დუტა სხირტლაძე:

- 41 წლის ვარ, შემომხაზე ასაკია :))) არ მეგონა ეს ასაკი ასეთი რთული თუ იქნებოდა. ფსიქოლოგიური გარდატეხის პერიოდია. აცნობიერებ, რომ ნახევარ ცხოვრებაზე მეტი გავიდა. ხომ შეიძლება სამოცამდე გაქაჩო და მეტი ვერა? ჩემი გულის პატრონი 80 წლამდე რომ ვერ გავქაჩავ, ზუსტად ვიცი. გულიანი კაცი ვარ და გული მაწუხებს, თორემ ხომ ბუასილი მექნებოდა? გადატვირთული გრაფიკის გამო ვარ ასე. ეს ის ასაკია, როდესაც ზუსტად იცი, რა გინდა. ყველაზე ძალიან თეატრი მინდა. ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ ჩამოვიშორო სხვა სამსახურები და მხოლოდ თეატრში დავკავდე.

- ტელევიზიიდან უნდა გაუჩინარდეთ?

- აღარ არის დრო? 15 წელია ეთერში ვარ. 2000 წლის 2 სექტემბერს გავიდა პირველი გადაცემა „ვის უნდა 20 ათასი“. ყველაფრის ჩამოშორება მინდა. ალბათ, ჭოლასთან ვიქნები. გარდა იმისა, რომ მეგობარი და პედაგოგია, ვთვლი, რომ მასზე კარგი რეჟისორი ჩვენთან არ არის. თეატრის გარეთ ცხოვრება მიჭირს.

- რა როლის შესრულებაზე გიფიქრიათ?

- ყველა როლი მინდა. ვოიცეკს ვითამაშებდი და მარიასაც სიამოვნებით მოვკლავდი.

„პრაიმტაიმის“ წინა ნომერში დუტას უფროსი ქალიშვილის მარიამ სხირტლაძის ინტერვიუ დაიბეჭდა. მარიამმა გვითხრა, რომ ზაფხულში შეყვარებულთან ერთად გერმანიიდან ჩამოვა და სამწლიანი პაუზის შემდეგ ნახავს მამას.

დუტა: როგორ მიაკვლიეთ ჩემს შვილს? მისი ინტერვიუ გავაზიარე „ფეისბუქზე“.

- თქვენმა პოსტმა - „მოენატრე მამასა“ გადამიყვანა მარიამის „ფეისბუქის“ გვერდზე.

- სამი წელია არ მინახავს და ჭკუაზე არ ვარ. პირველი წელი იმიტომ

„სასაცილო სელფი გადაიღო სარკესთან და გამომიგზავნა. მივხვდი, რომ ჩემიანია.“

არ ჩამოვიდა, რომ აბარებდა. მეორე წელს, ძლივს, ცხოვრებაში შეყვარებული გაუჩნდა, 20 წლის ასაკში და ბედნიერი გავხდი. „ტუტუცკაა“, სხვა ინტერესები ჰქონდა, სწავლა აინტერესებს. მარტო ერთი გოგოა მთელ ჯგუფში, მომწონს მისი არჩევანი. ჩემს შვილს მათემატიკაზე ველაპარაკე, საუბარი ათ წუთში მოვამთავრეთ და ამან შედეგი გამოიღო. ახლა უკვე კონსტრუქციებზე და მიკროჩიპებზე მელაპარაკება. მაგდენი მათემატიკა მე უკვე აღარ ვიცი. ნუ ჩამოხვალ, რას ჰქვია, შეყვარებული გყავს-მეთქი. ძალიან

გამახარა. გამაცანი ვინ არის-მეთქი რომ ვუთხარი, პასკალმა სასაცილო სელფი გადაიღო სარკესთან და გამომიგზავნა. მივხვდი, რომ ჩემიანია. გერმანელების ენა თუ გესმის, ცივი ხალხი არ არის. ენა გატყუებს. ამ ზაფხულს ველოდები ორივეს. მარიამის დაბადების დღეს აქ აღვნიშნავთ. ეს ტრადიცია იყო, მარიამობის მეორე დღეს არის დაბადებული. ჩემი მეორე ქალიშვილი ნინი ნინაობას გაჩნდა და ლუკა დამ დაარქვა. შვილებს სახელი ვერ დავარქვი :)))

– მის მსახიობობაზე რას გვეტყვით?

– შვილების არჩევანს პატივს ვცემ. ნიჭიერი მსახიობი ნიჭიერია და პირველივე ნაბიჯებზე ხვდება, უნდა იყოს ამ პროფესიაში თუ - არა. თუ მეორე სპექტაკლში ისევ ბუჩქის როლს აძლევენ, ესე იგი მისი ადგილი თეატრში არ არის. მარიამი თამაშისას ნანახი არ მყავს. ფოტოები გამომიგზავნა. „მოხუცი ქალის ვიზიტში“ მთავარი როლი ითამაშა. მთლად სათაური ითამაშა. ეტყობა, გენეტიკა თავისას შვრება. დიდი ბებოს ნიჭი გამოჰყვა. მე ხომ ჩემს არტისტობას ბებიაჩემს „ვაბრალებ“.

– ნინი ძალიან გგავთ.

– საოცრად. კატასტროფული მსგავსებაა. ვაიმე, დედა-მეთქი პირველად რომ დავინახე ვიყვირე. ხასიათითაც მგავს. ხელოვნების კრიტიკოსი უნდა გამოვიდეს. საფრანგეთში უნდა განათლების მიღება. ბენდი ჰყავს, გიტარაზე უკრავს, ფრანგულენოვან სიმღერებს წერს. „იქს ფაქტორში“ არ გავიდა, არ უნდოდა კონკურსში მონაწილეობა. 11 წლის ლუკას ფეხბურთიც უნდა და მსახიობობაც. რომელი უფრო ძალიან უნდა, ჯერ არ იცის.

– როგორი მამა ხართ?

– მოუცლელი მამა ვარ. მაინტერესებს შვილების ამბები. მე დამოუკიდებლობის მომხრე ვარ და მიხარია, რომ დამოუკიდებლად იზრდებიან. მშობლები საკუთარ შეცდომებს ვუზიარებთ. ცოტა სიმკაცრეები მაქვს, მთლად ლიბერალი ვერ ვარ. ოღონდ მარიამის გარდა, მარიამს ყველაფერი ეპატიება. შინაგანად მანიაკი მამა ვარ. ქალიშვილების გაჩენის დღიდან იმაზე ვფიქრობ, რომ უნდა გათხოვდნენ და ჩემთან არ იქნებიან. ვეგუები, ვნერვიულობ და განვიცდი. არც ნინის არ ჰყავს შეყვარებული. ეს გოგონები სწავლაზე ორიენტირებულები არიან. იმედი მაქვს, შეყვარებული თუ გაიჩინა პირველი მე გავიგებ.

– დედამდე?

– დედამდეც. იმაზე გახსნილი ურთიერთობა მაქვს შვილებთან, ვიდრე ეს სხვებს ჰგონიათ. ახსნილი მაქვს, რატომ არ უნდა დამიმალონ. ყველაზე ბოლოს მე რომ გავიგო, მაგრად მეწყინება. მგონია, რომ დავიმსახურე ეს ინფორმაცია პირველმა მე გავიგო. ყველაზე ახლო მეგობრები შვილებისთვის მშობლები ვართ. ჩვენზე უკეთ ვინ გაუგებს. ნინი რომ გაჩნდა, მას შემდეგ მივხვდი, რომ მამა ვარ. ყველაფერი შეცვალა. მარიამი რომ გაჩნდა 19 წლის ვიყავი. ვერ გავაცნობიერე მამობა. „გარიგების“ გადაღების დროს ჩემი ცოლი ფეხმძიმედ იყო და მალევე გავხდი მამა. ნინი რომ დაიბადა უკვე 26 წლის ვიყავი. აღმოვაჩინე, რომ ადამიანები იმიტომ ვიბადებით, რომ შვილებზე ვიფიქროთ და არა საკუთარ თავზე. ამას რომ გააცნობიერებ, ყველაფერი გილაგდება.

„41 წლის ვარ. არ მეგონა ეს ასაკი ასეთი რთული თუ იქნებოდა. ფსიქოლოგიური გარდატეხის პერიოდია. აცნობიერებ, რომ ნახევარ ცხოვრებაზე მეტი გავიდა. ხომ შეიძლება სამოცამდე გაქაჩო და მეტი ვერა?“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მასის ფსიქოლოგი „ჩემი ცოლის დაქალებიდან“

my View
თამარ გონგაძე

ქეთი ქიტიაშვილი: „ლონდა ჩემი ანტიპოდია. მსახიობისთვის სასარგებლოა მისგან განსხვავებული ტიპაჟის თამაში“

EXCLUSIVE

ქეთი ქიტიაშვილი გოგა ოსეფაშვილის სპექტაკლში ვნახე, „საზღვრებში“ მთავარ როლს ასრულებს. ორმოქმედებიან სპექტაკლში, მაყურებლის თვალწინ გადის მთელ ცხოვრებას და შეყვარებული რომანტიკოსი გოგონა ტრაგიკულ, ასაკოვან ქალად გარდაისახება. საინტერესო მსახიობია. „ჩემი ცოლის დაქალებში“ ცოტნე ცოტაშვილის ბორდის წევრია, მასის ფსიქოლოგი, ქალბატონი ლონდა. მსახიობს თავისი გმირისადმი ნელ-ნელა სიმპათია გაუჩნდა და ლონდა შეუყვარდა კიდეც. პირველად სერიალისთვის სინჯი სექტემბერში გაიარა, სულ სხვა როლზე. თუმცა მაშინ სხვა მსახიობი აარჩიეს. მეორედ რომ დაურეკეს, არ უნდოდა წასვლა, იფიქრა, რომ ისევ არ გაუმართლებდა. და სკეპტიკურად განწყობილი მივიდა ტელევიზიაში. პირველი სერიის გადაღებისას მაღალი სიცხე ჰქონდა. **„ჩემი ხმა არ მესმოდა ისე გადავიღეთ პირველი სერია. ვირუსის ყველა საშინელი სიმპტომი მქონდა“.**

თეატრი, კინო, პანტომიმა

ქეთი განსხვავებულ როლებს თამაშობს და მასის ფსიქოლოგის როლი უცხოა მისთვის. თუმცა უკვე უყვარდება.

ქეთი ქიტიაშვილი:

- სერიალში პროცესს ვერ გადიხარ, შედეგს თამაშობ, როლის გამოძერწვა მალე ხდება. დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება მაქვს, მაგრამ ამ განსხვავებული ტიპაჟის თამაში ჩემთვის საინტერესოა. ლონდა ჩემი ანტიპოდია. მსახიობისთვის სასარგებლოა მისგან განსხვავებული ტიპაჟის თამაში. სამწუხაროა, მაგრამ ლონდასგან განსხვავებით არანაირი მიზანდასახულობა არ გამაჩნია. რაც ხდება, თავისთავად ხდება ჩემს კარიერაში. დამოკიდებული პროფესია მაქვს და რა მიზანი უნდა დავისახო გარდა იმისა, რომ საინტერესო სამუშაო მქონდეს. ამ სურვილს კოსმოსში ვუშვებ. მქონდა შიშის ფაქტორი, შეიძლება ეკრანზე არ გამომივიდეს-მეთქი. ჩემთვის თეატრი პრიორიტეტულია. იქ იზრდება მსახობი. კასტინგზე წასვლის შიში გვიან გადავლახე. გული მწყდება, რომ საშა რეხვიაშვილთან ფილმში „საფეხური“ არ ვითამაშე. სპექტაკლები მქონდა და არ მოხერხდა. ახლა გული მწყდება ბევრ სინჯზე რომ არ წავედი. მსახიობი თუ ცნობილი არ არის მას ბევრი რამ აკლდება.

„როგორც პერსონაჟი, შემიყვარდა. აზარტში ვარ. ჩუმადაც რომ არის, პროცესშია ჩართული. უნდა ცოტნეს პრეზიდენტობა და საკუთარი თავის მინისტრობა. შეიძლება ცოტნეს აპარატშიც მოითხოვოს დარჩენა“

არტისტულობა ბავშვობიდან უწინასწარმეტყველეს. „შემთხვევითობის“ წყალობით მომავალი პიანისტი მსახიობმა ჩაანაცვლა.

„მუსიკალური სკოლის დირექტორი სოკოლოვი ჩემზე ამბობდა - ვოტ, პრიშლა არტისტკა! ინსტრუმენტთან რომ დაჯდება და ამბის მოყოლას დაიწყებს, ნამდვილი არტისტიაო. ეს ქვეცნობიერში დაილექა. სახელმწიფო გამოცდის წინ ხელის ტრავმა მივიღე. ვიფიქრე, რომ ეს გამეორდებოდა, ამიტომ კონსერვატორიიდან ქვევით ჩავალ რუსთაველზე, იქნებ გამომივიდეს-მეთქი და თეატრალურ უნივერსიტეტში მოვხვდი ლილი იოსელიანთან. ეს ქალბატონი უნიკალური შემთხვევაა ქართული თეატრის ისტორიაში. ზნეობის გაკვეთილებს გვიტარებდა. პირველად მაინტერესებს როგორი ადამიანები იქნებით და არა როგორი მსახიობები. რაც არ უნდა მინდოდეს რაღაც როლის თამაში, ადამიანობა ჩემთვის უპირველესია“.

- ეს, როგორც მსახიობს ხომ არ გჩაგრავთ?

- შეიძლება. მე მირჩევნია თავთან ვიყო მართალი. მე თვითონ არ ვაქტიურობ, არ ვჩნდები. თვითონ მეძახიან. ეს კარგი არ არის. მაგრამ რთულია რეჟისორისთვის იმის თქმა, საუკეთესო ვარ და დამინახეო.

ახმეტელის თეატრში ნუკრი ქანთარიამ მეოთხე კურსიდან წაიყვანა. მერე მის შემოქმედებაში დიდი გარდატეხა მოხდა, გოგი ოსეფაშვილმა „ვირის ჩრდილში“ უსიტყვო როლი მისცა. პლასტიკაში ათამაშა.

„ბატონმა გოგიმ მითხრა, არ მინდა შენი პლასტიკის მონაცემები წყალში ჩაიყაროს და მინდა ვარჯიში დაიწყოო. და თავის პარტნიორად წამიყვანა. 16 წელიწადი მე და ბატონმა გოგიმ პანტომიმის თეატრში რამდენიმე სეზონი მიმოდრამაში ერთად ვიცეკვეთ. გასტროლებზე გახლდით იაპონიაში. ძალიან მიყვარს მისი ყველა სპექტაკლი, მათ შორის „წეროს ფრთები“, „საზღვრები“. ახლა მოზარდმაყურებელთა თეატრში ვარ. ძალიან მაბედნიერებს ორი სპექტაკლი - „საზღვრები“ და „ჯუჯა ცხვირი“.

ლონდა

„ლონდას როლი კარგად და გააზრებულად დაწერილი როლია. მიზანდასახული, კარიერაზე ორიენტირებული, რომანტიკას მოკლებული ადამიანია. ჩვენს ყოფაში ბევრნი არიან მისნაირები. როლზე მუშაობისას გამახსენდნენ ფსიქოლოგები, ცნობილები, არაცნობილები. იმიჯი, ჩვევა მათგან ავიღე. სხვათა შორის, ლონდა მუსხელიშვილი, როგორც პერსონაჟი, შემიყვარდა. საინტერესოა თუ განვითარდება. არ მეგონა სერიალში თუ ასეთი საინტერესო პერსონაჟის შექმნა შეიძლებოდა. აზარტში ვარ. ჩუმადაც რომ არის, პროცესშია ჩართული. უნდა ცოტნეს პრეზიდენტობა და საკუთარი თავის მინისტრობა.

- როგორ ფიქრობთ, დაახლოებით რისი მინისტრობა შეიძლება უნდოდეს?

- ვფიქრობ, ისეთი მიზანდასახულია, ყველანაირ შემოთავაზებას დასთანხმდება. ჭკვიანი ქალია და ცოტნიკო მას უსმენს. უფრო დიპლომატიური განხრით. შეიძლება ცოტნეს აპარატშიც მოითხოვოს დარჩენა.

- ცოტნე საპრეზიდენტო კაცია?

- მე ვიტყვი, რომ ამისთვის მზად არ არის. ლონდა კი გულშემატკივრობს, მოსწონს. თუ მისნაირ ადამიანებს ყურს დაუგდებს, შეიძლება გახდეს კიდეც პრეზიდენტი.

პირადი

ქეთი, 25 წლის ასაკში, თავის ჯგუფელს, ირაკლი კერვალიშვილს გაჰყვა ცოლად. მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა. ცოტა ხანი იცხოვრეს ერთად. მარიამი პატარა იყო რომ გაიყარნენ. ახლა მსახიობის ქალიშვილი 20 წლისაა და მომავალი ჟურნალისტია. დედას არ უნდოდა მსახიობი გამხდარიყო შვილი, რკინის ნერვები და რკინის ჯანმრთელობა გჭირდებაო.

„ვერაფერი ვაპატიეთ ერთმანეთს, არც ერთი ყოფითი წვრილმანი. რადიკალური ხარ პატარა ასაკში. და ეს ახალგაზრდული რადიკალიზმი ანგრევს ოჯახს. დღეს ორივეს გვეცინება იმ სისულელეებზე“

- რა იყო თქვენი ოჯახის დანგრევის მიზეზი?

- ბევრი ფაქტორია და მით უმეტეს, როდესაც ყოფითი ფაქტორი დიდი დოზით შემოდის ახალგაზრდების ცხოვრებაში, ვერ უმკლავდები. ამ დროს უფროსების თანადგომა აუცილებლად საჭიროა. როდესაც დიდი სიყვარულია, დიდი გაფრთხილება სჭირდება. კომპრომისზე ვერ მიდიხარ. ოჯახი კომპრომისზე წასვლაა. ჩვენ ვერაფერი ვაპატიეთ ერთმანეთს, არც ერთი ყოფითი წვრილმანი. რადიკალური ხარ პატარა ასაკში. და ეს ახალგაზრდული რადიკალიზმი ანგრევს ოჯახს. დღეს ორივეს გვეცინება იმ სისულელეებზე.

- მას შემდეგ ოჯახი არც ერთმა არ შექმენით?

- მყვარებია, მაგრამ ოჯახის შექმნა შემეშინდა. ირაკლის ჰყავს ოჯახი. და კიდევ ერთი ქალიშვილი. მიხარია, რომ მეგობრობა და ურთიერთპატივისცემა შევინარჩუნეთ. ირაკლი დოკუმენტალისტია. წარმატებას ვუსურვებ. ყველაფერი კარგად ჰქონდეს. ჩვენ ძალიან ახლობლები ვართ. ყველგან მგულშემატკივრობს - სერიალში, სპექტაკლებში. მარიამს ორივე ვარიგებთ, რომ ოჯახი ურთიერთგაგება და კომპრომისია და საყვარელი ადამიანი ისეთი უნდა მიიღო, როგორიც არის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

„პრაიმტაიმისა“ და „ევროპ

„ჩემს საყვარელ გუნდს რაც შეეხება, სიმართლე გითხრათ, მას ფავორიტად არ მივიჩნევ, მაგრამ „იუვენტუსს“ ბავშვობიდან ვგულშემატკივრობ, თუ მოიგებს, ძალიან გამეხარდება“

მაგდა კლდიაშვილი

გაზეთ „პრაიმტაიმისა“ და ტოტალიზატორ „ევროპაბეთის“ ერთობლივ აქციას, რომელიც უკვე მეორე წელია ხორციელდება, ქალაქ რუსთავმა პირველად უმასპინძლა. ტოტალიზატორის რუსთავის ფილიალში სტუმრად რუსთავის „მეტალურგის“ კარის კიპერი და ყველასთვის საყვარელი ფეხბურთელი, გრიგოლ ბედიაშვილი იმყოფებოდა.

გრიგოლ ბედიაშვილმა პროფესიული კარიერა მშობლიურ ქალაქში დაიწყო, შემდეგ კი იყო ბათუმი და თბილისი. „ვიტ ჯორჯიას“ რიგებში, რომლის მაისურიც მეკარემ 6 წლის განმავლობაში ატარა, ორჯერ ჩემპიონობა იზეიმა, 2010 წელს კი მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა, სადაც დღემდე აგრძელებს კარიერას.

მეკარე რამდენჯერმე წარდგენილი იყო საუკეთესო მეკარის ნომინაციაზეც, მისი სტაბილური თამაში კი ნაკრების მთავარ მწვრთნელებსაც არ დარჩენიათ შეუმჩნეველი. 2008 წელს, ექტორ რაულ კუპერმა ბედიაშვილი ნაკრებში იხმო, მისი დებიუტი კი 2009 წელს შედგა, ალბანეთის წინააღმდეგ, სადაც ნაკრების კარის კიპერი საიმედოდ გაისარჯა. მიუხედავად რუსთავის „მეტალურგში“ არსებული ფინანსური პრობლემებისა, გამოცდილი კიპერი კვლავ გუნდში რჩება და ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის მისაბაძი მაგალითიც არის.

რაც შეეხება „პრაიმტაიმისა“ და „ევროპაბეთის“ ერთობლივ პროექტს, ეს რიგით მე-20 შეხვედრაა. აქციის ფარგლებში შეხვედრები გარდა დედაქალაქისა, იმერეთსა და აჭარის რეგიონში უკვე ორჯერ გაიმართა. გარდა „ევროპაბეთის“ მიერ დაწესებული პრიზებისა, პროექტს მხარი დაუჭირეს და საკუთარი გუნდის გულშემატკივრებისთვის გუნდის მაისურები და შარფები დააწესეს გასათამაშებლად.

აქციის - „ითამაშე ვარსკვლავთან ერთად“, ფარგლებში ქართველმა გულშემატკივარმა სულ 34 ფეხბურთელი გაიცნო. ესენი არიან: გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, დავით მუჯირი, ლევან კობიაშვილი, გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურა იონანიძე, გიორგი ილურიძე, გივი კვარაცხელია, გიორგი ფოფხაძე, ლადო ბურდული, დავით სირაძე, ლაშა ჯაკობია, ალექსანდრე ინწკირველი, ზურა ბათიაშვილი, დაჩი ფოფხაძე, დაჩი ცნობილაძე, დავით ოდიკაძე, გიორგი განუგრავა, გიორგი მიქაბერიძე, გიორგი ცხადაია, გიორგი ქავთარაძე, ანზორ სუხიაშვილი, ირაკლი კლიმიაშვილი, ნიკოლოზ საბანაძე, ნიკა ჭანტურია, გიორგი ჭანკოტაძე, დათა სიჭინავა, გიორგი მერებაშვილი და გრიგოლ ბედიაშვილი.

„ევროპაბეთმა“ აქციისთვის საჩუქრად ბურთები დააწესა, რომელზეც ავტოგრაფი გრიგოლ ბედიაშვილმა დატოვა და ისე აჩუქა მშობლიური ქალაქის გუნდის გულშემატკივრებს. იყო ბევრი სამახსოვრო ფოტოც. 32 წლის ფეხბურთელმა კი „პრაიმტაიმთან“ საუბარში მოგვიანებით განაცხადა, რომ თავისი კარიერის განმავლობაში ასეთ შეხვედრაში პირველად მონაწილეობს:

„პირად გეგმებს რაც შეეხება, უკვე საკმაოდ დიდ ასაკში ვარ. ჯერ გადაწყვეტილება არ მიმიღია. ვნახავ რუსთავში რა იქნება. თუ იქნება რაიმე ნორმალური, აქ დავრჩები და ვითამაშებ. ამას, ყველაფერს, დრო გვიჩვენებს“

„სამწუხაროდ, აქამდე არ მქონია გულშემატკივრებთან ისეთი შეხვედრა, რომ მათთვის ავტოგრაფები დამერიგებინოს, თორემ ისე შევხვედრივარ და სულ ვხვდები რუსთაველ გულშემატკივარს“

გრიგოლ ბედიაშვილი:

- სამწუხაროდ, აქამდე არ მქონია გულშემატკივრებთან ისეთი შეხვედრა, რომ მათთვის ავტოგრაფები დამერიგებინოს, თორემ ისე შევხვედრივარ და სულ ვხვდები რუსთაველ გულშემატკივარს. აქციას რაც შეეხება, საერთოდ, რაც ქართული ფეხბურთის განვითარებასა და პოპულარიზაციას უწყობს ხელს, ყველაფერს მივესალმები. ძალიან სასიამოვნო დღეა ჩემთვის, შეხვედრა ქართველ გულშემატკივართან. მინდა, მადლობა გადავუხადო „პრაიმტაიმსა“ და „ევროპაბეთს“ ამ კარგი წამოწყებისთვის.

„ევროპაბეთმა“, ტრადიციულად, მოწვეულ სტუმარ ფეხბურთელს სიმბოლური ბილეთი დაუმზადა, სადაც ისინი ჩემპიონთა ლიგაზე საკუთარ ფავორიტს ასახელებენ. გრიგოლ ბედიაშვილის საყვარელი გუნდი, დღესაც ლიგის გათამაშებაზეა და ამიტომ, იმედი გამოთქვა, რომ წარმატებას მიაღწევს, თუმცა ფავორიტად არ მიიჩნევს საყვარელ გუნდს.

გრიგოლ ბედიაშვილი:

- ჩემს საყვარელ გუნდს რაც შეეხება, სიმართლე გითხრათ, მას ფავორიტად არ მივიჩნევ, მაგრამ „იუვენტუსს“ ბავშვობიდან ვგულშემატკივრობ, თუ მოიგებს, ძალიან გამეხარდება.

„იუვენტუსმა“ ჩემპიონთა ლიგის პირველ მეოთხედფინალურ შეხვედრაში, საკუთარ მოედანზე ფრანგული „მონაკო“ მინიმალური ანგარიშით დაამარცხა და სამშაბათს გაირკვევა, გააგრძელებს თუ არა ყველაზე ელიტარულ საკლუბო გათამაშებაში მონაწილეობას. გრიგოლ ბედიაშვილი მესამეა, რომელმაც საკუთარ ფავორიტად იტალიური „იუვენტუსი“ დაასახელა აქციის ფარგლებში.

სულ კი, გამართული შეხვედრებიდან ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

მადრიდის „რეალი“ – გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურაბ იონანიძე, დავით სირაძე, ლადო ბურდული, გიორგი ილურიძე, ლაშა ჯაკობია, დაჩი

ძალიან სასიამოვნო დღეა ჩემთვის, შეხვედრა ქართველ გულშემატკივართან. მინდა, მადლობა გადავუხადო „პრაიმტაიმსა“ და „ევროპაბეთს“ ამ კარგი წამოწყებისთვის“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გრიგოლ ბედიაშვილი:

„ძალიან გაჭირდება დღეს რუსთავის „მეტალურგში“ რამის შეცვლა“

„საერთოდ, რაც ქართული ფეხბურთის განვითარებასა და პოპულარიზაციას უწყობს ხელს, ყველაფერს მივესალმები“



ცნობილაძე, გიორგი მიქაბერიძე;

კატალონიის „ბარსელონა“ – გიორგი ფოფხაძე, ზურაბ ბათიაშვილი, ალექსანდრე ინწკირველი, დაჩი ფოფხაძე, გიორგი განუგრავა, გიორგი ცხადაია, გიორგი ქავთარაძე, ანზორ სუხიაშვილი, ნიკა საბანაძე, გიორგი ჭანკოტაძე, გიორგი მერებაშვილი;

მიუნხენის „ბაიერნი“ – გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, დავით ოდიკაძე, ნიკა ჭანტურია;

ტურინის „იუვენტუსი“ – ირაკლი კლიმიაშვილი, დათა სიჭინავა, გრიგოლ ბედიაშვილი;

კიდევ ერთი გუნდი, რომელიც ფავორიტად დასახელდა და უკვე გამოვარდა, ლონდონის „ჩელსია“. ფსონი მასზე გივი კვარაცხელიამ დადო.

რაც შეეხება თავად გრიგოლ ბედიაშვილს, მისი გუნდი ახლა ძალიან მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფება და დიდი ალბათობით, სეზონის ბოლოს გავარდება კიდეც. გამოცდილმა მეკარემ გუნდისა და მის მომავალზე „პრაიმტაიმთან“ ისაუბრა:

გრიგოლ ბედიაშვილი:

- ძალიან გაჭირდება დღეს რუსთავის „მეტალურგში“ რამის შეცვლა. ადგილის შენარჩუნებაც რთული იქნება. ცუდი სიტუაციაა, ფინანსები არ არის, არანაირი პირობა, მაგრამ, ჩვენ, ბიჭები, ვეცდებით ყველანაირად, რომ ელემენტარული მოვახერხოთ და ის საჭირო ქულები მოვიპოვოთ, რომელიც „მეტალურგს“ უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად სჭირდება.

იმ შემთხვევაში, თუკი გუნდი უმაღლესი ლიგის მიღმა დარჩება, ბედიაშვილის მომავალი უცნობია. თუმცა, ფეხბურთელს იმედი არ გადაუწურავს და ფიქრობს, რომ სამომავლოდ რაღაც იქნება, რაც გუნდს გადარჩენაში დაეხმარება.

გრიგოლ ბედიაშვილი:

- პირად გეგმებს რაც შეეხება, უკვე საკმაოდ დიდ ასაკში ვარ. ჯერ გადაწყვეტილება არ მიმიღია. ვნახავ რუსთავში რა იქნება. თუ იქნება რაიმე ნორმალური, აქ დავრჩები და ვითამაშებ. ამას, ყველაფერს, დრო გვიჩვენებს.

შეხვედრა რუსთავში დასრულებულია. „პრაიმტაიმისა“ და „ევროპაბეთის“ ერთობლივი აქცია 21-22 აპრილს გაიმართება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„არ მგონია ჩემს ცოლობას დიდი ძალისხმევა დასჭირდეს“

„ცხოვრებაში ორჯერ ვიყავი გამხდარი - 35 კილოგრამი დავიკელი 2 თვეში“

EXCLUSIVE

„კლუბში მეგობრებთან ერთად ვიყავი. ვცეკვავდით. მოვიდა ვიღაც გოგო და მითხრა, როგორ მიხარია აუტისტი რომ არ ყოფილხარო“

my View
ნინო მჭედლიშვილი

27 წლის ზურა გაბუნია „ილიაუნის“ თეატრის მსახიობია. სწორედ ეს უნივერსიტეტი დაამთავრა და მას მერე ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის თეატრში თამაშობს. ფართო აუდიტორიამ ის „ჩემი ცოლის დაქალებიდან“ გაიცნო, სადაც ზურა აუტისტს თამაშობს. ირაკლის როლი იმდენად გაითავისა, ბევრს ცხოვრებაშიც აუტისტი ჰგონია...

ჩემმა რესპონდენტმა ინტერვიუს განმავლობაში იმდენჯერ თქვა ფრაზა „ეს არ დაწერო“, მისთვის რომ დამეჯერებინა, მკითხველისთვის მხოლოდ მისი და ჩემი გვარსახელები მრჩებოდა. მის ამგვარ თხოვნაში მსახიობის თავმდაბლობა დავინახე. ზურა თვლის, რომ მისი პირადი ცხოვრება არავის აინტერესებს.

- ზურა, მსახიობობა ბავშვობიდან გინდოდა?

- მამა იურისტი იყო, ჩემი ძმაც, მეც იურიდიულზე ვაბარებდი, მაგრამ ვერ მოვხვდი. მართალი გითხრათ, გამიხარდა კიდეც. რადგან ფსიქოლოგიურზე გადავიტანე საბუთები, იქ სადაც უფრო მეტად მინდოდა მოხვედრა. ეს იყო გამოყენებითი ფსიქოლოგია, მეორად ფაკულტეტად სამსახიობო ოსტატობა ავირჩიე. თეატრის სარდაფში დავიწყე სიარული და მის მერე იქ ვარ. ოთარ ეგაძის სკოლა მაქვს გავლილი, ბევრი რამ მომცა ამ ადამიანმა. ჩემი პირველი მნიშვნელოვანი როლი იყო ვენსანი „ევრიდიკეში“. ძალიან მიყვარს ეს სპექტაკლი. მხოლოდ იმიტომ არა, რომ პირველი იყო.

- ოჯახზე რას მეტყვი?

- მშობლები აღარ მყავს. 13 წლის ვიყავი როცა გარდაიცვალნენ. ამას ხომ არ დაწერთ? არ მიყვარს ასეთ თემებზე რომ მეკითხებიან. ისე გამოდის, თითქოს ვიღაცას თავს ვაცოდებ.

- მშობლების გარდაცვალებამ, ალბათ, გარკვეული პრობლემები შექმნა ოჯახში, თუნდაც ფინანსური თვალსაზრისით...

- გაჭირვებაში ნამდვილად არ გვიცხოვრია. ჰქონდა მამაჩემს იმის შესაძლებლობა, რომ ოჯახი ერჩინა. მისი გარდაცვალების შემდეგაც იყო ოჯახში დანაზოგი. ჩემი ძმაც მუშაობდა, მეც. ნამდვილად არ გვიჭირდა. ბევრი სამსახური გამოვიცვალე. სად არ მიმუშავია, არც მახსოვს იმდენი რამ მიკეთებია, ქუჩაში რაღაცებს რომ არიგებენ აქციების ფორმატში, ეგეც არ მითაკილია. დაცვაშიც ვმუშაობდი, ღამის ცვლაში. დღე უნივერსიტეტში ვიყავი, ღამით სამსახურში მივდიოდი. მაგრამ, ეს რაში აინტერესებს ხალხს?

- დაცვაში როცა მუშაობდი, მაშინ გამხდარი იყავი, ალბათ...

- (იღიმება) ცხოვრებაში ორჯერ ვიყავი გამხდარი. ერთხელ ბრმანაწლავის ოპერაცია გავიკეთე და დიდხანს დიეტურად ვიკვებებოდი და მეორედ სპეციალურად დავიცავი დიეტა.

- როლის გამო?

- არა.

- შეყვარებული იყავი?

- რაღაც დოზით ესეც იყო მიზეზი (იღიმება). 35 კილოგრამი დავიკელი 2 თვეში, მაგრამ მერე ისევ დალევა დავიწყე და ერთ თვეში ავინაზღაურე დაკარგული კილოგრამები.

- ჩემი მკითხველი ქალბატონები არ მაპატიებენ მაგ დიეტის რეცეპტი რომ არ გკითხო...

- 4 დღიანი დიეტაა, უბრალოდ, რომ ვამთავრებდი, თავიდან ვიწყები. ასე გავაგრძელე ორი თვე. მთავარი პრინციპი ის არის, რომ მხოლოდ საღამოს 6-7 საათამდე მიირთმევ. პირველ დღეს მხოლოდ ხილს, მეორე დღეს მხოლოდ მოხარშულ კვერცხსა და მოხარშულ ხორცს, მესამე დღეს მხოლოდ ბოსტნეული, მეოთხე დღეს მხოლოდ ნაბეღლავს ან წყალს, ან კეფირს. ჩაი და ყავა უშაქროდ. ორი თვე ამ რეჟიმით ვიცხოვრე და როცა დარღვევა მიწევდა, ორი დღე საერთოდ ვშიმშილობდი.

- კარგი ნებისყოფა გქონია, ალბათ, გოგოც ძალიან ლამაზი იყო...

- ლამაზია ახლაც.

- სად არის?

- ისევ იქ, სადაც იყო. უბრალოდ, ჩვენი ურთიერთობა აღარ არის იგივენაირი... ცოლი არ მინდა ჯერ (იღიმება).

- ზურა, როგორც ვიცი, აუტისტ ბავშვებთან გაქვს შეხება...

- ორი წელია ვმუშაობ ნეირო-განვითარების ცენტრში. ურთიერთობა მაქვს აუტისტ ბავშვებთან, რომლებსაც ვასწავლი ყველაფერს, რაც არ იციან და რაც იციან, ვხვეწავთ. ამისთვის უნივერსიტეტში სპეციალური ტრენინგები გავიარე. ახლა ვარ მათი ქცევითი თერაპევტი. ძალიან რთული იყო პირველი ორი გაკვეთილი ჩემთვის. ყველაზე დიდი პრობლემა რაც

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოვრეჯაშიც აუტისტი ემონათ

რამ გაუადვილა მსახიობს ამ როლის შესრულება

„ორი წელია ვმუშაობ ნეიროგანვითარების ცენტრში. ურთიერთობა მაქვს აუტისტ ბავშვებთან“

შემექმნა, იყო დაძაბულობა. ითრგუნები, მოქმედებს ეს ყველაფერი შენზე და აუცილებელია პერიოდულად განიტვირთო. დღეში მინიმუმ 5 ბავშვთან მიწევს მუშაობა.

- სავარაუდოდ შენმა სამსახურმა გაგიადვილა აუტისტის როლის შესრულება სერიალში...

- რა თქმა უნდა, მათ შესახებ ფაქტობრივად ყველაფერი ვიცი, ყოველდღიურად ვუყურებ ამ ადამიანებს. ერთნაირი აუტისტი არ არსებობს, ყველა ინდივიდუალურია.

- მას მერე რაც სერიალში გამოჩნდი, ბევრისგან მსმენია, რომ შენ აუტისტი ხარ...

- ჰო, ვიღაცები დღემდე წერენ სოციალურ ქსელებში, რომ მე მართლა აუტისტი ვარ. ერთხელ ასეთი შემთხვევაც მქონდა. ერთ-ერთ კლუბში მეგობრებთან ერთად ვიყავი. ცეკვის დროს მოვიდა ვიღაც გოგო და მითხრა, როგორ მიხარია აუტისტი რომ არ ყოფილხარო.

- თავად თუ იყავი ამ სერიალის მაყურებელი, სანამ მისი ერთ-ერთი გმირი გახდებოდი?

- არა. ახლაც არ ვუყურებ „ჩემი ცოლის დაქალებს“, იმიტომ არა, რომ კაი ტიპი ვარ, უბრალოდ, ტელევიზორს არ ვუყურებ საერთოდ. ახლა მით უმეტეს, საკუთარი თავის ყურება არ მიყვარს. ეს ხომ სპექტაკლი არ არის, რამე რომ შეცვალო. რომ არ მომეწონოს, მერე? ხომ ვერაფერს შევცვლი. ძალიან თვითკრიტიკული ვარ.

- ქართველი მსახიობებიდან ვის თვლი კარგ მსახიობად?

- ნინო კასრაძე, მიშა გომიაშვილი, ზაზა პაპუაშვილი, გია როინიშვილი. საერთოდ ვფიქრობ, რომ მსახიობები, სპორტსმენები და ხელოვნების სხვა სფეროს წარმომადგენლები არ უნდა მიდიოდნენ პოლიტიკაში. ზაზა პაპუაშვილი ისეთი დონის პოლიტიკოსი ვერასდროს გახდება, როგორი მსახიობიც იყო. მაშინ ჩერჩილი უნდა იყოს და გაუჭირდება.

- ზურა, რით ჰგავხარ შენს გმირს?

- კეთილი და თბილია ირაკლი. ბოროტი არც მე ვარ. ალბათ, ამით. კიდევ ფიზიკურად ვგავარ ძალიან (იცინის). ირაკლივით სახლში სპორტულებით და ოთახის ჩუსტებით არ დავდივარ.

- სამომავლო გეგმებზე რას მეტყვი? თეატრში ახალი სპექტაკლისთვის ხომ არ ემზადებით?

- მოლიერის „სკაპენის ოინებს“ ვდგამთ. მთავარი გმირის ერთ-ერთ მეგობარს ვთამაშობ და კიდევ ერთ-ერთი ლამაზმანის ძიძას. ასე რომ, ქალის როლიც უნდა მოვირგო.

- ზურა, ამბობენ, რომ მსახიობის ცოლობა ცალკე პროფესიაა, როგორ გგონია, შენ როგორი ქმარი იქნები?

- თუ მოუცლელობას არ ჩავთვლით, სხვაფრივ ჩვეულებრივი ადამიანები ვართ მსახიობებიც. არ მგონია ჩემს ცოლობას დიდი ძალისხმევა დასჭირდეს. უბრალოდ, ჯერ ჩემთვის ოჯახი ადრეა, ჯერ ცოლი არ მინდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

TBILISI FASHION WEEK

თბილისის მოდის კვირ

უტყვი სობჩაკი, ნაქცეული მოდელი, ბაბუანვერა და ჭარხალი კაბებზე

თბილისის მოდის კვირეულის რიგით მეთერთმეტე სეზონი 16 აპრილს გაიხსნა და ოთხი დღის განმავლობაში მას „ივერია ჯგუფი“ მასპინძლობდა. ლოკაცია ვარდების მოედანზე განლაგებული საღონისძიებო სივრცე გახლდათ, რომელიც შოურუმსა და 28 მეტრიან პოდიუმს აერთიანებდა. ორგანიზატორების გათვლით მოცემულ სივრცეში 400-ზე მეტი სტუმარი ეტეოდა. რითი იყო გამორჩეული წლევანდელი კვირეული? როგორც მისმა ორგანიზატორმა, თაკო ჩხეიძემ აღნიშნა, წელს ბევრი უცხოელი სტუმარი იყო და კვირეულის ფარგლებში ჩართული იყო ტური. სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისი, მცხეთა, ყაზბეგი. „შაბათ-კვირას ჩვენებები დღისით ავიტანეთ, რადგან მსოფლიოდან მოწვეულ ქუჩის სტილის ფოტოგრაფებს დღის შუქზე ემუშავათ“.

მოდის სფეროს ჟურნალისტებთან ერთად მოდის კვირეულს სტუმრობდა ქსენია სობჩაკიც, რომელთანაც კვირეულის ორგანიზატორები დიდი ხანი აწარმოებდნენ მოლაპარაკებას. ის ანუკი არეშიძის დეფილეს დაესწრო და ქართველ ჟურნალისტებთან კომენტარი არ გააკეთა.

პირველ ლედის მთელი კოლექცია მოეწონა

კვირეული მოდის სახლმა „მატერიალმა“ გახსნა ალექსანდრე ახალკაციშვილის ჩვენებით. ეს ის დიზაინერია ია სუხიტაშვილს თეთრი კაბა რომ შეუკერა „ოსკარებზე“ ჩასაცმელად, თუმცა მსახიობი წითელ ხალიჩაზე ამ კაბით ვერ ვიხილეთ. კოლექცია არ იყო ურიგო, ორი რუხი პალტო მომეწონა კიდეც. მთლიანობაში დიზაინერს მუქი ტონალობა ჰქონდა არჩეული და ქალი, რომელსაც ძლიერი უწოდა, შავსა და ნაცრისფერში გამოაწყო. 30 კოსტიუმზე პერიოდულად იმუშავა. კოლექცია ნაჩვენები იყო მილანში და ბაერები დაინტერესა. კოლექცია გაყიდულია.

ალექსანდრე ახალკაციშვილი:

- საქმიანი, მკაცრი ქალი წარმოვადგინე. ეს ჩემი მეორე დიდი კოლექციაა, რომელიც თბილისის მოდის კვირეულის ფარგლებში წარმოვადგინე. ამ კოლექციის იდეა პიროვნების გაორებაა. სილუეტი კლასიკური და დახვეწილია, რაც ხაზს უსვამს ქალის სიძლიერეს.

ალექსანდრემ გამოიყენა შალი, ქაშმირი, ნატურალური აბრეშუმი და ბამბა. კოლექცია მოეწონათ სტუმრებს.

გიორგი შაღაშვილი:

- საინტერესო კონსტრუქციული ხაზები ჰქონდა. მართკუთხა სილუეტი ძალიან მომეწონა. კარგად ჰქონდა დამუშავებული ყველა დეტალი, ჯიბის სარქველები, ხაზები.

მაკა ჩიჩუა:

- ფერით და სილუეტით ყველა კოსტიუმი მომეწონა. ეს დიზაინერი ჩემთვის აღმოჩენაა. საინტერესოდ მუშაობს. არაჩვეულებრივი სადა პალტოები აქვს. იშვიათად ხდება, რომ მთელ კოლექციაში ყველა სამოსი მოგეწონოს, მე ყველა მომეწონა.

თაკო ჩხეიძე:

- ალექსანდრე ძალიან მიყვარს. ის თბილისის მოდის კვირეულის აღმოჩენაა. ნიუ ქამერების გამარჯვებულია და მოდის სახლ „მატერიალში“ წარმატებით აგრძელებს მუშაობას. ვფიქრობ ღირსეული გახსნა იყო. მის პალტოში თავს კომფორტულად ვგრძნობ.

უკრაინული მსხლები და ჭარხლები

სამამულო წარმოება პოდიუმზე უკრაინულმა შეცვალა და უკრაინელი დიზაინერის დეფილე ვიხილეთ. იულია როგალსკაია ოდესაში მოღვაწე დიზაინერია და თბილისის მოდის კვირეულში მონაწილეობა მისი სურვილი ყოფილა. ფერებსა და სილუეტში აშკარა განსხვავებას შეამჩნევდით. ისეთი მკვეთრი და ნათელი ფერები წარმოადგინა, ქართველთან რომ იშვიათად შეგხვდებათ. მსხლებითა და ჭარხლებით მოხატული აბრეშუმის კაბები და წინდები ჩვენს დიზაინერებთან არ გვხვდება, ამიტომაც ქართველებს გემოვნებით ნამდვილად ვამჯობინებ.

ია კიწმარიშვილი:

- მე ვფიქრობ, რომ უფრო საზაფხულო კოლექცია იყო, ვიდრე შემოდგომა-ზამთრის. განსხვავებული იყო ფერით, სტილით და ჰაეროვნებით.

თაკო ჩხეიძე:

- ჩვენ მეტ დროსა და ფინანსებს მაინც ქართველი დიზაინერების პოპულარიზაციისთვის ვხარჯავთ. მე მგონია, რომ მაინც ქართველი დიზაინერები სჯობს.

bazarr

დეკემბერში პრესა და საagენტოები პრეზიდენტის ქალიშვილის გათხოვების თემამ ააჭრელა. ანა გიგი ჩიჩუას გაჰყვა ცოლად. გიგი მუსიკოს ლევან ჩიჩუას ძმაა. 22 წლის გიგი დიჯეია. თავისუფლების მოყვარული უკომპლექსო ანა კი მუდმივად ექცევა ყვითელი პრესის ყურადღების ცენტრში. ცოტა ხნის წინ ჭორები გავრცელდა - ანა შვილს ელოდებაო. ცრუ განგაში აღმოჩნდა. პრეზიდენტის ქალიშვილი „პრაიმტაიმს“ ბლიც ინტერვიუს აძლევს.

ანა მარგველაშვილი:

- შვილს არ ველოდები. შვილის ყოლას ჯერ არ ვაპირებთ.

- როგორ შეეგუე ცოლის ამპლუას?

- კარგად შევეგუე. არაფერი შეცვლილა, მე და გიგი კარგად ვეწყობით ერთმანეთს. ერთად ცხოვრება კარგად გამოგვდის, ავაწყვეთ.

- არ კინკლაობთ? ეს ქორწინების პირველ ხანებში ხშირია.

- ვკინკლაობთ, მაგრამ არაფერი სერიოზული.

- მამა და გიგი მეგობრობენ?

- დიახ, დამეგობრდნენ და ერთმანეთი ძალიან უყვართ.

ანა მარგველაშვილი: „მამა და გიგი დამეგობრდნენ და ძალიან უყვართ ერთმანეთი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეულის მეთერთმეტე ზონი

ხანძარი კოლექციაში

კვირეულის მერე დღე ბათუმელმა დიზაინერმა თაკო მექვაბიძემ გახსნა. დიზაინერის ინსპირაცია ბავშვობაში განცდილმა შიშმა წამოიღო. შიში ხანძრით იყო გამოწვეული, რომელიც დიზაინერის ქვეცნობიერში იყო დალექილი. თაკომ თემატურად ჟღალთმიან მანიკა ასათიანს გაახსნევინა ჩვენება.

თაკო მექვაბიძე:

- უცხოეთში ქსოვილების საყიდლად რომ ვიყავი, ფოსფორის კანტი ვნახე. სიბნელეში ანათებს. ამ კანტმა ხანძრის თემა მიკარნახა. კოლექციით ვაჩვენე, რომ ქალი შეიძლება იყოს ძლიერიც და მაშველიც.

დიზაინერი ოქტომბერში კიევის მოდის კვირეულში გადის.

ანუკის სურვილიანი ბაბუანვერა

მოდის კვირეულის მესამე დღე ცისფერ გალერეაში საინტერესო იყო ანუკი არეშიძის დეფილეთი. ანუკიმ ამჯერად კოლექციაში ბაბუაწვერის ინსპირაცია გადაიტანა და ამ ყვავილის ჰაეროვნებით შთაგონებულმა ეს შემოდგომა-ზამთრის კოლექციის სილუეტში გამოხატა. ჩვენებაზე ზამთრისთვის უჩვეულო ფერები ვიხილეთ - თეთრი, ვარდისფერი, რომელიც შერწყმულია ლურჯთან და შავ ტონებთან. ნაზი ქსოვილი მისი კოლექციის მნიშვნელოვანი შემადგენელია: ნატურალური ქაშმირი, ორგანზა, კოტონი და პირველად ნაქსოვი სვიტერი კოლექციაში. 38 კოსტიუმზე 5 თვე იმუშავა.

ანუკი არეშიძე:

- ბაბუაწვერები გაზაფხულსა და ზაფხულში ხარობენ და მინდოდა ეს ყვავილი ზამთრის კოლექციაში გამომეყენებინა. მინდოდა 2015-2016 ნლის ანუკის ქალი ყოფილიყო ძალიან ფერადი, გაზაფხულივით ნაზი და ბაბუაწვერასავით ჰაეროვანი. აქცენტი კუბოკრულ ნაჭერზე გავაკეთე. ხელით ნაქარგი მქონდა. ეს კოლექცია პარიზში შოურუმზე იყო წარდგენილი, სადაც ბაერების და პრესის კარგი შეფასება დავიმსახურე. ბაბუაწვერას როდესაც კრეფენ, სურვილს იფიქრებენ და სულს უბერავენ. მეც ჩავიფიქრე სურვილი, შევუბერე - მინდოდა კარგი კოლექცია გამომსვლოდა. ვფიქრობ, რომ ძალიან სწორად მივიტანე საზოგადოებამდე.

ჩვენებას ესწრებოდა ქსენია სობჩაკი, თუმცა მან პრესასთან კომენტარი არ გააკეთა, შევიდა დიზაინერთან და პირადად მიულოცა.

- რა გითხრა ქსენიამ?

- ძალიან მოეწონა კოლექცია. კარგი შეფასებები მივიღე და ემოციებში ვარ.

იყო პატარა ინციდენტი - დეფილეზე ერთი მოდელი წაიქცა. მიზეზი ფეხსაცმელი გახლდათ. მოდელები მაღალი ფეხსაცმლით ცოტა მორყეულად დადიოდნენ.

- ანუკი, რატომ წაიქცა მოდელი? ფეხსაცმლით ცუდად დადიოდნენ.

- მუსიკის ტემპი იყო ჩქარი და ქუსლი მაღალი, 10 სანტიმეტრიანი. მთლიანი ქუსლი იყო და არ უნდა ნაქცეულიყო. ეტყობა თასმა ჰქონდა გახსნილი, ფეხი დააბიჯა და გადაუბრუნდა.

მარია კოლასევა, მოსკოვის მოდის ჟურნალისტი:

- ანუკის თავისი გამოკვეთილი სტილი და სილუეტი აქვს. მაღაზიაში უცებ შეგიძლია მისი სამოსის გამორჩევა. ახალგაზრდა ბრენდისთვის ეს დიდი მიღწევაა. მომეწონა ალექსანდრე ახალკაციშვილის ჩვენება. ღირსეულად გამოიყურებოდა მისი პალტოების კოლექცია.

ბასა ფოცხიშვილი:

- ძალიან ქალური და ავანგარდული კოლექციები აქვს ანუკის. ლურჯი შარვალი და ლაბადა მომეწონა. და ბაფთიანი ფეხსაცმელები.

მაია ფანჯიკიძე:

- ეს ისეთი მოდაა, ყველას შეუძლია ატაროს. მოხერხებული ტანსაცმელი ჩანს. თეთრ პალტოს და კაბას შევიძენდი.



კვირეულში ასევე მონაწილეობდნენ DALOOD-ი, დიანა ქვარიანი, გიორგი შაღაშვილი, გიორგი ქებურია, მარიამ გვასალია, სალი ფანგანი, რია ქებურია და ატელიე „კიკალა“. ჩვენების პარალელურად იმართებოდა შოურუმები, გამოფენები. კვირეული კვირას მოძრაობის თეატრში ავთერფართიმ დაასრულა. მეთერთმეტე სეზონი წარმატებით დასრულდა, ორგანიზატორებიც კმაყოფილნი ჩანდნენ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა პროვოკაციას გეგმავს რუსეთი პანკისში

„კადიროვი არის ფიგურა, რომელიც ძალიან ლოიალურია პუტინის მიმართ“

ირაკლი მამალაძე

სხვადასხვა წყაროების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ჩეჩნეთის რესპუბლიკის ლიდერი, რამზან კადიროვი მასიურად გეგმავს პანკისელებისთვის რუსული პასპორტების დარიგებას და ამ ფორმით ხეობაში საკუთარი ინტერესების გაძლიერებას. ადგილობრივების ინფორმაციაზე დაყრდნობით, რასაც, სავარაუდოდ, სპეცსამსახურები და პანკისის პრობლემით დაინტერესებული ადამიანებიც ფლობენ, ე.წ. პასპორტიზაციის პროცესს მასიური სახე ჯერ არ მიუღია, თუმცა საფრთხეს შორიდან თვალყურს ადევნებენ და სწავლობენ. რა შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ პანკისში კადიროვის ხელით რუსული პასპორტები დარიგება და ვის ინტერესებში შეიძლება შედიოდეს, ამ გზით სამხედრო ავანტიურის გამოწვევა რეგიონში. ამის გარკვევას, საზოგადოება „ივერიის“ დამფუძნებელთან – ნიკა რურუასთან და პარლამენტის წევრთან უმრავლესობიდან, ირაკლი სესიაშვილთან შევეცადეთ.

ნიკა რურუა:

– კადიროვი არის ფიგურა, რომელიც ძალიან ლოიალურია პუტინის მიმართ და ამიტომაც აკეთებს ავტონომიურ სვლებს. სწორედ პუტინი აძლევს მას საშუალებას, რომ თვითშემოქმედებითი სვლები გააკეთოს. ამიტომაც არ გამოვრიცხავ, რომ პასპორტების დარიგებაც მისი ინიციატივა იყოს, ან პუტინის, რომელსაც კადიროვი ახორციელებს. ორივე შემთხვევა ძალიან საშიშია. როგორც წესი, პასპორტების დარიგებას მოჰყვება ხოლმე სამხედრო ავანტიურა. ეს ბუნებრივად ხდება, არიგებენ პასპორტებს და იწყებენ თავიანთი მოქალაქეების დაცვას. ამიტომ, თუ ეს მართლაც ასეა, სასწრაფოდაა აღსაკვეთი და ის ხალხი, ვისაც ორმაგი პასპორტი აქვს, უბრალოდ, როგორც კანონდამრღვევები, კონკრეტული სამართლებრივი ქმედების წინაშე უნდა დადგნენ.

– პანკისის ხეობაში არიან ვაჰაბისტები, კადიროვი კი, როგორც ვიცით, ვაჰაბიზმს ებრძვის. როგორ ფიქრობთ, რატომ უნდა აწყობდეს მას ამ ხეობის პასპორტიზაცია?

– კადიროვი არის ძალიან თავგზააბნეული ახალგაზრდა, რომელსაც ავანტიურისტული იდეები აწუხებს და რახან მას აქვს კარტბლანში პუტინისგან, შესაძლოა რაღაც სისულელეები პირადად მან ჩაიდინოს. ამიტომ საფრთხილოა ნებისმიერი ურთიერთობა პანკისელებთან. ასე რომ, მისი დახმარება პანკისელებს არ სჭირდებათ. კადიროვის პირველ რიგში! იმიტომ, რომ ეს ადამიანი არის თავისი ერისა და ხალხის მოღალატე.

– არის საშიშროება, რომ მან საქართველოს წინააღმდეგ ვაჰაბისტები გამოიყენოს?

– თქვენ მითხარით, რომ ის ებრძვის ვაჰაბიზმს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან ვერ მოახერხოს მათი გამოყენება. რა თქმა უნდა, ადვილი შესაძლებელია, მოკლევადიანი ურთიერთობა და საერთო ინტერესები გამონახონ. ჩვენ არ უნდა დავასკვნათ, რომ იგივე პანკისელი ვაჰაბისტები და კადიროვი დაუძინებელი მტრები არიან და ვერ ითანამშრომლებენ. არა, ეს ასე არ არის, შეიძლება დაუძინებელმა მტრებმაც დაამთხვიონ ერთმანეთს თავიანთი მიზნები, ამიტომ ეს კავშირები ჩასაჭრელია. ჩვენ, როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ, უნდა გავაკონტროლოთ საზღვარი, რომ ეს კავშირები მინიმუმამდე დავიდეს.

– პანკისელი ვაჰაბისტების მიერ სირიაში გაგზავნილ მეომრებთან დაკავშირებით რამდენად კრიტიკულია ხეობაში სიტუაცია?

– ძალიან სახიფათოა ის, რაც ხდება. ჩვენ გავაკეთეთ განცხადება ამასთან დაკავშირებით, რაც გაავრცელა კიდეც საზოგადოება „ივერიამ“. ქვეყნის რეპუტაციისა და სანდოობისთვის სერიოზული რისკია, თუ ჩვენი მოქალაქეები რეკრუტირებული იქნებიან სირიაში, „ISIS“ ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობის მისაღებად. სულ რამდენიმე ადამიანის წასვლაც კი საკმარისია, რომ ქვეყნის იმიჯი დაზიანდეს. შეიძლება საფრანგეთიდანაც წავიდნენ და შვედეთიდანაც, მაგრამ ამ ქვეყნებს ბევრი არაფერი დაუშავდებათ, იმიტომ, რომ ისინი ძლიერი, დაცული და ჩამოყალიბებული ქვეყნები არიან. ჩვენ კი, როცა დაცვის მყარი გარანტიები არ გვაქვს, ჩვენი საერთაშორისო რეპუტაციისათვის ეს ძალიან ცუდია. საშიში კიდევ იმიტომ, რომ შეიძლება სამხედრო ავანტიურის მიზეზი მივცეთ პუტინს.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშრობის კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი პანკისში პასპორტების მასობრივად დარიგების ფაქტს გამორიცხავს. რაც შეეხება ხეობაში არსებულ საფრთხეს და გამოწვევებს, სესიაშვილი დარწმუნებულია, რომ სიტუაციას სახელმწიფო აკონტროლებს.

ირაკლი სესიაშვილი:

– რუსული პასპორტების დარიგებასთან დაკავშირებით შემიძლია, გითხრათ, რომ ამაზე პასუხი არის ძალიან მარტივი. ასე რომ, თუ ვინმე გადაწყვეტს, რუსული პასპორტი აიღოს, მათ საქართველოში დაბრუნება ვიზის საშუალებით მოუწევთ. სახელმწიფო ფლობს სიტუაციას. მოგეხსენებათ, პანკისს აქვს განსხვავებული სპეციფიკა და ამ სპეციფიკის მიხედვით მუშაობენ სპეცსამსახურები, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება. ასე რომ, ვფიქრობ, საქმე გვაქვს სიტუაციის დრამატიზებასთან. არის იქ პრობლემები. როგორც იცით, სირიაში მიდიან პანკისის ხეობიდან, მაგრამ ხელისუფლებამ იმუშავა და შემცირებულია ეს რიცხვი. სტატისტიკა რომ ავიღოთ, მაგალითად: გერმანიიდან 70-ამდე ქალია წასული და იბრძვის იქ. მათ შორის ქრისტიანებიც. რაც შეეხება პანკისიდან წასულებს, ისინი ძირითადად არჩევნებამდე გავიდნენ და იქ არიან. ის ადამიანები, მათ შორის საველე მეთაურები, ვინც დაბრუნებას არც აპირებენ.

– ახლაც ხომ მიდიან სირიაში და ეს ფაქტები დადასტურდა...

– თუ ვინმე ახალ შემთხვევებზე საუბრობს, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ეს არის ზღვაში წვეთი. აქ არის კომპლექსური პრობლემა, იდეოლოგია, დამფინანსებლები, რომლებიც სხვადასხვა მეთოდებს იყენებენ ე.წ. „ვერბოვკისთვის“, მაგრამ მუშაობს სპეცსამსახურები და გვაქვს კარგი შედეგი. დღეს თუ შედარებით მცირე ციფრია, სხვა წლებთან შედარებით, ეს ძალიან აქტიური მუშაობის შედეგია. ბოლოს იცით, რომ ბავშვები „დაავერბოვკეს“. ეს იმიტომ, რომ შედარებით მართვადები არიან. სხვებთან რომ ვერ გაუვიდათ, ბავშვებს მიადგნენ. ამიტომაც ეს არის პრობლემა მთელი მსოფლიოსთვის და ამას მხოლოდ ჩვენი ძალებით ვერ გავუმკლავდებით.

– ვიცით, რომ პანკისში არიან ვაჰაბისტები, ჯიჰადის მიმდევრები. რას აკეთებს ხელისუფლება იმისთვის, რომ ამ რეგიონში ტრადიციული ისლამის მიმდევრები გაძლიერდნენ, რომელთათვისაც ვაჰაბიზმი მიუღებელია?

– არსებობს რელიგიური საკითხების სააგენტო და ჩვენ ტრადიციული ისლამის მიმდევრებს ვუფინანსებთ პროექტებს მათ შორის პანკისში ტრადიციული ისლამის მიმდევრები ფინანსდებიან სახელმწიფოსგან. მათ ოფიციალურად უფინანსდებათ კონკრეტული პროექტები. ეს კეთდება იმისთვის, რომ ტრადიციული ისლამი გაძლიერდეს. პარალელურად მუშაობს სპეცსამსახურები, რათა არ მოხდეს სხვა, არატრადიციული და რადიკალური რელიგიური ჯგუფების გაძლიერება. შედეგები გვაქვს, მაგრამ ამაზე ღიად ვერ ვისაუბრებ.

– შეგიძლიათ, გვითხრათ იგივე სპეცსამსახურები თუ მუშაობენ სირიაში წასული პანკისელების უკან დაბრუნებაზე?

– ნაწილი თავისთავად დაბრუნდა საკუთარი ნებით, რადგან იქ სხვა მოლოდინები ჰქონდათ, რაც არ დახვდათ ადგილზე და დაბრუნდნენ. ნაწილი მას შემდეგ დაბრუნდა, რაც ჩვენ კანონზე დავიწყეთ მუშაობა, რომელიც უკრძალავს მათ უკან დაბრუნებას, ან თუ დაბრუნდებიან, პასუხისგებაში მიეცემიან. ამან პრევენციულად იმუშავა და გვაქვს რაღაც შედეგი. ეს ყველაფერი რაღაც დონეზე მუშაობს, მაგრამ მთავარია, ადგილობრივი მოსახლება დაგვიდგეს გვერდში. უფრო სწორად, ქვეყანასა და თავიანთი ოჯახის წევრებს დაუდგნენ გვერდით. ბევრმა იცის რაღაც და არ ამბობს. ბევრიც თვალს ხუჭავს. აქ არ არის ისე, რომ მარტო ხელისუფლების პრობლემაა პანკისი. როდესაც შენი მოქალაქე უცხო ქვეყანაში საბრძოლველად მიდის, ეს საერთო პრობლემაა.

რა EXCLUSIVE ინტერესები შეიძლება ჰქონდეს კადიროვს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დაჩი კოპაძე: „ჩემი მეორე ნახევარი არასდროს გამიბედავს მოკლე კაბის ჩაცმას“

„ქართულ ტრადიციულ ოჯახში გავიზარდე. ჩემი კანონები, წესები, პრინციპები მაქვს, რომელსაც, რაც არ უნდა მოხდეს, ვერ გადავუხვევ“

my View
ნინო მჭედლიშვილი

რაგბისტი, დაჩი კოპაძე „ორი ვარსკვლავის“ ის კონკურსანტია, რომელმაც თინეიჯერი გოგონების გული სცენაზე პირველივე გამოჩენისთანავე მოიგო. მასთან პირდაპირ ეთერში ფლირტს არც ჟიურის ერთ-ერთი წევრი, თეონა კონტრიძე ერიდება. კონკურსის ყველაზე ენერგიული და როგორც თავად ამბობს, „ბუთქუჩა“ ჟიურის წევრი, დაჩის შეფასებისას ხშირად უსვამს ხაზს რაგბისტის ვიზუალურ მხარეს. მაყურებლის წყალობით დაჩისა და ანანო მჟავიას წყვილი მხოლოდ ორჯერ იდგა აუტსაიდერებში. რაგბისტი ფინალშია და სამშაბათს გაირკვევა, ვინ გახდება პროექტის გამარჯვებული, დაჩი კოპაძე თუ გოდერძი შარაშია. მანამდე დაჩისთან ექსკლუზიურ ინტერვიუს გთავაზობთ. მორაგბე კლუბ „ლელოში“ და შვიდკაცა ნაკრებში თამაშობს. ჟურნალისტებს გაურბის, ამბობს, რომ არაფერი გაუკეთებია ისეთი, მასზე რომ წერონ.

- დაჩი, როგორ მოხვდი „ორ ვარსკვლავში“?

- ეს ამპლუა წარმოუდგენელი იყო ჩემთვის. მხოლოდ სახლში, მეგობრების წრეში ვმღეროდი, ისიც დიდი ხვეწნის მერე. ჯერ კიდევ წინა სეზონზე მთხოვა მეგობარმა, მიიღე მონაწილეობაო და უარი ვუთხარი. მეორე სეზონზეც მეგობრები შემომიჩნდნენ და დამიყოლიეს. გამოვცადე თავი და მოვედი ფინალამდე. ეს ამბავი ძალიან მახარებს, ვგრძნობ ხალხის მხარდაჭერას, სიყვარულს, ეს დიდი სტიმულია ჩემთვის.

- პირველ გამოსვლაზე განსაკუთრებით ინერვიულე, ალბათ...

- ეს იყო კატასტროფა. ტექნიკური ხარვეზიც იყო, მაგრამ მაინც ჩემს თავს ვაბრალებ. მუსიკა ვერ გავიგონე და სხვა ტონალობაში დავიწყე სიმღერა. მერე, ერთ მომენტში წინ მოვდიოდით მე და ანანო, დინამიკთან მოვხვდი, გავიგე მელოდია და გამოვასწორე. ჟიური რომ გვაფასებდა, არაფერი გამიგია. ეს რა გავაკეთე, რატომ დავთანხმდი-მეთქი, ვფიქრობდი. ერთი სული მქონდა როდის მოვიდოდა მეორე ტური, რომ გამომესწორებინა შეცდომა. ძალიან რთული ყოფილა ამხელა აუდიტორიის წინაშე სიმღერა. ამ პროექტში დავაფასე მომღერლები (იცინის).

- კონკურსანტები პეჩოს მონაწილეობას აპროტესტებდნენ შოუში, ამბობდნენ, რომ ის მუსიკოსია და მასთან პაექრობა არ იყო სწორი. შენც ასე თვლი?

- პეჩო ჩემი ფავორიტი იყო. ჟიურიში რომ მჯდარიყო, სიამოვნებით მოვისმენდი მის შენიშვნებს. ყველა გამოსვლაზე ამტკიცებდა, რომ მაგარი მომღერალია. რა თქმა უნდა, ვისურვებდი თანაბარი ძალის კონკურსანტს შევჯიბრებოდი, მაგრამ პროექტის მესვეურებმა ასე გადაწყვიტეს. მართალი გითხრა, უხერხულობის მომენტიც კი მქონდა, ის რომ პროექტიდან წავიდა და მე დავრჩი.

- ამ პროექტმა, ალბათ, პოპულარობა მოგიტანა. ეს იყო შენი მიზანი?

- მაქსიმალურად ვცდილობ თავი ავარიდო ზედმეტ ყურადღებას. მეზედმეტება, თავმდაბალი ვარ, მეუხერხულება რომ მცნობენ, მიღიმიან. ვინც უნდა მიცნობდეს, ისინი ისედაც მცნობენ. ჩემი მიზანი პოპულარობა ნამდვილად არ ყოფილა, მეგობრებს გავუწიე ანგარიში, თან აქ კარგად ვერთობი, მომწონს.

- ინტერვიუებზეც უარს ამბობ, ცოტა გამიჭირდა შენი დათანხმება. რატომ?

- ერთი ჩვეულებრივი ბიჭი ვარ, სალაპარაკოც არაფერია.

- რაგბი როგორ შემოვიდა შენს ცხოვრებაში?

- ჩემი ძმა, თენგო, კალათბურთელია. მასთან ვარჯიშზე რომ მივდიოდი, მწვრთნელები მეუბნებოდნენ, მოდი, შენც ივარჯიშეო. რატომღაც არ მიმიზიდა კალათბურთმა. უბნელებთან ერთად დავიწყე რაგბზე სიარული. თავიდან უბანში ვთამაშობდით რაგბის ბურთით, მერე ერთად მივედით ერთ გუნდში და ერთად დავდიოდით ვარჯიშზე, 11-12 წლისანი ვიყავით, ავიდოდით ყვითელ ავტობუსში, ნომერიც მახსოვს (იცინის), 87 იყო და გვიხაროდა ვარჯიშზე წასვლა. არც არავისთვის გვიკითხავს რაგბზე უნდა შევიდეთო. ჩემმა მშობლებმა რომ გაიგეს, უკვე მონამლული ვიყავით ამ სპორტით. მერე უმაღლეს გუნდში გადავედი, ნაკრებში მოვხვდი. ყველა ახალგაზრდულ ნაკრებში ნათამაშები მაქვს, ევროპის ჩემპიონებიც ბევრჯერ ვყოფილვართ.

- პროფესიით ვინ ხარ?

- მსახიობობა მინდოდა, მაგრამ ისეთი მორიდებული ვარ, მივხვდი ჩემგან მსახიობი არ გამოვიდოდა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე ილიას უნივერსიტეტში. ეს ფაკულტეტიც დედაჩემმა ჩაწერა. რამდენიმე კურსი დავხურე და აკადემიური ავიღე რაგბის გამო.

- მოგიმზადებია სიუჟეტი ან სტატია?

- კი, ტელეჟურნალისტიკაზე ვსწავლობდი. მახსოვს, ცნობილ ადამიანებს ვსტუმრობდი და ვეკითხებიდი, როგორ უნდა შეხვედროდნენ ახალ წელს, რა ტრადიციები ჰქონდათ ამ დღესასწაულთან დაკავშირებით. ახლა მეცინება ამ ყველაფერზე.

- თეონა კონტრიძის კომენტარებზე მინდა გკითხო, არასდროს მალავს სიმპათიას შენ მიმართ. რა გრძნობაა, როცა ჟიურის ერთ-ერთ წევრს განსაკუთრებით მოსწონხარ?

- მე ამას ვერ ვგრძნობ. ვაფასებ ამ ადამიანს, ვთვლი, რომ თავის საქმის პროფესიონალია, სწორ შენიშვნებს იძლევა, ვერ გამოაპარებ ვერაფერს.

- მას მერე რაც პროექტში გამოჩნდი, ალბათ, თაყვანისმცემელი გოგონების რიცხვმა მოიმატა... როგორია დაჩი სასიყვარულო ურთიერთობისას, აზიატი უფრო ხარ თუ ევროპელი?

- ქართულ ტრადიციულ ოჯახში გავიზარდე. ჩემი კანონები, წესები, პრინციპები მაქვს, რომელსაც, რაც არ უნდა მოხდეს, ვერ გადავუხვევ. ჩემი მეორე ნახევარიც ჩემს გზაზე ივლის, იმას გავაკეთებთ, რაც ორივეს მოგვეწონება. რაც ჩემთვის მისაღები იქნება, მისთვისაც მისაღები უნდა იყოს.

- თუ რაღაცაში არ გეთანხმება?

- გააჩნია რაში. არის მომენტები, როცა შეიძლება დაუთმო და ასიამოვნო ქალს... მომთხოვნიც ვარ. მკაცრიც.

- რაში გამოიხატება შენი სიმკაცრე, სად მიდიხარ, რომელ საათზე მოხვალ, ეს არ ჩაიცვა?

- ვფიქრობ, ჩემი მეორე ნახევარი არასდროს გამიბედავს მოკლე კაბის და დეკოლტის ჩაცმას,

როგორც არ უნდა უხდებოდეს. თუმცა, ქალი ყველაფერში არ უნდა შეზღუდო, გარკვეული თავისუფლება უნდა მისცე.

- თუ მოსწონს მოკლე კაბა და ლამაზი ფეხებიც აქვს, რატომ არ უნდა გამოაჩინოს?

- თუ ასეთი გოგო იქნება, თავიდანვე არ მომეწონება.

- გამოდის, რომ დაჩის არ მოსწონს მოკლეკაბიანი გოგონები სერიოზული ურთიერთობისთვის?

- დიახ, რა თქმა უნდა. მე მინდა ჩამოყალიბებული აზროვნების ქალი, წესიერი, კულტურული, განათლებული...

- კარგი ოჯახის შვილი...

- კარგი ოჯახის შვილი არა, თვითონ უნდა იყოს კარგი, ესაა მთავარი. ჩემთვის იდეალური ქალი არ უნდა იყოს გამომწვევი, ვულგარული. სადად უნდა იცვამდეს. ქალის სილამაზე გრძელ კაბაშიც ჩანს, არ არის აუცილებელი ყველაფერი „გადმოყაროს“. ბევრს შეიძლება გაეცინოს ამაზე, მაგრამ ოჯახში ვულგარულად ჩაცმული ქალი არავის უნდა. მოკლედ, კაცი ოჯახის კისერი უნდა იყოს, ქალი თავი. შენ უნდა მართო, საითაც გინდა იქით მიაბრუნო.

- იმ მამაკაცების კატეგორიას მიეკუთვნები, რომლებიც თვლიან, რომ ქალი სამზარეულოში უნდა იყოს?

- არა. ქალი სამზარეულოშიც უნდა იყოს და ყველგან, სადაც საჭიროა.

- მაგალითად, მეგობრებთან ერთად რესტორანში რომ წავიდეს უშენოდ, შეიძლება?

- არა. მე არ ვენდობი სხვას. იმდენი გადარეული დადის, მით უმეტეს რომ დალევენ... გვერდით უნდა ჰყავდე მეორე ნახევარს ამ დროს. ეს ყურადღებაა და არა ეჭვიანობა.

- კარგი, პროექტს დავუბრუნდეთ. შენს მეწყვილეზე, ანანო მჟავიაზე რას მეტყვი?

- ყველაზე მაგარი მეწყვილე მყავს. სხვა კონკურსანტებთან შედარებით ყველაზე გამოუცდელი ვარ. სცენაზე დგომა, პირდაპირი ეთერი, აქამდე უცხო იყო ჩემთვის. ანანო მჟავიას ჰყავს მეწყვილე, რომელიც არაფრის აზრზე არ არის, მოიყვანეს და პირდაპირ მიკროფონი დააჭერინეს ხელში (იცინის). ანანო ყველა ნიუანსს და ყველა დეტალს ისე მიხსნის, მართლა დებილი და უნიჭო უნდა იყო, რომ ვერ ისწავლო.

- პროექტის გამარჯვებულს რა პრიზი ეკუთვნის?

- „კიას“ ჩუქნიან, ოღონდ რომელს, არ ვიცი, იმდენად არ ვფიქრობ პრიზზე... ჩემთვის მთავარია სიმღერა როგორ გამომივა. რასაც ვაკეთებ, ვცდილობ ხარისხიანი იყოს. შესაბამისად, ფინალშიც ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ გავიმარჯვო.

- მანქანა გყავს?

- კი, მანქანაც, მოტოციკლიც.

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლევან ყიფიანი ესპანეთში ისვენებს

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი, ლევან ყიფიანი ესპანეთში უკვე კვირაზე მეტია ისვენებს.

როგორც სამინისტროდან შევიტყვეთ, მინისტრმა ესპანეთში შვებულების გატარება გადაწყვიტა.

ბოლო ორი კვირის განმავლობაში, ყიფიანის წინააღმდეგ მასალები საქართველოს პარლამენტის სპორტის კომიტეტმა პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილს გადაუგზავნა და ყიფიანის კომპეტენცია კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. შემდეგ იყო დახურული შეხვედრა სპორტული ფედერაციების წარმომადგენლებთან და ბოლოს ყოფილ პრემიერთან, ბიძინა ივანიშვილთან, სადაც პარლამენტის სპორტის კომიტეტის წევრებიც იმყოფებოდნენ.

როგორც ჩანს, ყიფიანმა მიიღო გარანტიები, რომ პოსტს შეინარჩუნებს და მშვიდად გაეშურა ესპანეთში ძალების აღსადგენად.

რომან ფიფია მხარს ლევან კობიაშვილს დაუჭერს

წელს, საქართველოში, სავარაუდოდ შემოდგომაზე, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება. არჩევნების თარიღი ჯერ უცნობია, რომელსაც მოქმედი პრეზიდენტი, ზვიად სიჭინავა, აგვისტოში, უეფას სუპერთასის დასრულების შემდეგ გამოაცხადებს.

საპრეზიდენტო მარათონში რამდენიმე კანდიდატი უკვე ჩაბმულია. უკვე ცნობილია, რომ პრეზიდენტის პოსტისთვის ლევან კობიაშვილიც იბრძოლებს. ამის სურვილი რომ თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტს, რომან ფიფიასაც აქვს, არაერთხელ უთქვამს ჟურნალისტებისთვისაც. თუმცა, როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე, ფიფია ლევან კობიაშვილის მხარდამჭერი იქნება და სწორედ მას დაუჭერს მხარს.

ჭანტურიამ იტალია გადაწყვიტა

რუმინული „კლუჟის“ ქართველმა თავდამსხმელმა იტალიაში დაბრუნება მკაცრად გადაწყვიტა.

გავრცელებული ხმები, რომ ახალგაზრდა ფორვარდი ისევ კლუჟში, მაგრამ სხვა გუნდში, „უნივერსიტატაში“ გააგრძელებდა, თავად ჭანტურიამ „პრაიმტაიმთან“ საუბარში უარყო და განაცხადა, რომ ამ კვირაში იტალიაში გაემგზავრება, სადაც გადაწყდება „ვერონაში“ დარჩენის საკითხი.

„პატიმრები რომ დღეებს ითვლიან, ისე ვარ“, - განაცხადა ჭანტურიამ.

მის გუნდს, ფინანსური კრიზისის გამო 25 ქულა დააკლეს და ამიტომ ახლა გასავარდნ ზონაში იმყოფება. ფეხბურთელის მტკიცე გადაწყვეტილებით, ის სერია A-ს დაუბრუნდება.

„ზესტაფონის“ არსებობის საკითხი სამშაბათს გაირკვევა

ღრმა ფინანსურ კრიზისში მყოფი საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონის“ არსებობა-არარსებობის საკითხი, 21 აპრილს გახდება ცნობილი.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო რიგგარეშე სხდომას გამართავს, რომელზეც მხოლოდ ერთი საკითხი განიხილება - ადგილობრივი კლუბის კრიზისიდან გამოყვანისა და დაფინანსების.

თუკი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე, კახა შავგულიძე კვლავ არადამაკმაყოფილებლად ჩათვლის გუნდის დასაფინანსებელ არგუმენტებს, იმერული კლუბი თავს ოფიციალურად დაშლილად გამოაცხადებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დავით ლომაია დაქორწინდა

საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ ფეხბურთელმა, დავით ლომაიამ ცოლი მოიყვანა.

მისი რჩეული სოფო მეტრეველია. წყვილი ორი წელი იყო შეყვარებული, 14 აპრილს კი ურთიერთობა ოფიციალურად გააფორმეს.

29 წლის ფეხბურთელის მეუღლე, სოფო მეტრეველი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტია და ბიზნესადმინისტრირების ფაკულტეტზე სწავლობს.

საქორწინო მოგზაურობაში ახალგაზრდა წყვილი, ტაილანდში, საფეხბურთო სეზონის დასრულების შემდეგ გაემგზავრება.

რუსთავის „მეტალურგში“ საგამოძიებო უწყება შევიდა

საფეხბურთო კლუბ რუსთავის „მეტალურგში“ პროკურატურა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო უწყება ერთდროულად შევიდა.

ძიების ინტერესს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ კლუბისთვის გადარიცხული თანხის მიზნობრივად ხარჯვის გარკვევა წარმოადგენს. „მეტალურგის“ ამჟამინდელ ხელმძღვანელობასა და მის პრეზიდენტს, კახა მენთეშაშვილს, ქართული ფეხბურთის მმართველი ორგანოსთვის ამ დრომდე არ წარუდგენია ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი, თუმცა სატელეფონო საუბარში მენთეშაშვილი აცხადებს, რომ თანხა მიზნობრივად დაიხარჯა.

როგორც ჩანს, მისი სიტყვა სანდო არ არის საგამოძიებო უწყებებისთვის. გუნდი, რომელიც მისმა ამჟამინდელმა მფლობელმა სიმბოლურ ლარად ჩაიგდო, ფინანსური მაქინაციების წყარო გახდა.

პარაოლიმპიური სპორტული ცეკვების საერთაშორისო ტურნირზე პირველად ქართველი მოცეკვავეები გამოვლენ

პროექტ „ნიჭიერის“ მეხუთე სეზონის გამარჯვებულები ქეთი ზაზანაშვილი და თემო არაბიძე პარაოლიმპიური სპორტული ცეკვების საერთაშორისო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას.

მოცეკვავეთა წყვილი ყაზახეთში უკვე გაემგზავრა.

შეჯიბრება, რომელშიც 40-ზე მეტი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი გამოვა, პრესტიჟულ ტურნირებს განეკუთვნება. ქართული დელეგაცია აღნიშნულ ტურნირში საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტის ინიციატივით და მხარდაჭერით მონაწილეობს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ფუტსალის ასოციაცია სასამართლოს მიერ ლევან ცქიტიშვილის გამართლებას სფფ-ში მოახლოებულ არჩევნებს უკავშირებს

„რატომ გამოიტანა მოსამართლემ ეს გადაწყვეტილება, დასაბუთებულ განჩინებას ველოდებით“

მაგდა კლდიაშვილი

ფუტსალის ასოციაციის დასაბრუნებლად კვლავ არ ნებდება ყოფილი პრეზიდენტი ლევან ცქიტიშვილი, რომელმაც ცოტა ხნის წინ საოლქო სასამართლოში სასამართლო პროცესი მოიგო და პრეზიდენტობის პოსტის დაბრუნებას მოითხოვს. ფუტსალის ასოციაციის მოქმედი ხელმძღვანელობა კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მოახლოებულ არჩევნებს უკავშირებს ამ ყველაფერს. საუბარია, ვიცე-პრემიერ კახი კალაძეზეც, რომელიც ცქიტიშვილის მეგობარი და ამავდროულად, პრეზიდენტობის კანდიდატის, ლევან კობიაშვილის თანამოაზრეცაა. რა ხდება ფუტსალში და ვის დარჩება არჩევნებში ასოციაციის ხმა.

მას შემდეგ, რაც ფუტსალის ასოციაციის ყრილობამ ლევან ცქიტიშვილი გადაირჩია და პრეზიდენტად ვახტანგ წერეთელი აირჩია, ლევან ცქიტიშვილმა ცალკე ყრილობაც გამართა, სადაც მის მიერ შეკრებილმა და ხმის მიმცემ სუბიექტებად აღიარებულმა პირებმა ისევ ცქიტიშვილი აირჩიეს პრეზიდენტად. თუმცა, საჯარო რეესტრმა, ცქიტიშვილის ყრილობა არალეგიტიმურად ცნო და პრეზიდენტად ვახტანგ წერეთელი აღიარა. მოგვიანებით, ცნობილი გახდა, რომ სპორტული ვაჭრობის საგნად აქცია ცქიტიშვილმა ასოციაცია და ამაზე „პრაიმტაიმი“ წერდა კიდეც, მან ვახტანგ წერეთელს ვიცე-პრეზიდენტის პოსტის სანაცვლოდ, სასამართლოდან სარჩელის გამოტანა შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო.

გარდა ამისა, სფა-მ „პრაიმტაიმს“ მიაწოდა დოკუმენტი, რომლის ინფორმაციითაც, ლევან ცქიტიშვილს ასოციაციის ანგარიშებიდან რამდენიმე ათეული ათასი ჰქონდა ხელზე გამოტანილი, თავის დროზე, ცქიტიშვილმა ამაზე პასუხი არ გასცა „პრაიმტაიმის“ კითხვებს და განაცხადა, რომ თავად მორიგდებოდნენ ერთმანეთში მხარეები. დღეს კი, ლევან ცქიტიშვილი საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით გამარჯვებულია, მოქმედი ხელმძღვანელობა კი განჩინების ჩაბარების შემდეგ მის გასაჩივრებას აპირებს. მოსამართლის გადაწყვეტილებას კი მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირებს. ცნობილია, რომ მოქმედი ხელმძღვანელობის ფავორიტი რევაზ არველაძეა, ცქიტიშვილის ფედერაციაში დაბრუნებით კი სფფ-ს საპრეზიდენტო არჩევნებზე ხმას ლევან კობიაშვილი მიიღებს.

გასული წლის ზაფხულში, ვახტანგ წერეთელმა პრეზიდენტის პოსტი დატოვა, მის ნაცვლად კი ვიცე-პრეზიდენტი, ზვიად ხაჩიაშვილი აირჩიეს. „პრაიმტაიმის“ შეკითხვებს სწორედ ფუტსალის ასოციაციის მოქმედი პრეზიდენტი უპასუხებს:

ზვიად ხაჩიაშვილი, ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტი:

- დავა დიდი ხანია მიდის. სასამართლომ, ბოლო პროცესზე გადაწყვეტილება ლევან ცქიტიშვილის სასარგებლოდ გამოიტანა. სასამართლო თვლიდა, რომ ვახტანგ წერეთლის არჩევა არაკანონიერად მოხდა. საუბარი იყო სამ ოქმზე. რაც მოითხოვა მოსამართლემ, რაშიც ეწვი ეპარებოდა, ეს იყო, შედგა თუ არა კვორუმი და არსებობდა თუ არა დედანი. ჩვენ ეს დედანი მივიტანეთ და წარვადგინეთ სასამართლოში. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო იმ ხალხმა, ვინც ცქიტიშვილი აირჩია და შემდეგ გადაირჩია. რატომ გამოიტანა მოსამართლემ ეს გადაწყვეტილება, დასაბუთებულ განჩინებას ველოდებით.

- სასამართლო განხილვა იყო?

- განაჩენის გამოცხადება განხილვის გარეშე მოხდა. მანამდე ბიუროკრატიული პროცესი მიდიოდა, საბუთების მოთხოვნა. რაც მოსამართლემ მოითხოვა ჩვენგან, ყველაფერი ჩავაბარეთ. გვაინტერესებს, რის საფუძველზე ცნო არაკანონიერად სასამართლომ ყრილობის ოქმი. ახსნა-განმარტებები არ გაკეთებულა. შეიძლება, იურიდიულად სწორია, მაგრამ ჩვენ უნდა ჩაგვბარდეს საფუძვლიანი განჩინება.

- აპირებთ გასაჩივრებას?

- რა თქმა უნდა, ვაპირებთ, მაგრამ, ვიმეორებ, უპირველესად, გვაინტერესებს, რის საფუძველზე მოხდა ამ გადაწყვეტილების მიღება. ერთ თვეში უნდა ჩაგვბარდეს გადაწყვეტილება და ორი კვირის ვადაში გვექნება გასაჩივრების უფლება.

- ცქიტიშვილი ფეხბურთის ფედერაციასაც ადანაშაულებდა, რომ არალეგიტიმური პრეზიდენტი აღიარეს...

- ფედერაცია საერთოდ არ ჩარეულა ამ პროცესებში. როგორც კი წარვადგინეთ ყრილობის ოქმი რეესტრში, ეს მოხდა სრულიად კანონიერად, რეესტრიდან ამონაწერი ამოვიღეთ, რომ ვახტანგ წერეთელი იყო პრეზიდენტი, მე და ლევან გრიგოლია კი ვიცე-პრეზიდენტები, ავტომატურად, ყველა საბანკო მომსახურება გადმოვიდა ჩვენს სახელზე. ეს დოკუმენტები წარვადგინეთ ფედერაციაში. კერძოდ, პრეზიდენტთან, ზვიად სიჭინავასთან.

- საბანკო ამონაწერიდან გაირკვა, რომ ყოფილ ხელმძღვანელს არამიზნობრივი ხარჯვა ჰქონდა. რატომ არ მიდის გამოძიება ამაზე?

- ვერ გეტყვით, რატომ არ მიმდინარეობს. ჩვენ საგამოძიებო უწყებას მივმართეთ მაშინვე, როგორც კი პრეზიდენტი ვახტანგ წერეთელი გახდა. მთლიანმა გამგეობამ, ჩვენ გვსურდა საბუთების გადმობარება, რომელიც ვერ მივიღეთ, არ ვიცი არსებობდა თუ არ არსებობდა. საბანკო ამონაწერი მოვითხოვეთ, მივიღეთ ისეთი გადარიცხვები, რომლებიც იყო არაკანონიერი.

- რა ოდენობის თანხა გაიტანა ხელზე ცქიტიშვილმა?

- რამდენიმე ათეულ ათასზეა საუბარი. სწორედ ამიტომ მოვითხოვეთ საბუთები და ახსნა-განმარტება, რომ შემდეგ პრობლემა არ ყოფილიყო ჩვენი ხელმძღვანელობის დროს.

- ის დავალიანება, რომელიც ასოციაციას ფედერაციისადმი ჰქონდა, გასწორდა?

- არ არის დაბრუნებული. ზვიად სიჭინავა არაფერს ამბობს, მაგრამ ბუღალტერიაში სულ არის საუბარი, რომ დავალიანება გვაქვს და ადრე თუ გვიან, ის უნდა დაბრუნდეს. თუ ჩემს პერიოდში ვერ გადავიხდით, სამომავლოდ ვინც იქნება, უნდა დაიფაროს, იმიტომ, რომ ეს დავალიანება გვაწერია.

- მოსამართლის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ზეწოლაზე გაქვთ ეჭვი?

- ცოტა ძნელია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ფაქტი ერთია, ჩვენ გვაინტერესებს პირველ რიგში ეს დასაბუთებული განჩინება, რის საფუძველზეც უკვე ვიმსჯელებთ რაზეა საუბარი.

- ლევან ცქიტიშვილი ვიცე-პრემიერ კალაძის ახლო მეგობარია. კულუარებში იმაზე ლაპარაკობდნენ, რომ ამ გადაწყვეტილებაზე ზეწოლა სწორედ ვიცე-პრემიერისგან მოდიოდა. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?

- ჩვენთვის არ არის ცნობილი ეს, მაგრამ იყო ისეთი ლაპარაკი, რომ თვითონ მოსამართლეს უთქვამს, ხომ მაინც გაასაჩივრებთ და მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა გადაწყვეტილებას გამოიტანდა. ეს ცოტა არაბუნებრივად მეჩვენება, რომ მოსამართლემ თავიდან აიცილა. შვიდი აპრილის შემდეგ ორ კვირაზე მეტი გავიდა და ჯერ პასუხი ვერ მივიღეთ, შესაბამისად, სანამ დასაბუთებული პასუხი არ იქნება, ვერაფერს ვიტყვით.

- ხომ არ გაქვთ ეჭვი, რომ ეს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდება ფეხბურთის ფედერაციაში. ცნობილია, რომ ასოციაციის ფავორიტი რეზი არველაძეა, ცქიტიშვილი კი კობიაშვილის მეგობარია...

- რა თქმა უნდა, ფუტსალის ასოციაციას აქვს ხმის უფლება. არ არის გამორიცხული, რომ ამიტომაც მიდიოდეს, ჩვენთვის ყველაზე მთავარია ფუტსალის აღოძინება მოხდეს. ჩვენი ხელმძღვანელობის პერიოდში 500-ზე მეტი მატჩი ჩატარდა, რაც 20 წლის განმავლობაში არ ყოფილა. უამრავი ტურნირი ტარდება და ნაკრებსაც ისეთი მაღალი დონის ნაკრებებთან ჰქონდა ამხანაგური თამაშები, რაც არასდროს ჰქონია. მიდის მზადება მსოფლიოსთვის და ეს არის ელემენტარული პასუხისმგებლობა ჩვენი და ჩემი გუნდის.

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ქართულ კლუბებს 8 მილიონ 350 ათასი ლარით დაეხმარა

„გავითვალისწინეთ შექმნილი მდგომარეობა, რომ გუნდები სეზონს ვერ ჩაამთავრებდნენ და ამიტომ გავეცით დახმარება“

მაგდა კლდიაშვილი

საქართველოს ფეხბურთის მმართველმა ორგანომ ეროვნული ჩემპიონატისა და პირველი ლიგის მონაწილე გუნდებს 2012 წლიდან დღემდე 8 მილიონ 350 ათასი ლარი გადაურიცხა. როგორ მოახერხა ეს ფეხბურთის ფედერაციამ, მაშინ, როდესაც სახელმწიფოსგან ყოველწლიურად მხოლოდ 7 მილიონ ლარს იღებს დაფინანსებას, მის უდიდეს ნაწილს კი კვლავ ბიუჯეტში აბრუნებს დღგ-ს სახით. რატომ ეხმარება სფფ კლუბებს მაშინ, როდესაც ამის ოფიციალური ვალდებულება მას არ აკისრია და როგორ დახარჯეს ეს თანხები გუნდებმა - „პრაიმტაიმი“ დეტალებით.

კლუბებისთვის გადარიცხული თანხების შესახებ დოკუმენტი ფეხბურთის ფედერაციამ თავად გაასაჯაროვა. 2012 წლიდან დღემდე, ყველაზე მეტი თანხა, ფეხბურთის ფედერაციიდან თბილისის „დინამომ“ მიიღო. აქედან 2013 წელს „დინამოსთვის“ დარიცხულმა თანხამ ნახევარი მილიონი ლარი შეადგინა, რომელიც საპრიზო ადგილისთვის ერგო, დანარჩენი 400 ათასი ლარი კი, ორ ნაწილად, გასულ წელს სეზონის დასასრულებლად მიიღო ქართული ფეხბურთის ფლაგმანად წოდებულმა, სხვა კლუბების მსგავსად.

2014 წელს 400 ათასი ლარი უმაღლესი ლიგის 12-მა კლუბმა მიიღო, ხოლო დანარჩენმა ოთხმა გუნდმა, რომლებიც უმაღლეს ლიგას რაოდენობის გაზრდის შემდეგ დაემატნენ, მხოლოდ ორასი ათასი ლარი მიიღო. ეს თანხა, ფეხბურთის ფედერაციამ ევროპული ფეხბურთის უმაღლესი მმართველი ორგანოსგან წინასწარ აიღო.

როგორც ფეხბურთის ფედერაცია განმარტავს, სფფ-ს მხრიდან კლუბებისთვის გაწეული ფინანსური დახმარება ხშირად ხდება დისკრედიტაციის მსხვერპლი და ამ ფინანსური დახმარების გაუფასურება. სწორედ ამიტომ გადანყვიტა სფფ-მ, რომ ეს დოკუმენტი დღის სინათლეზე გამოეტანა.

„სფფ-ის ზოგიერთი ოპონენტი იმ დროს, როდესაც პფლ (პროფესიული ფეხბურთის ლიგა) ეროვნული ჩემპიონატის ორგანიზატორ ორგანოდ ფიქსირდებოდა უფრო წარმატებულ და კლუბებისათვის სარფიან პერიოდად აფასებს, ვიდრე, სფფ-ის მიერ გაწეულ დახმარებას.

2003-2009 წლებში, პფლ-ის მიერ გაცემულმა საპრიზო თანხამ უმაღლესი ლიგის კლუბებზე საერთო ჯამში დაახლოებით 800 ათასი ლარი შეადგინა, რაც შემდეგნაირად გადანაწილდა: 2004, 2005, 2006, 2007 წლებში მხოლოდ გამარჯვებული/ჩემპიონი გუნდი იღებდა 50 ათას ლარს, 2008 და 2009 წლებში კი სეზონის საერთო საპრიზო თანხამ 250 ათასი ლარი შეადგინა (ორ წელზე - 500 ათასი ლარი). გვინდა აქვე დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია და აღვნიშნოთ, რომ პფლ-ის მიერ განეული ფინანსური დახმარება 2003-2009 წლებში მართლაც აუცილებელი და მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ქართული კლუბების არსებობისა და გადარჩენისათვის.

გვსურს მცირე სტატისტიკით, რომელიც ოფიციალური დოკუმენტაციით არის გამყარებული და რომლის უტყუარობის გადამოწმებაც ყველა დაინტერესებულ პირს სფფ-ის შესაბამის სამსახურში შეუძლია - საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია, თუ რა დაფინანსებას იღებდნენ პფლ-ისგან და რა დაფინანსებას იღებენ სფფ-ის პირობებში ეროვნული ჩემპიონატის კლუბები, მაშინ როცა ფეხბურთის ფედერაციის მოვალეობებში არანაირად არ შედის კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი კლუბების ფინანსური დახმარება. მსგავსი პრეცედენტი ევროპის არც ერთ ქვეყანაში არ ფიქსირდება“, - ნათქვამია ფეხბურთის ფედერაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში, სადაც ასევე განმარტებულია, რომ სფფ-ს მხრიდან ფინანსური დახმარება ეს მხოლოდ მათი კეთილი ნებაა და არანაირი ვალდებულება.

როგორ მოახერხა ფეხბურთის ფედერაციამ საკმაოდ სოლიდური თანხის მიცემა ქართული კლუბებისთვის და რამდენად მოდის ეს კანონთან შესაბამისობაში, „პრაიმტაიმისთვის“ განმარტებებს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ფინანსური სამსახურის უფროსი, ნარგიზა ჩხიკვაძე აკეთებს. ჩხიკვაძის განცხადებით, მისი სუბიექტური აზრია, რომ ფედერაციის ვალდებულება არაა კლუბებს ფინანსურად დაეხმაროს და განსაკუთრებით ეს კერძო კლუბებს ეხებათ, თუმცა ხაზს უსვამს, რომ ეს მისი პირადი მოსაზრებაა და არა ფეხბურთის ფედერაციის, რომელიც არსებული ვითარების ფონზე, თავს ვალდებულად თვლის, რომ ეროვნულ ჩემპიონატის უმაღლეს ლიგისა და პირველი ლიგის ბინადარ გუნდებს დაეხმაროს. ჩხიკვაძის განმარტებით, ყველა იმ გუნდმა, რომელმაც ფედერაციისგან ფულადი დახმარება მიიღო, ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი წარმოადგინა და ამის ვალდებულება აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ თანხას სფფ კლუბებს ვალად უღიარებს.

ნარგიზა ჩხიკვაძე, სფფ-ს ფინანსური სამსახურის უფროსი:

„2012-2013 წლებში გაცემული საპრიზო თანხის მიზნობრიობას ფედერაცია ვერ დაუდგენს კლუბს, რადგან ეს პრიზია. როდესაც პრიზები მოიხსნა, 2014 წლის დახმარების პირველ ეტაპზე, ფედერაციამ, სახელმწიფოდან მიღებული თანხა მისცა გუნდებს, ჯამში ორი მილიონ 400 ათასი ლარი. რაც შეეხება მეორე ეტაპს, ეს არის სფფ-ს შემოსავლიდან მიღებული გაცემები, რომელიც ჯამში 4 მილიონ 150 ათას ლარს შეადგენს. ეს იყო ფედერაციის კეთილი ნება, რადგან სხვაგან მსგავსი პრეცედენტი არ ყოფილა. მათ შორის არც იმის, რომ სახელმწიფოს, კერძო და მუნიციპალური დაფინანსების გუნდებისთვის ერთნაირად მიეცა თანხები, 2014 წლის პირველ ეტაპს ვგულისხმობ“.

როგორც სფფ-ს ფინანსური სამსახურის უფროსი აცხადებს, სახელმწიფოსგან მიღებული 7 მილიონი ლარი, ეროვნულ ნაკრებსა და მის განვითარებას ხმარდება, ამ თანხიდან იფარება ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის ხელფასიც, თუმცა კარგად გაკეთებული ეკონომიის ხარჯზე, სფფ-მ პირველი ეტაპის თანხები სწორედ ამ ფულიდან გაიღო.

ქართული ფეხბურთის მმართველი ორგანო კლუბებთან ხელშეკრულებებს აფორმებს, სადაც მიღებული თანხების მიზნობრიობაა გაწერილი. როგორც ნარგიზა ჩხიკვაძე აცხადებს, თუკი წარმოდგენილ დოკუმენტებში მიზნობრიობა დარღვეულია და ხელფასების მაგივრად, მაგალითად გუნდს რბილი ავეჯი აქვს ნაყიდი, შეიკრიბება აღმასკომი და კლუბის ხელმძღვანელებთან ერთად, ეს თანხა მას ვალად უღიარდება.

გაცემული თანხების დოკუმენტაციის ვადა 1 აპრილამდე იყო, თუმცა გუნდების ნაწილმა ხარჯღაღრიცხვის დოკუმენტი სფფ-ს 31 დეკემბრამდეც წარუდგინა. იმ კლუბებს, რომელსაც სათანადო დოკუმენტაცია ჯერ კიდევ არ წარუდგენიათ, დრო მაისამდე მიეცათ, სრულყოფილად წარმოდგენის შემდეგ კი, ფედერაციის ფინანსური სამსახური შეისწავლის ამ დოკუმენტებს და დასკვნას ამის მიხედვით გააკეთებს.

რაც შეეხება მომავალ დახმარებებს, ნარგიზა ჩხიკვაძის განმარტებით, ის უფლებამოსილი პირი არ არის, დაპირება გააკეთოს, თუმცა მისი პირადი მოსაზრებაა, რომ სფფ-მ კლუბებს ფინანსური დახმარება არ გაუწიოს.

ნარგიზა ჩხიკვაძე:

- ფედერაცია კლუბებს არ უნდა ეხმარებოდეს. რამდენიმე კლუბი არის შპს. უპრეცედენტო შემთხვევაა და იყო, თუნდაც სახელმწიფოს მხრიდან დახმარება, მაგრამ გავითვალისწინეთ შექმნილი მდგომარეობა, რომ გუნდები სეზონს ვერ ჩაამთავრებდნენ და ამიტომ გავეცით დახმარება. არათუ შპს, კერძო ორგანიზაცია, არამედ მუნიციპალური დაფინანსების გუნდიც კი არ უნდა ფინანსდებოდეს სფფ-სგან. რომ ნახოთ კლუბები, რომლებსაც საკუთარი მუნიციპალიტეტი 800 ათას ლარს აძლევს, მოდის ჩვენთან და ითხოვს, რომ ბიუჯეტი 1 მილიონ 200 ათასი უნდა ჰქონდეს, იძახიან, ვერ ვიმყოფინებთო, ბიუჯეტი იმდენი უნდა იმყოფინო, რამდენსაც გაძლევენ, ან უნდა წახვიდე და სხვა მონახო. კერძო პირებს, რომლებიც ფეხბურთში ფულს დებენ, მადლობის მეტს ვერაფერს ვეტყვი, მაგრამ მათ ინვესტიციის ჩადების დროს ხომ იციან, რომ ფეხბურთში მოგება 15-20 წლის შემდეგ შეიძლება მოვიდეს. როდესაც კლუბს დააარსებს ვიღაც და სამი წლის მერე ყვირის, სახსრები არ მეყოო, მე, პირადად, ნარგიზა ჩხიკვაძე, მისგან ამ პრეტენზიას არ მივიღებ.

„ფეხბურთის ფედერაციის მოვალეობებში არანაირად არ შედის კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი კლუბების ფინანსური დახმარება. მსგავსი პრეცედენტი ევროპის არც ერთ ქვეყანაში არ ფიქსირდება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time
N15 (316) ორშაბათი, 20 აპრილი, 2015 წ.
ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი

გიორგი მერეზაშვილი - თქვენს აქციას საბერძნეთიდანაც ვადევნებდი თვალყურს

ანა მარგველაშვილი: „მამა და გიგი დამეგობრდნენ და ძალიან უყვართ ერთმანეთი“

exclusive

ანუკის სურვილიანი ბაბუაწვერა

„X ფაქტორის“ კონკურსანტი, რომელსაც გარდაცვლილი დედით სპეკულირება დასწამეს exclusive

TBILISI FASHION WEEK
ISSN 1987-7404
9 771987 740005
შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“

სერიალის აუტისტი გმირი ცხოვრებაშიც აუტისტი ეგონათ - რამ გაუადვილა მსახიობს ამ როლის exclusive შესრულება

კოტე თოლორდავა - სევდად ქცეული „ბაბულიკა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება